

The New **ECONOMIST**

DOI suffix: 10.36962/NEC20022025

**INTERNATIONAL SCIENTIFIC-
PRACTICAL QUARTERLY JOURNAL,
PRECISE AND REVIEWED**

N2, 2025, VOL 20, ISSUE 2

**Economy is the basis
of everything!**



**ISSN 2667-9752 (ONLINE)
ISSN 1512-4649 (PRINT)**

**საერთაშორისო რეფერირებადი და
რეცენზირებადი ყოველკვარტალური
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი**

ეკონომიკა ყველაფრის საფუძველია!

ახალი

ეკონომიკის სფერო

**The Magazine “The New Economist”
HAS BEEN REVIEWED:**

In “Georgian Reviewed Magazine” –
P.L.L.E. Institute of Techninform.
Identifiable in the **Google Scholar**
and **Research Gate** bases.

ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, (Business School ESM);
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University
of the Patriarchate of Georgia;
- East European University;
- Odessa Mechnikov National University
(Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucasus
(Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy,
Finances and International Trade (Nursultan).

**ADDRESS: 5 A. Jorjadze str.,
0105, Tbilisi, Georgia.**

Tel.: +995 (32) 2 990 576;

Mob.: +995 55 277 554; +995 (58) 944 800.

**ქურნალი „ახალი ეკონომისტი“
რეფერირებულია:**

სსიპ ინსტიტუტ ტექნიფორმის ელექტრონულ
გამოცემებში „ქართულ რეფერატულ ჟურნალში“.
იდენტიფიცირებადია **გუგლ სქოლარსა და**
რისერჩ გეიტსის ბაზებში.

რეფერირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი,
(ბიზნესის სკოლა ESM);
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული
უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის
ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
(მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო
ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
(ნურსულტანი).

მისამართი: საქართველო,

0105, თბილისი, ა. ჯორჯაძის ქ. N5

ტელ.: +995 (32) 2 990 576;

მობ.: +995 (55) 277 554; +995 (58) 944 800.

**E-mail: editor@neweconomist.com.ge; loidk@yahoo.com
web-site: www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge**

The New **ECONOMIST**

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL,

PRECISE AND REVIEWED N2 (77), 2025, VOL.20, ISSUE 2.

LOID KARCHAV - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;
Doctor of Business Administration,
Head of the Council of Scientists of Georgia;
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;
Academician of the Georgian Academy of Phasis..

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

GIORGI ABASHISHVILI; RAMAZ ABESADZE; NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA (Corresponding Member of Georgian National Academy of Science); IURI ANANIASHVILI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences); GIVI BEDIANASHVILI; ROSTOM BERIDZE; SIMON GELASHVILI; RAMAZ GERLIANI; REVAZ GVELESIANI; VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Belarusia State University); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Rector of Central European University); NATIA TURNAVA (President of the National Bank of Georgia); NAMIG YSAZADE; MERAB KAKULIA; REVAZ KVATASHIDZE; GIA KVASHILAVA (Prezident of the Academy of Phasis); MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part); VASIL KIKUTADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; EKATERINE LOMIA; LASHA MGELADZE; ELGUJA MEQVABISHVILI; DAVID NARMANIA (Georgian National Energy

and Water Supply Regulatory Commission (GN-ERC), Chairman); SOLOMON PAVLIASHVILI (Academician of Georgian National Academy of Science; Deputy Minister of Environmental Protection and Agriculture of Georgia); AVTANDIL SILAGADZE (Academician of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA; GELA SVIRAVA; LASHA TABATADZE (Responsible Secretary); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI; LAMARA QOQIAURI; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Technical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI; NIKO CHIKHLADZE; ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; VASIL KHIZANISHVILI; DAVID JALAGONIA (Chancellor of Sukhumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); DIMITRI JAPARIDZE; MICHAEL JIBUTI (Academician of Georgian National Academy of Science, Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.



ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი N2 (77), 2025, ტ. 20, გამოც.2

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე;
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;
ფაზისის აკადემიის წევრი.

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

გიორგი აბაშიშვილი; რამაზ აბესაძე; ნინო აბესაძე; ანზორ აბრალაშვილი (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი); იური ანანიშვილი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); გივი ბაღიანაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი); სიმონ ბელაშვილი; რამაზ ბერლიანი; რევაზ გველესიანი; ვლადიმერ ბრიგოლანი (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი); შოთა ვეშაძე; ნუგზარ თოდუა; გორა თუთხარიძე (ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის რექტორი); ნათია თურნაშვილი (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი); ნამიბ ისაზაძე; მერაბ კაკულია; რევაზ კვატაშვილი (მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი); გიბ კვაშილავა (ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი); მურთაზ კვირკვალი (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი); ვასილ კიკუტაძე; კახა კორძია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); ლორდი სტივენ ლორდ ლოიდ-გაბრატიონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისი); ეკატერინე ლომია; რევაზ ლორთქიფანიძე; ლეონიდე მბელაძე; ელგუჯა მამკაბიშვილი; დავით

ნარმანი (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე); სოლომონ პავლი-აშვილი (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე); ანტონი სილაბაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი); ალექსანდრე სიჭინავა; ბაქო სპირაშვილი; ლეონიდე ტაბატაძე (პასუხისმგებელი მდივანი); სლავა ფათალაშვილი; ლეონიდე ქიქოძე; ლეონიდე ქიქოძე; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ფაია შულენბაერ (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაბელიშვილი; დავით ჩარქაიშვილი; ნიკო ჩიხლაძე; ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; ვასილ ხიზანიშვილი; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერი); ჯამალ ჯანაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე); დიმიტრი ჯაფარიძე; მიხეილ ჯიბუტი (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი; საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნანა ჯღარკაშვილი.

სტატიაზე, მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

© ჟურნალი „The New Economist“, „ახალი ეკონომისტი“, 2025წ.

© გამომცემლობა „ლოი“

ფასი 15 ლარი



SCIENCE

Zurab Khonelidze

Georgia and the External World ----- 7

Shota Veshapidze

Values and Principles in Ilia Chavchavadze's Thought:
Interpretation in the Modern Economic Context----- 25

Loid Karchava, Irakli Nanuashvili, Gia Zoidze, Shota Veshapidze

Georgia's Strategic Role in Eurasian Transport and Digital Logistics Transformation --- 40

Davit Basiashvili, Slava Fetelava

The Genesis of the Unfair High Price ----- 54

Lali Chagelishvili-Agladze, Tamar Agladze

Digitalization and Business Process Reengineering in Georgia's Banking Sector ----- 68

Lamara Qoqiauri

On the systematic necessity of studying financial and investment processes----- 76

Gvanca Chigladze, Loid Karchava

The revolutionary impact of digital technologies on financial architecture ----- 92

Konstantine Mchedlishvili, Marina Grdzelishvili

The linear objects of transport infrastructure and the difficulties in their creation ---- 105

CONGRATULATION

Giorgi Shikhashvili – 75 ----- 113

Lali Chagelishvili-Agladze – 65----- 115

Kakhaber Kordzaia - 60----- 117

Nino Abesadze – 60----- 118

NEW BOOKS

Georgia's Integral Resources ----- 119

მეცნიერება

ზურაბ სონელიძე

საქართველო და გარე სამყარო -----7

შოთა ვეშაძიძე

ღირებულებები და ფასეულობები ილია ჭავჭავაძის შეხედულებებში:
ინტერპრეტაცია თანამედროვე ეკონომიკურ კონტექსტში ----- 25

ლოიდ ქარჩავა, ირაკლი ნანუაშვილი, გია ზოიძე, შოთა ვეშაძიძე

საქართველოს სტრატეგიული როლი ევრაზიის ტრანსპორტისა და
ციფრული ლოჯისტიკის ტრანსფორმაციაში ----- 40

დავით გასიაშვილი, სლავა ფეტელავა

არასამართლიანად მაღალი ფასის გენეზისი----- 54

ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე, თამარ აგლაძე

ციფრული ტრანსფორმაცია და ბიზნეს პროცესების რეინჟინერინგი
საქართველოს საბანკო სფეროში ----- 68

ლამარა ქოძიაშვილი

საფინანსო-საინვესტიციო პროცესების შესწავლის სისტემური
აუცილებლობის შესახებ ----- 76

გვანცა ჭილაძე, ლოიდ ქარჩავა

ციფრული ტექნოლოგიების რევოლუციური გავლენა
ფინანსურ არქიტექტურაზე----- 92

კონსტანტინე მჭედლიშვილი, მარინა ბრძელიშვილი

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხაზოვანი
ობიექტები და მათი შექმნის სირთულეები ----- 105

მილოცვა

გიორგი შიხაშვილი - 75----- 113

ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე - 65----- 115

კახაბერ კორძაია - 60 ----- 117

ნინო აბესაძე - 60----- 118

ახალი წიგნები

საქართველოს ინტეგრალური რესურსები ----- 119



GEORGIA AND THE EXTERNAL WORLD

Copyright © 2025 the Author/s

Peer review method: Double-Blind

Accepted: May 17, 2025

Published: June 12, 2025

Original scientific article

DOI suffix: 10.36962/NEC20022025-7

Zurab Khonelidze

Doctor of Political Science, Professor, Rector

Sokhumi State University

President of the Academy of Educational

Sciences of Georgia

Ambassador Extraordinary and Plenipotentiary

<https://orcid.org/0000-0002-4625-7632>

Email: zurabkhonelidze@gmail.com



ABSTRACT

Due to its geopolitical location, the Georgian state has constantly experienced tense and often difficult relations with external political actors. The history of our country is a complex tapestry of both positive and negative events, which have profoundly shaped the ethnopsychology, traditions, cultural existence, and political relations of the Georgian people living at a perilous crossroads. If any country can be said to have traversed a turbulent historical path, it is Georgia — whose history, situated at a geopolitical crossroads, is a continuous narrative of persistent scrutiny, the search for political orientation, overcoming internal and external contradictions, and the struggle against myriad adversities.

Naturally, Georgia's geopolitics remain unchanged today, and the interests of various world empires are intensely reflected in the ongoing conflicts that form a red thread throughout contemporary Georgian politics and public discourse.

The functioning of the Georgian state, its welfare, stability, and the prevention of the fragmentation of its society into separate, mutually antagonistic enclaves vulnerable to dissolution must be sought through adherence to the rules of political engagement and through transforming the existing reality. This approach demands the formulation of a strategic development action plan, which through systematic and consistent efforts, will enable Georgia — by upholding the balance of additional interests of key political regulators and global powers — to acquire an international role commensurate with its worldview and environmental conditions, to justify the necessity of a unified space including vis-à-vis the external world, to restore or create a new, full-fledged democratic environment, and once again become an organically whole, unified, multiethnic state.

A prerequisite for achieving this objective is, taking into account domestic and external factors, to identify a theme that internally consolidates the nation — linked to the unity of Georgia as a nation and the supreme value of freedom as an eternal ideal — and externally reflects the recognized unified approach of the international community regarding Georgia's territorial integrity. The only theme that meets these criteria is associated with the resolution of the pseudo-ethnopolitical conflict over Abkhazia (as well as the so-called South Ossetia).

More broadly, conflicts have occupied a central place in human history. Since the 19th century, and particularly throughout the 20th century, a specific form of conflict has entered international politics on a large scale — conflicts between nations and ethnic groups. It is widely believed that a significant factor in this development was the misinterpretation of the "right of self-determination among peoples" that emerged during the decolonization era. Consequently, all conflicts, including ethnopolitical ones, are characterized by an exceptionally complex and multifaceted nature. Georgia exemplifies this complexity — a country whose natural geopolitical advantage

became an obstacle to conflict resolution. The reasons are clear. At the threshold of the post-Soviet transformation, no Georgian government was able to: Secure for the country its rightful place according to its natural and historical functions, nor take steps adequate to the demands of the time; Identify and manage the traditionally involved external factors in Georgia's future fate — the inherently confrontational forces, the main geopolitical centers, transnational corporations, political systems, dominant global and regional leaders — and the anticipated threats posed by replacement states.

Due to the contradictory nature of various states, it was not understood that Georgia's territory is insufficient to serve as the exclusive space for the convergence of interests and powers of all key stakeholders, much less to reconcile these interests with those of the Georgian state itself.

KEYWORDS: Georgia, geopolitics, external world, conflict, territorial integrity, diplomacy, university, peace, foreign policy, science diplomacy

REFERENCES:

1. Zurab Khonelidze, *The Georgian Paradigm of Peace*, Tbilisi, 2021. (in Georgian)
2. Hedley Bull, *The Anarchical Society: A Study of Order in World Politics*, translated by Giorgi Khelashvili, Tbilisi, 2003. (in Georgian)
3. Karl Jaspers, *The Idea of the University*. <http://www.socium.ge/index.php/articles/education/60-2012-08-07-20-16-19>, last accessed February 5, 2024.
4. Bruce Jentleson, *American Foreign Policy: The Dynamics of Choice in the 21st Century*, Duke University, translators: Davit Aprasidze, Ana Mikautadze, Archil Abashidze, Giorgi Gvalia, Nino Tkaridze, Tariel Sikharulidze, Tamar Kumsishvili, Nino Pavlenishvili, Tbilisi, 2015. (in Georgian)
5. Harold Nicolson, *Diplomacy* (Oxford University press), 1950.
6. Georgia Makes 'Unilateral Pledge' of Non-Use of Force Civil Georgia, Tbilisi / 23 Nov'10 / 17:09 <https://old.civil.ge/eng/article.php?id=22880>
7. Samuel Hantigton, Why International Primacy Matters, *International Security* 17.4, Spring, 1993;
8. Fedoroff, N, "Science diplomacy in the 21st Century", *Cell*, 2009, 136 (1), January, pp. 9–11
9. Committee on Global Science Policy and Science Diplomacy (2011). National Academies.
10. Committee on Global Science Policy and Science Diplomacy (2011). U.S. and International Perspectives on Global Science Policy and Science Diplomacy: Report of a Workshop. National Academies Press, ISBN 978-0-309-22438-3, pp. 60.
11. National Research Council. 2015.
12. Букалова С. В. Научная дипломатия: сущность и роль в системе между- народных отношений// *Мировая политика*. № 2. 2018.



საქართველო და გარე სამყარო

ზურაბ ხონელიძე

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რექტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი
საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი
<https://orcid.org/0000-0002-4625-7632>
ელ-ფოსტა: zurabkhonelidze@gmail.com

აბსტრაქტი

საქართველოს სახელმწიფოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, მუდმივი, ხშირად დაძაბული და მძიმე ურთიერთობები ჰქონდა გარე სამყაროს პოლიტიკურ აქტორებთან. ჩვენი ქვეყნის ისტორია პოზიტიური და ნეგატიური თავგადასავლების დიდი კრებულთა, რომელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა სახიფათო გზაჯვარედინზე მცხოვრები ქართველი ხალხის ეთნოფსიქოლოგია, ტრადიცია, კულტურული ყოფა და პოლიტიკური ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან. თუ რომელიმე ქვეყანაზე შეიძლება ითქვას, ქართველებით სავსე ისტორიული გზა განვლო, ეს საქართველოა, რომლის ისტორია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე მყოფი ქვეყნის მუდმივი განსჯის, პოლიტიკური ორიენტაციის ძიების, გარე და შიდა წინააღმდეგობების დაძლევისა და ათასი ჯურის მომხდურის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაა.

ბუნებრივია, საქართველოს გეოპოლიტიკა დღესაც იგივეა და მსოფლიოს სხვადასხვა იმპერიის ინტერესები ინტენსიურად აისახება მუდმივ წინააღმდეგობებში, რომლებიც წითელ ზოლად გასდევს თანამედროვე ქართულ პოლიტიკასა და ქართულ საზოგადოებრივ აზრს.

ქართული სახელმწიფოს ფუნქციონირება, მისი კეთილდღეობა, სტაბილურობის უზრუნველყოფა და მოსალოდნელი საფრთხეების, მათ შორის, კვდომისკენ მიდრეკილ ცალ-ცალკე სივრცეებად ჩამოყალიბების პროცესის შეჩერება, პოლიტიკური თამაშის წესების დაცვით, არსებული მოცემულობის შეცვლაში უნდა ვეძებოთ. მიდგომა მოითხოვს სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმის შედგენას, რომელიც სისტემური და თანმიმდევრული მოქმედებით გააჩენს შესაძლებლობას: საქართველომ, პოლიტიკის ძირითადი რეგულატორის დამატებითი ინტერესისა და მსოფლიო მომწესრიგებელ ძალთა წონასწორობის დაცვით,

შეიძინოს მსოფლმხედველობითი და გარემო პირობების შესაბამისი საერთაშორისო ფუნქცია, დაასაბუთოს ერთიანი სივრცის საჭიროება, მათ შორის გარესამყაროსთვის, აღიდგინოს ან შექმნას ახალი სრულფასოვანი დემოკრატიულ სივრცე, გარემო და კვლავ იქცეს ორგანულად მთლიანი, ერთიან მულტიეთნიკურ სახელმწიფოდ.

აღნიშნული მიზნის მიღწევის აუცილებელი წინაპირობაა, საშინაო და საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით, მოვიძიოთ თემა, რომელიც ქვეყნის შიგნით ერის მაკონსოლიდირებელ – საქართველოს ერთიანობისა და უმაღლესი ღირებულების – თავისუფლების მარადიული იდეის რეალიზაციას დაუკავშირდება, ხოლო, ქვეყნის გარეთ – საქართველოსადმი საერთაშორისო თანამეგობრობის აღიარებულ ერთიან მიდგომას – ქართული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას. თემა, რომელიც აღნიშნულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, ერთადერთია და იგი, ფსევდო-ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის – აფხაზეთის (ასევე, ე.წ. სამხრეთ ოსეთის) პრობლემის დარეგულირებასთან ასოცირდება.

ზოგადად, კაცობრიობის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს კონფლიქტებს. მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, განსაკუთრებით, მე-20 საუკუნეში, საერთაშორისო პოლიტიკაში მასშტაბურად შემოდის მისი ერთ-ერთი ნაირსახეობა – კონფლიქტი ერებსა და ეთნოსებს შორის. ვფიქრობთ, ამ პროცესში დიდი როლი შეასრულა დეკოლონიალიზმის ეპოქის დროს დამკვიდრებულმა „ერებს შორის თვითგამორკვევის უფლებების“ არასწორმა ინტერპრეტაციამ. აქედან გამომდინარე, ყველა კონფლიქტი, მათ შორის ეთნოპოლიტიკური, უკიდურესად რთულ და კომპლექსურ ხასიათს ატარებს. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება საქართველო – ქვეყანა, სადაც კონფლიქტების წარმოშობისა და მისი დარეგულირების გზაზე დაბრკოლებად იქცა ქვეყნის ბუნებ-

რივი უპირატესობა – გეოსტრატეგიული მდგომარეობა. მიზეზი ახსნადია. პოსტსაბჭოთა სივრცის ტრანსფორმაციის ზღურბლზე, წარსულში საქართველოს ვერცერთმა ხელისუფლებამ:

1. ქვეყანას ვერ მოუპოვა თავისი ბუნებრივ-ისტორიული ფუნქციის შესაფერისი ადგილი და ვერც დროის მოთხოვნის ადეკვატური ნაბიჯი გადადგა; 2. ვერ შეძლო საქართველოს მომავალ ბედში, ტრადიციულად ჩართული გარე ფაქტორების, თანდაყოლილი კონფრონტაციული ძალების იდენტიფიცირება, ძირითადი გეოპოლიტიკური ცენტრების, ტრანსნაციონალური კორპორაციების, პოლიტიკური სისტემების, მსოფლიო დომინანტი და რეგიონული ლიდერ სახელმწიფოთა ინტერესების (მოკლევადიან თუ გრძელვადიან პერსპექტივაში) გათვალისწინება, ჩანაცვლებული ქვეყნების მხრიდან მოსალოდნელი საფრთხე.

რიგ სახელმწიფოთა წინააღმდეგობრივი ხასიათიდან გამომდინარე, ვერ გაითავისა, რომ საქართველოს ტერიტორია არასაკმარისი სივრცეა ძირითადი დაინტერესებული ქვეყნების, ძალების, ინტერესთა თანხვედრისათვის, მით უფრო, ამ ინტერესების ქართულ სახელმწიფო ინტერესებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, გეოპოლიტიკა, გარე სამყარო, კონფლიქტი, ტერიტორიული მთლიანობა, დიპლომატია, უნივერსიტეტი, მშვიდობა, საგარეო პოლიტიკა, სამეცნიერო დიპლომატია

ძირითადი ტექსტი

საქართველო, რთული სამეზობლოთი, არ არის ავტონომიური, ჩაკეტილი სისტემა. იგი, რელიგიურად, ისტორიულად და გეოგრაფიულად, იმ გეოპოლიტიკურ, გეოეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესთა გადაკვეთის ეპიცენტრშია, რომელსაც არა მხოლოდ ქართული, არამედ, სამხრეთ კავკასიური, საერთო კავკასიური სოციალ-კულტურული და პოლიტიკური სივრცე ჰქვია. ჩვენი ბედ-ილბის განსაზღვრა და სახელმწიფოებრივი ამოცანების რეალიზაცია (მათ შორის, უპირველესი – ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა), სცილდება ქვეყნის საზღვრებს, იძენს რა რეგიონულ და გლობალურ მასშტაბებს, ვერ იქნება დამოკიდებული მხოლოდ საქართველოზე, ან ქვეყანაზე, რომლის მიერ დღემდე ოკუპირებულია ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტი.

მართალია, კავკასია ერთიანი რეგიონია, მაგრამ რეგიონულ სივრცეში (რომელიც საკუთრივ

– კავკასიურის, აღმოსავლურისა და დასავლურის სინთეზია) უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ სამხრეთ კავკასია, სადაც მორგანიზებული ცენტრის პრიორიტეტული მნიშვნელობა ოდითგანვე საქართველოს ენიჭება. რაც შეეხება, კავკასიას მსოფლიო ხალხთა ცივილიზაციის აკვანსა და მის კუთვნილებას, საქართველოც იმ ისტორიის ნაწილია, რომელსაც კავკასიური ერთობა ჰქვია, თუმცა, ფაქტია, რომ IV საუკუნიდან ამ ერთიანობის იდეის რეალიზაცია ვერ მოხერხდა. ამდენად, ძველი იდეისადმი ჩაბლაუჭების ნაცვლად, უმჯობესია, მით უფრო დღეს, როცა ანგარიშგასანევი ძალების, უპირველესად, რუსეთისთვის, კავკასიური სოლიდარობაც კი მიუღებელია, კავკასია კავკასიელ ხალხთა მხოლოდ კულტურულ-ცივილიზაციურ ერთობად უნდა განვიხილოთ. ხოლო, სამხრეთ კავკასია, სუვერენული სახელმწიფოებისგან შემდგარ იმ ერთიან რეგიონულ სივრცედ, რომელიც ერთად წარსდგება მსოფლიოს ძირითადი გეოპოლიტიკური ცენტრების, უპირველესად, აშშ-ისა და მისი მეშვეობით ევროკავშირისა და რუსეთის წინაშე.

რეგიონი, ჯერ კიდევ „დიდი აბრეშუმის გზის“ ისტორიული ეპოქიდან, საკვანძო-სტრატეგიული მდებარეობით (მოქმედი თუ პოტენციური ენერგოდე-რეფანი, სატრანსპორტო, სავაჭრო კავშირების მაგისტრალი და ა.შ.), XXI საუკუნის ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული – ამერიკის, რუსეთის, ევროპის, ჩინეთის, თურქეთის, ირანის, აზიისა და სხვა საერთაშორისო ძალთა ინტერესთა ჯგუფებს შორის დაპირისპირების ადგილია;

ღია თუ სხვა ფარული ინტერესები (მათ შორის, ჩინეთის თანდათანობით მზარდი) და განსაკუთრებით, ძირითადი მოთამაშეების – აშშ-რუსეთის, ასევე, რეგიონით დაინტერესებული აღნიშნული სხვა გავლენიანი ძალების ურთიერთობის ხარისხი (თანაარსებობა რთული, ხოლო მის გარეშე შეუძლებელი), გამორიცხავს საქართველოსა და საერთო რეგიონული სივრცისადმი ყოველგვარი ცალმხრივი სტრატეგიის არსებობას, რაც მთლიანობაში, მათი მონაწილეობისა და გადანაცვლებების ერთობლივად მიღების აუცილებლობას, ანუ კონსტრუქციული თანამშრომლობის რეალურ შესაძლებლობას განაპირობებს.

საერთაშორისო თანამეგობრობამ – საქართველოს წარსულ ხელისუფალთა არაეფექტიანი და არათანმიმდევრული საქმიანობის, უპირველესად, საკუთარ ინტერესს მორგებული სახელმწიფო პოლიტიკის, ენერგოიმპერიასთან კონფრონტაციის



რეჟიმში ყოფნის, საერთაშორისო სისტემაში რუსეთის ფაქტორისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებით მეტი დაინტერესების შედეგად, ბოლომდე ვერ/არ გააცნობიერა საბჭოთა იმპერიის მიერ ჩვენს ქვეყანაში (ასევე, პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებშიც) ეროვნული სუვერენიტეტის წინააღმდეგ ჩადებული ნაღმების, ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებად მონათლული პოლიტიკური კონფლიქტების პროვოცირებისა და გლობალურ პრობლემად მისი ქცევის რეალური მიზეზები.

მართალია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ცდილობდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ტერიტორიების სტატუს-ქვოს პოლიტიკის გატარებას, მაგრამ, როგორც ჩანს, პრობლემური, ქართული სახელმწიფოსადმი არასაკმარისი მოტივაციის (მიზეზი, უპირველესად, ჩვენშია), შიდა და პოლიტიკური კონფლიქტის მხოლოდ ფორმალური ინტერნაციონალიზაციის გამო, მოუმზადებელი აღმოჩნდა ცივი ომის შემდგომ პერიოდში საქართველოში, აფხაზეთში (1993 წ.), ასევე, ე.წ. სამხრეთ ოსეთში (2008 წ.). კონფლიქტებისა და შექმნილი, ჩამოყალიბებული სხვა რეალობის, ერთმანეთზე დამოკიდებული საერთო რეგიონული პრობლემის გადაწყვეტაში საქართველოს, როგორც პროგრესული ქვეყნის როლის გააზრების თვალსაზრისითაც.

ცნობილია, რომ ეთნოსშორისი ურთიერთობები თავისთავად მაღალი კონფლიქტოგენურობით გამოირჩევიან, ხოლო როდესაც ამას ემატება პოლიტიკური შეცდომებიც, მათი ფეთქებადი პოტენციალიც რამდენჯერმე იზრდება. საბჭოთა კავშირის დაშლამ, არა მხოლოდ ქვეყნების შიგნით, არამედ საერთაშორისო დონეზეც, კარდინალური ძვრები გამოიწვია. ეს იყო პერიოდი, როდესაც ხელისუფლებებს მაქსიმალურად სწორი და ზომიერი პოლიტიკა უნდა გაეტარებინათ, „მარქსისტული ინტერნაციონალიზმი“ ჩაენაცვლებინათ ეროვნული იდეოლოგიით, რათა საქართველოში მცხოვრებ ეთნოსებს გასჩენოდათ ერთიანი სახელმწიფოებრიობის განცდა.

ზეიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, საქართველოს მარადიული იდეის-თავისუფლების გარშემო ერის კონსოლიდაცია და ერთიანობის განცდა, სამწუხაროდ, ხანმოკლე აღმოჩნდა და სამხედრო გადატრიალებით დასრულდა. შემდგომში, ანტისახელმწიფოებრივად განწყობილი ჯგუფები,

მათ შორის, ქვეყნის გარედან მართულნი, როგორც ეთნიკური, ასევე პოლიტიკური ნიშნით, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მატერიალური დოვლათისა და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ამ ყველაფრის ფონზე, საქართველოს, როგორც ნაციონალური პოლიტიკური ორგანიზმის აღქმა, ხშირად, პირად ინტერესებს მორგებულ ჯგუფებს შორის შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. გარკვეულმა ძალებმა არსებული ვითარება გამოიყენეს ეთნიკური ნიშნით დაპირისპირებისა და კონფლიქტისთვის. სხვებმა კი, პოლიტიკურ იდეოლოგიებს ამოფარებულებმა, ქვეყნის შიგნით კონფლიქტების კერები შექმნეს.

მართალია, საქართველომ მძიმედ, მაგრამ მაინც დაძლია არალეგალურ დაჯგუფებებსა და სახელმწიფოს შორის დაპირისპირება, მაგრამ, ე.წ. ეთნიკური კონფლიქტები, დღემდე ყველაზე მწვავე პრობლემად რჩება.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დასრულებიდან, 1993 წლიდან, აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, გაეროს უშიშროების საბჭოს მიღებული აქვს ათობით პოლიტიკური რეზოლუცია, რომლებშიც, გამოხატულია მხარდაჭერა და პატივისცემა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის, იძულებით გადაადგილებული პირების – დევნილების უპირობო დაბრუნების, დევნილი საქართველოს მოქალაქეების ქონებრივი საკითხების მიმართ. აქ იგულისხმება აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ჩატარებული ე.წ. არჩევნების არცნობა და ა.შ. ასევე, გაეროს უშიშროების საბჭომ საფუძველი ჩაუყარა „გაეროს დამკვირვებელთა მისიას“ საქართველოში. 1997 წლიდან ამოქმედდა „გაეროს გენერალური მდივნის საქართველოს მეგობართა ჯგუფი“¹, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. ამ ჯგუფის მიზანი იყო საქართველოში არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, საერთაშორისო ჩართულობის გაზრდის ხარჯზე.

ამასთან, საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესაბამისად, იმავე წლის 15 ოქტომბერს შეიქმნა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი. იგი იმართება გაეროს, ევროკავშირისა და ეუთოს თანათავმჯდომარეობით

1 1993 წლის დეკემბერში, საქართველოს მეგობართა ჯგუფის შექმნა გაერო-ს გენერალური მდივნის მხარდასაჭერად, ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო პროცესში გარკვეული დაძაბულობის მაჩვენებელი იყო დასავლეთის მთავრობებსა და რუსეთს შორის. ჯგუფის წევრები დასავლეთიდან თვლიდნენ, რომ მათ უნდა გაეწონასწორებინათ რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ხელისუფლებისათვის განუღწევი მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის მტკიცე მხარდაჭერით. წყარო: <http://smr.gov.ge/Uploads/66c4e7.pdf>

ე.ნ. აგვისტოს ომში მონაწილე მხარეების – საქართველოსა და რუსეთს შორის. მოლაპარაკებებში ჩართულნი არიან წარმომადგენლები აშშ-დან, მონაწილეობენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ყოფილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და საოკუპაციო, დე ფაქტო რეჟიმის წარმომადგენლები აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან.

უენევის მოლაპარაკებები მიზნად ისახავს: უსაფრთხოების კომპლექსური მექანიზმებისა და უსაფრთხოების გარანტიების შემუშავებას მთლიანად რეგიონისთვის, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დაპირისპირების ზონების ჩათვლით, რაშიც თავისთავად იგულისხმება აფხაზური და სამხრეთ ოსური მხარეების ინტერესების გათვალისწინება და პასუხიმგებლობის წილის განსაზღვრა.

არსებული მრავალმხრივი საერთაშორისო ფორმატი, სადაც საქართველო არ არის უმცირესობაში და რუსეთს ქართულ მხარესთან დიალოგი ჩვენზე მოკავშირეებისა და სტრატეგიული პარტნიორების – ამერიკისა და ევროპელების თანდასწრებით უხდება, შექმნა სიტუაცია, სადაც „გარეგნულად ყველაფერი ნესრიგშია“. თუმცა, რეალურად, საერთაშორისო დისკუსიამ მაინც ვერ უზრუნველყო ძირითადი მიზნის ასრულების – დეოკუპაციის პროცესის დაწყება. მიზეზი – პრობლემა არის არა მედიატორებში, მათი მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობაში, არამედ, გაუმართლებლად გადაჭარბებულ წარმოდგენებში, რომელიც ყალბად, მხოლოდ საკუთარი პასუხიმგებლობიდან გაქცევის მიზნით, ჩამოაყალიბეს ყოფილმა ხელისუფლებებმა და ე.წ. ელიტებმა.

ამდენად, გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია არა უარის თქმა ამ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ფორმატებზე, ან მათი ჩანაცვლება, არამედ, უკვე არსებულ ფორმატებში ცვლილებების შეტანა (დამატებით, ახლის შექმნაც), რომელიც პრობლემის ახლებური გააზრებით შეცვლის კონფლიქტისადმი მიდგომას და გაზრდის ფორმატის ქმედუნარიანობასა და პროდუქტიულობას. ვგულისხმობთ სამუშაო ჯგუფების რეკომენდაციების სანაცვლოდ, რომელთაც არა აქვთ შესრულების ვალდებულება, მოქმედი ფორმატის სტატუსის გაზრდას და ა.შ.

მართალია, „მშვიდობას ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს ძალა, რომელსაც სახელმწიფოების გათვლებზე გავლენის მოხდენა შეუძლია“¹, მაგრამ გასათვალისწინებელია ორი მნიშვნელოვანი გარემოება: 1. „საქართველო, დღესაც, როგორც საუკუნეების განმავლობაში, დგას ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე. მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა მუდმივად განპირობებულია სხვა სახელმწიფოთა ინტერესების გადაკვეთით.

იგი კვლავ რჩება ღერძულა სახელმწიფოების გავლენის სფეროში. ამიტომ, ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანები და ეროვნული ინტერესების განხორციელება განსაკუთრებულ გონიერებასა და ძალისხმევას მოითხოვს. და იმისათვის, რომ საქართველომ შეძლოს მის წინაშე მდგარი უმთავრესი ამოცანების შესრულება, მან უნდა გაითვალისწინოს რეგიონსა და მსოფლიოში არსებულ ძალთა პოლიტიკური ბალანსი“². 2. დიდი სახელმწიფოების გათვლებში უნდა გვეჩიროს არა აბსოლუტური ძალის, არამედ, ე.წ. აგრეგირებული სტრუქტურული ძალის პოზიცია, რომელიც მიმართულია არა აბსოლუტური ძალის, არამედ, კონკრეტული საკითხის გარშემო მობილიზებული ძალის წინააღმდეგ.

დასავლურმა პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა მსოფლიოს მშვიდობისა და კეთილდღეობის, საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების უზრუნველყოფის ახალი მიდგომა შესთავაზა – სამეცნიერო დიპლომატიის სახით. იგი ეფუძნება მსოფლიო გამოცდილებას და, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული სამეცნიერო – ტექნიკური და ეკონომიკური პრობლემების მოწესრიგების პარალელურად, ზრდის ნდობასა და ჩართულობის პროცესს ურთიერთთანამშრომლობის პროცესში.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კონფლიქტების სამშვიდობო რეგულირების შემოთავაზებული მოდელებით, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებს, სამთავრობო და არასამთავრობო რესურსებსა და მათ, ძირითადად მაინც, სახელმწიფოს მხრიდან არაგეგმიურ და არაკორდინირებულ საქმიანობას ეყრდნობა, ჯერ კიდევ მიღწეული არ არის თანამედროვე პოლიტიკური პროცესების „ჩიხში შესული“ კონფლიქტების აღმოფხვრა. მაგალითად, ისეთი კონფლიქტები, როგორიცაა: აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი (საქართველო), მთიანი ყარაბაღი (აზერბაიჯანი), დნესტრისპირეთი (მოლდოვა), ბოსნია, ჰერცეგოვინა, კოსოვო

1 ბრუს ჯენტლესონი. ამერიკის საგარეო პოლიტიკა, არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში, თბილისი, 2015. გვ. 11-12.
2 <http://www.parliament.ge/uploads/other/49/49745.pdf>

(ყოფილი იუგოსლავია), ქაშმირი (ინდოეთი), კვიპროსი (საბერძნეთი, თურქეთი), ტაივანი (ჩინეთი), ჰონგ კონგი (ჩინეთი), სამხრეთი ტიროლი (იტალია) და ა.შ. არსებული მდგომარეობის დრამატიზების ნაცვლად, თუ არ გვინდა ქართული სახელმწიფო პოლიტიკა რეალური პრობლემებისგან გაქცევას დაემსგავსოს, აუცილებელია ფილოსოფიური გააზრება (ზედმეტი პოლიტიზების გარეშე), მიდგომა დაგვეხმარება უპირველესი ამოცანის გარკვევაში – „თუ რა გვჭირს“, „რა სენით ვართ შეყრობილნი“ (დაავადებულნი) და როგორ მოვეძვნოთ გამოსავალი, რომელიც, ძირითადად მაინც, ქართველი ხალხისა და მისი ხელისუფლების სტრატეგიულ აზროვნებაზე, ჩვენს აზროვნებაში „ნესრიგის დამყარებაზე“, გონიერებასა და ქმედუნარიანობაზე იქნება დამოკიდებული.

კონფლიქტის დარეგულირების ორი გზა არსებობს: ძალისმიერი და მშვიდობიანი. ამდენად, ჩვენ, ქართველები, არჩევანის წინაშე არ ვდგავართ. ქვეყნის მთლიანობის უზრუნველყოფის ერთადერთ საშუალებად მხოლოდ მშვიდობიანი თანაარსებობა გვესახება. არჩევანამდე – რა გზას დავადგეთ – აუცილებელია, სწორად განვსაზღვროთ სახელმწიფოს ახალი მიზანი, დავასაბუთოთ მისი საჭიროება, სარგებლიანობა, მათ შორის, გარე სამყაროსთვის და სისტემური მიდგომით ჩამოვყალიბოთ მიზნის მიღწევის, მსოფლმხედველობისა და გარემო პირობების შესაბამისი, თანამიმდევრული, სტრატეგიული მოქმედების ერთიანი გეგმა (პროგრამა – პროექტი). არსებული რესურსებით (ინსტიტუციებით), ამის განხორციელება შეუძლებელია. ამიტომ, ვფიქრობთ, საჭიროა ახალი, არაპოლიტიზებული ინსტიტუცია, ინტელექტუალური რესურსი, რომელიც პოლიტიკის ველზე შეავსებს კონფლიქტების რეგულირების არჩეულ სტრატეგიას და ხელს შეუწყობს დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთობების გაჯანსაღების (თუნდაც, საკუთარი პრაგმატული ინტერესებიდან გამომდინარე) აუცილებლობის გაცნობიერებას.

ჩვენი სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზა ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური და მულტიეთნიკურია. იგი დღეს გადის განათლებაზე, როგორც სისტემურ ქმედებათა პროცესზე, მის უმაღლეს მწვერვალზე მეცნიერებაზე, როგორც ობიექტური ცოდნის ჭეშმარიტ წყაროზე და მოტივირებულ, პრაგმატულად მოაზროვნე და საზოგადოების ყველაზე ჯანსაღ ნაწილზე, როგორც ჩვენს შემდგომ თაობაზე - ახალგაზრდობაზე.

ინსტიტუცია, რომელიც მოიცავს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდების ერთობას, არის საგანმანათლებლო დაწესებულება. მას აქვს შესაძლებლობა, არა მხოლოდ დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნები (ისე, რომ თავად არ დაზარალებეს), მოახდინოს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გენერირებისა და ფორმირების თავისუფალ საბაზისო სივრცედ გარდაქმნა და იქცეს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების საწყისად. ასეთი ინსტიტუცია ერთადერთია და ეს არის უნივერსიტეტი. დიახ, უნივერსიტეტი – ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გენერირებისა და ფორმირების საბაზისო სივრცე, ყველგან და ყველა დროში განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჰუმანური ტრადიციების, პროგრესის, ცივილიზაციისა და, რაც მთავარია, თავისუფლების სიმბოლო.

უნივერსიტეტის იდეა, ანუ მისია, თავის თავში მოიცავს ისეთ პრინციპებს როგორებიცაა: თავისუფლება, ჰუმანიზმი, სეკულარიზმი, დემოკრატია, ტოლერანტობა, როგორც ადამიანური საწყისის ნამდვილი ტრიუმფი და ა.შ. სწორედ ამ ლიბერალური ღირებულებების საფუძველზე მოხდა საერთო ევროპული ცნობიერების ჩამოყალიბება, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, ინდუსტრიალიზაცია, ეკონომიკის მოდერნიზაცია და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება.

მსოფლიოს მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი, როგორც განათლების ელიტური კერა:

- აერთიანებს ისტორიულად მიღებულ ტრადიციულ ცოდნასა და თანამედროვე, ინოვაციურ მიდგომებს;

- ხელს უწყობს ზოგადსაკაცობრიო პრობლემების, თაობებსა და განსხვავებული ინტერესების მქონე აქტორებს შორის არსებული წინააღმდეგობების დაძლევას;

- სუბიექტური და სარგებლის მიღების ობიექტური, პრაგმატული პოზიციიდან გამომდინარე, იგი, როგორც მთავარი ბენეფიციარების სტუდენტისა და პროფესორის დამაკავშირებელი ინსტიტუცია, ბუნებრივად წარმოქმნის მათი ურთიერთთანამშრომლობის, ინფორმაციის მიღება-გაცვლის შესაძლებლობისა და ინტერესების სინერგიის აუცილებლობას, უზრუნველყოფს მემკვიდრეობითობის პრინციპების დაცვასა და რეალიზაციას;

- ხასიათდება პრაქტიკული ფილოსოფიისა და ჰუმანური პოლიტიკის მთავარი ცნებების, დასა-

ვლური აზროვნების ძირითადი ღირებულებების პიროვნული და მეცნიერული თავისუფლების მაღალი ხარისხით. იგულისხმება საუნივერსიტეტო, ანუ აკადემიური თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობა, რომლის გარეშეც შეუძლებელია კრეატიული აზროვნების ფორმირება და განვითარება;

– სარგებლობის ისტორიულად დამკვიდრებული ინსტიტუციური ერთეულის მიმართ საზოგადოების ნდობითა და მოლოდინებით. ორიენტირებულია მომავლის სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაზე, რომელსაც შეუძლია ეროვნული ფასეულობების მიხედვით სახელმწიფოსა და ხალხის ბედის განსაზღვრა.

– სხვა შესაძლებლობებთან ერთად, განათლების, ინფორმაციის მიღების, ახალი ცოდნის წარმოქმნა-გავრცელების, ინდივიდუალური უნარების გამოვლენისა და მათი განხორციელების, კრიტიკული, შემოქმედებითი, სტრატეგიული, ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი აზროვნების, სწორი, ცოდნაზე დაფუძნებული, დროის გამოწვევების შესაბამისი ხედვების ფორმირების მყარი საფუძველია;

– არის პროგრესისა და უწყვეტობის პროცესი, სადაც ყალიბდება საშუალო კლასი და ელიტა, ვითარდება ეროვნული კულტურა, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდობაში. რაც მთავარია, ის ადგილია, სადაც ნათლად ვლინდება ეპოქის შემეცნება და „ჭეშმარიტების ძიების გზა, როგორც ადამიანის, დამოუკიდებელი ინდივიდის, პრეროგატივა“¹.

– აჩენს რეალურ შესაძლებლობას, ფორმირებადი გლობალური სივრცის ქარტეხილებში გამოატაროს დროსთან ადაპტირების ეროვნული ენერგია, შეასრულოს თვითრეგულირების უნარის შენარჩუნება-განმტკიცების ისტორიული, საგანგებო მისია და სხვ.

უნივერსიტეტი, დღევანდელ პირობებში, საკუთარი ფუნქციის ახლებური გააზრების საფუძველზე და განახლებული მისიის მეშვეობით, აჩენს შესაძლებლობას, იქცეს ქვეყნის მუდმივი პროგრესის, განათლების, კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ კერად, საერთაშორისო არაფორმალური პოლიტიკის სუბიექტად, რომელიც საერთაშორისო სამეცნიერო სკოლების თანამედროვე თეორიების აქტიურ განხილვასთან ერთად, საზოგადოებას წარუდგენს ინტერდისციპლინარულ კვლევებზე დაფუძნებულ პროექტებს, პრობლემების, მათ შორის ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადანეწყვის ალტერნატიულ რეკომენდაციებს და ა.შ.

რიულ მთლიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადანეწყვის ალტერნატიულ რეკომენდაციებს და ა.შ.

ცხადია, უნივერსიტეტი დაარსების დღიდან პოზიციონირებს, როგორც უნივერსალური საგანმანათლებლო კერა, რომლის გარეშე წარმოუდგენელია რაიმე სახის საზოგადოებრივი წარმატება და განვითარების პერსპექტივის სწორად განსაზღვრა. სწორედ უნივერსიტეტის ნიალში იშვა „ახალი ევროპის“ ფორმირების იდეა, მაგრამ ფაქტია, ევროპაშიც და, ზოგადად, მსოფლიოშიც არის სერიოზული პრობლემები, რომელთა მოგვარებაც, სამწუხაროდ, არსებული მიდგომების საფუძველზე ვერ ხერხდება. ფაქტია, უნივერსიტეტი დღეს სრულად ვერ ასრულებს თავის რეალურ ფუნქციას – პრობლემების მიმართ ვერ აყალიბებს ერთიან ხედვასა და ვერ გვთავაზობს პრობლემათა დაძლევის მექანიზმს. ვფიქრობთ, არსებული მდგომარეობის ახსნა ამგვარად არის შესაძლებელი:

I. ჩვენი წარმოდგენა უნივერსიტეტის, ანუ, მისი შესაძლებლობების შესახებ გადაჭარბებულია;

II. უნივერსიტეტი (განათლება და მეცნიერება) „ჩამორჩა დროს ცვლილების პროდუქტს, ვერ იქცა მნიშვნელოვან სოციალურ პოლიტიკურ ძალად და ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, მისი მოდერნიზაცია, შემდგომი განვითარება. უნივერსიტეტს მართალია, აქვს განვითარების რესურსი, არსებული ცოდნის აკუმულირებისა და მეცნიერული მეთოდოლოგიის გამოყენებით, ახალი პრაქტიკის შექმნის შესაძლებლობაც. მაგრამ, სამწუხაროდ, თანამედროვე პრობლემებისთვის გამკლავებისა და შიდა ტრანსფორმაციისთვის, ეს საკმარისი არ არის.

ამდენად, აუცილებელია, განვსაზღვროთ, თუ რა ტიპის პრობლემებთან გვაქვს საქმე. ზოგადად, როდესაც გლობალურ პრობლემებზეა საუბარი, უპირველეს ყოვლისა, კონფლიქტებს გულისხმობენ (შიდაეთნიკურს, პოლიტიკურს, ეთნოპოლიტიკურს, სამხედროს, სოციალურს, რელიგიურს, ეკონომიკურს...), რაც არ არის გასაკვირი, რადგან, თანამედროვე კონფლიქტები, სოციალურ ცხოვრებაში ნეგატიური გავლენის მქონე ყველაზე მასშტაბიანი მოვლენებია. ვფიქრობთ, უნივერსიტეტი მაყურებლის მდგომარეობისა და „კარგი დროის“ მოლოდინის რეჟიმში ვერ იქნება

¹ კარლ იასპერსი. უნივერსიტეტის იდეა. <http://www.socium.ge/index.php/articles/education/60-2012-08-07-20-16-19>, ბოლო ნახვა 2024 წლის 5 თებერვალი.



(ვინც კარგ დროს ელოდება, იგი ცუდს ახანგრძლივებს) და პრობლემატიკა ფუნდამენტურ დონეზე უნდა შეისწავლოს. ვგულისხმობთ, არა კონკრეტულად კონფლიქტის, როგორც ჩვენი ლოკალური პრობლემის, არამედ, ზოგადად, ყველა ტიპის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების საფუძვლის, ანუ, ზოგადად, ყველა დაპირისპირების საწყისის ქვეყნებს შორის გაუცხოების დადგენას, მისი შემდგომი აღმოფხვრის მიზნით.

ამოცანა მეტად რთულია და უნივერსიტეტისგან მოითხოვს არა მხოლოდ ცოდნასა და გამოცდილებას, ან მათ გაღრმავებას, არამედ არსებით გარდაქმნასა და ახალი მეცნიერების, როგორც ახალი ცოდნის წარმოქმნას – მის დაბადებას. სამწუხაროდ, საამისო რესურსი და გამოყენების შესაძლებლობა, დღევანდელ უნივერსიტეტს დამოუკიდებლად, როგორც ერთ სუბიექტს, არ გააჩნია. მეტიც, რაგინდ გაგვიკვირდეს, დღეს თავად უნივერსიტეტის იდეა განიცდის კრიზისს და ესაჭიროება დროსთან ადეკვატური ინოვაციური იდეებითა და განვითარებაზე ორიენტირებული მოქმედებით განახლება¹.

თუ გავითვალისწინებთ იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, რაც ბუნების კანონით განსაზღვრულ აუცილებელ პირობას წარმოადგენს – ახალი სიცოცხლის მიცემა შეუძლია მხოლოდ ორ სუბიექტს, მათი აუცილებელი თავსებადობის შემთხვევაში, „დანყვილებით“. ვინ, ან რა შეიძლება იყოს ის ჯანსაღი, უნივერსიტეტთან თავსებადი, რომელიც უნივერსიტეტის მსგავსად, განუმეორებელი და ამოუწურავი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ამართლებს თავის არსებობის აუცილებლობას, აქვს მდიდარი წარსული – ფესვები, მომავალი, სარგებლობს მაღალი ავტორიტეტითა და საზოგადოების მხოლოდ დადებითი მოლოდინიდან გამომდინარე, ასოცირდება მშვიდობასა და ხელოვნებასთან? ამ ურთულეს კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გამოვიდეთ ჩვენი და, ზოგადად, ყველაზე დიდი პრობლემის – კონფლიქტის დარეგულირების მიზნიდან. ფაქტია, რომ ყველა კონფლიქტის წარმოქმნის საფუძველი, ნაირსახეობის მიუხედავად, ყველასთვის საერთოა და იგი, ურთიერთობების გაუცხოებაში უნდა ვეძებოთ. ვგულისხმობთ, როგორც ადამიანებსა და სოციალურ ჯგუფებს, ასევე, ინსტიტუტებს, ქვეყნებს...

ამდენად, როგორც კონფლიქტის დაძლევის, ასევე უნივერსიტეტის მისიისა და საერთო მიზნის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვისაც შეუძლია,

იქცეს უნივერსიტეტის უმნიშვნელოვანეს პარტნიორად, არის მხოლოდ – დიპლომატია. მართალია, იგი, უნივერსიტეტის მსგავსად, მოდერნიზაციის მიუხედავად, ჩამორჩა დროს, მაგრამ მას, როგორც ურთიერთობების ხელოვნებას, ერთადერთს აქვს პოტენციალი – დიპლომატია (მშვიდობიანი მოლაპარაკებები) მაღალ მეცნიერულ დონეზე აიყვანოს, რისი რეალიზაციაც მხოლოდ უნივერსიტეტშია შესაძლებელი.

ცოტა რამ დიპლომატიიაზე:

ნაშრომის შესავალში უკვე აღვნიშნეთ, რომ „დიპლომატია“ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ადამიანთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთი ურთულესი და, ამავდროულად, მეტად საჭირო სფეროა, რომელმაც დღემდე განვითარების რთული და დაბრკოლებებით აღსავსე გზა განვლო.

დიპლომატიაზე ბევრი დანერგა და მომავალშიც ბევრი დაინერგება. მისი, როგორც საგნის, მრავალფეროვანი და ხშირად განსხვავებული შეფასებების მიუხედავად, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ეპოქაში დიპლომატიის მნიშვნელობა იზრდება და მისი მოქმედების არეალი ფართოვდება. ფაქტია, დღემდე არასდროს ყოფილა სამყარო ძლიერ, პროგნოზირებად, თანამიმდევრულ, ერთიან სტანდარტებსა და კრიტერიუმებზე დაყრდნობილ დიპლომატიაზე ესოდენ დამოკიდებული.

დიპლომატია სათავეს იღებს საგარეო ურთიერთობების, საგარეო პოლიტიკის არსებობის დღიდან. პოლიტიკური ტერმინი – დიპლომატია ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს ორ შეტყუებულ ფიცარს ან პატარა დაფებს წარწერით: „დიპლომა.“ მათ თან ატანდნენ ელჩებს, მათი მისიის, უფლებებისა და მოვალეობების განსახორციელებლად. ცნება „დიპლომატია“ თანდათანობით დაიხვეწა შინაარსობრივად, გამოიკვეთა, მისი ადგილი, დანიშნულება სახელმწიფო პოლიტიკაში და შეიძინა საერთაშორისო საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლის – საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების სათანადოდ განხორციელების ფუნქცია.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ერთმანეთისგან განასხვავებენ დიპლომატიის სამ გაგებას:

I. მსოფლიო პოლიტიკაში რეპუტაციის მქონე სახელმწიფოებსა და სხვა ერთეულებს შორის ურთიერთობის წარმართვა ოფიციალური აგენტების

მიერ მშვიდობიანი საშუალებებით. ეს ამ ტერმინის ყველაზე ფართო გაგებაა¹;

II. ოქსფორდის ინგლისურ ლექსიკონში წარმოდგენილია სერ ჰაროლდ ნიკოლსონის გაანმარტება: „დიპლომატია არის საერთაშორისო ურთიერთობების მართვა მოლაპარაკებების საშუალებით; მეთოდი, რომლითაც ეს ურთიერთობები ერთმანეთთან შესაბამისობაში ექცევა ელჩებისა და დესპანების მიერ: დიპლომატიის საქმიანობა ან ხელოვნება“²;

III. საერთაშორისო ურთიერთობების იმგვარი წარმართვა, რომელიც ამ ტერმინის ყოველდღიური მნიშვნელობით გამოიყენება. ჰედლი ბულის მოჰყავს, ამ თვალსაზრისით, სერ ერნესტ სატოუს განთქმული განსაზღვრება: „დიპლომატია არის ინტელექტისა და ტაქტის გამოყენება დამოუკიდებელი სახელმწიფოების მთავრობებს შორის ურთიერთობების წარმართვისთვის, რაც ხანდახან ამ მთავრობების ვასალურ სახელმწიფოებთან ურთიერთობებზეც ვრცელდება; ან კიდევ უფრო მოკლედ, სახელმწიფოებს შორის საქმიანობის წარმართვა სამშვიდობო მეთოდებით“³.

ჩვენს შემთხვევაში, განსაკუთრებული ინტერესის საგანი და შესწავლის ობიექტია დიპლომატია, როგორც საქართველოს – საერთაშორისო სამართლის სუბიექტის – გარე სამყაროსთან ურთიერთობის (საგარეო პოლიტიკის), ასევე, ქვეყნის შიგნით მშვიდობიანი გზით მოლაპარაკებათა წარმოების, საკუთარი მოქალაქეების უფლებებისა და ქვეყნის ინტერესების დაცვის ინსტრუმენტი. უფრო ზუსტი მნიშვნელობით კი, იგი მოლაპარაკებების მეცნიერებაა და ურთიერთობის ხელოვნება. ან, უბრალოდ, ხელოვნება – საქმის ცოდნით განახორციელოს, წარმართოს და აწარმოოს პოლიტიკური მოლაპარაკებები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. მართალია, დიპლომატიების მსჯელობის საგანია შეიარაღებული კონფლიქტები ეთნიკურ ჯგუფებს, ერებს, ქვეყნის შიგნით, ქვეყნის გარეთ, ქვეყნებს შორის და ა.შ. მაგრამ, მათი საქმიანობა განსხვავდება სამხედრო-ოპერატიული საქმიანობისგან და მხოლოდ მშვიდობიან ხასიათს ატარებს. კერძოდ, იგი მხარეებს შორის საერთო ინტერესების მოძებნასა და კონფლიქტური საკითხების გარკვევას ემსახურება – მხოლოდ და მხოლოდ მოლაპარაკებების

გზით. „დიპლომატიის არდადეგების ომი ეწოდება“ (გუსტავ იუნგი – შვეიცარიელი ფსიქიატრი და ფსიქოთერაპევტი), დიპლომატიის მარცხის შედეგი კონფლიქტია. კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება, განსხვავებული, ხშირად დიამეტრალურად საპირისპირო ინტერესების მორიგება, დაინტერესებულ მხარეების შორის დარღვეული ინტერესთა წონასწორობის აღდგენა და მათი თანამშრომლობის უზრუნველყოფა – დიპლომატიის უმთავრესი დანიშნულებაა.

ტერმინმა „დიპლომატია“ – მიუხედავად იმისა, რომ შეინარჩუნა თავისი კლასიკური ფუძე და დღემდე მოიხსენიება პოლიტიკის წარმართვის (ძირითადად საგარეოს) იმ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად, რომელიც სახელმწიფო მიზნების შესრულებას ემსახურება, თანამედროვე გამოწვევების ფონზე განიცადა ტრანსფორმაცია, დაკარგა ერთმნიშვნელოვანი განმარტება და შეიძლება ითქვას, რომ საჭიროების შედეგად გაფართოვდა მისი მნიშვნელობა.

დღეს საზოგადოებრივი ინტერესი დიპლომატიისა და ზოგადად საგარეო პოლიტიკის (ასევე საშინაოს და საგარეოს) მიმართ საგრძნობლად იზრდება. მისი პრინციპები, განხორციელების მეთოდები და საშუალებები საზოგადოებისთვის, ინფორმაციისადმი თავისუფალი წვდომის გამო, კოგნეტიურად და ემოციურად ხელმისაწვდომი გახდა. რის შედეგადაც, ეს სფერო ფართო მასებისთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანია. ზოგადად, პოლიტიკისადმი ინტერესმა და საზოგადოების ჩართულობამ გააღრმავა სახელმწიფოთა დემოკრატიული პრინციპები, გახადა საზოგადოებრივი ინსტიტუტები უფრო ძლიერი და დამოუკიდებელი, ჩამოაყალიბა თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოება, რამაც, თავის მხრივ, დასავლური ცივილიზაცია მიიყვანა ეკონომიკურ და პოლიტიკურ წარმატებამდე.

ფაქტია, სწორედ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისა და კონტროლის გარეშე დარჩენილი პოლიტიკური სისტემა, შესაძლოა, აღმოჩნდეს, როგორც ქვეყნის შიგნით მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში, აგრეთვე, სხვა სახელმწიფოების, ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ აღებული ვალდებულებების ტყვეობაში. ამგვარ ვითარებაში, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა

1 ჰედლი ბული. ანარქიული საზოგადოება: წესრიგის საკითხი მსოფლიო პოლიტიკაში, მთარგმნელი გიორგი ხელაშვილი, თბ., 2003. გვ. 178.

2 ჰედლი ბული, ავტორს მხედველობაში აქვს ოქსფორდის ენციკლოპედია.

3 Harold Nicolson, Diplomacy (Oxford University press), 1950.P.15. შდრ. ჰედლი ბული. ანარქიული საზოგადოება: წესრიგის საკითხი მსოფლიო პოლიტიკაში, გვ. 178.

ვერ იქნება ეფექტიანი და მაშასადამე, ვერცერთი პარტიის პოლიტიკა და წინასაარჩევნო პროგრამა ვერ ჩაითვლება სრულყოფილად. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველო, სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნის შიგნით დემოკრატიულ პრინციპებზე, სახელმწიფო-საზოგადოების ვერტიკალურ ურთიერთობებზე დაყრდნობით, ჩამოყალიბდეს საგარეო პოლიტიკური ხედვა და მისი განხორციელების ერთგვარი დიპლომატიური გზამკვლევი, განერილი დროსა და სივრცეში.

კვლევები გვიჩვენებს, რომ მსოფლიოში აქტიურად მიმდინარე გლობალიზაციისა და ციფრული ტექნოლოგიების განვითარების პროცესები ზღუდავს ტრადიციული პროფესიების გამოყენების არეალს. ამასთან, მხოლოდ ძლიერდება ისეთი „კონსერვატიული“ პროფესიის მნიშვნელობა, როგორიცაა დიპლომატია. ჩვენს თვალწინ ყალიბდება ახალი პოლიტიკური რეალობა: იზრდება ყველა მოთამაშისთვის (მიუხედავად „ზომისა და წონისა“), ქცევის ერთიანი წესების მნიშვნელობა. ამასთან, საქართველოსთვის განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის ის გარემოება, რომ აღნიშნულ წესებზე ღია იერიშის მიტანის შედეგად, სახეზეა 21-ე საუკუნეში ევროპის ტერიტორიაზე უკვე ორი ღია კონფლიქტი (2008 წელს – საქართველოში და 2014 წელს – უკრაინაში).

გლობალურ პროცესებთან ერთად, დიპლომატია არ უნდა ჩამორჩეს საზოგადოების დინამიურ განვითარებას, რაც ასოცირდება საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც არა მხოლოდ ოფიციალურ პირთა მოლაპარაკებების უპრეცედენტო გააქტიურებასთან, ხალხთა შორის ურთიერთქმედების ახალი ფორმებისა და მეთოდების განვითარებასთან. აღნიშნული პროცესები იწვევს დიპლომატიის ახალი სახეობებისა და ფორმების გაჩენას. ვინც ამ პროცესებს დროულად შეაფასებს, გაიაზრებს და გამოიყენებს, შეიძენს მოვლენების განვითარებაზე ზემოქმედების სრულიად ახალ ბერკეტებს. ინფორმაცია რეალურ დროში გადაიცემა ათასობით კილომეტრზე, იგი მყისიერად ხდება მილიონების საკუთრება. შედეგად, დღეს, არსებითად, ყველა მოქალაქეს აქვს საკუთარი წარმოდგენა, როგორც დიპლომატიაზე, ასევე ზოგადად საშინაო, საგარეო და გლობალური პოლიტიკის პრობლემებზე.

დიპლომატია უკლებლივ ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ განსაკუთრებით ისეთ მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოსთვის, რო-

გორიცაა საქართველო. ვგულისხმობთ ჩვენს ძლიერ მეზობელთან, მათ შორის ტრადიციული დიპლომატიის სფეროში, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთან, რუსეთის ფედერაციასთან (გასაგები მიზეზების – ჩვენი მიწა-წყლის ნაწილის დროებითი ოკუპაციის გამო) დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტას, რამაც გამოიწვია ერთიანი ცოცხალი ორგანიზმის ქართული სახელმწიფოს სივრცეებად დაყოფა, გამყოფი ხაზები ეთნოსების დროებითი განცალკევება და ზოგადად საერთო კეთილდღეობის პერსპექტივის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება. ეს არის ის რთული რეალობა, რომელშიც ჩვენს ქვეყანას უწევს საკუთარი სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, საზღვრების ხელშეუხებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

ამასთან, საქართველოს აქვს საკუთარი უპირატესობები: ისტორიული სამართლიანობა და საერთაშორისო სამართალი – თანამედროვე მსოფლიო წესრიგის საყრდენი. მართალია, კარგია ჩვენი ამ უპირატესობის, როგორც რესურსის ფლობა, მაგრამ აუცილებელია მისი გამოყენების შესაძლებლობის გაჩენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, რესურსმა შეიძლება, ჩვენი ქვეყნის ინტერესის წინააღმდეგ იმუშაოს (რაც არაერთხელ დაგვემართა). სწორედ ამ მიზნის რეალიზაციის საჭიროება განაპირობებს ძლიერი დიპლომატიის აუცილებლობას.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ დიპლომატიის მხოლოდ ტრადიციული მეთოდებისა და ფორმების გამოყენებით რთული იქნება საერთაშორისო ასპარეზზე არსებულ პრობლემებთან და გამონეწევებთან გამკლავება.

საქართველომ დაიმკვიდრა ავტორიტეტი, უპირველესად, რეგიონში, როგორც ერთ-ერთმა გამორჩეულმა გეოსტრატეგიული (გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური) მნიშვნელობის მქონე სამხრეთ კავკასიურმა ქვეყანამ და „დიდი კავკასიის“ ნაწილმა. ქართული დიპლომატია შეეცადა, გრძელვადიანი დაბალანსებული, განონასწორებული და ამოცნობადი პოლიტიკა განეხორციელებინა. მიუხედავად ამისა, შემდგომი წინსვლის შესაძლებლობები უკიდურესად შეიზღუდება, თუ დიპლომატიის მოქმედება შემოიფარგლება მხოლოდ მოქმედი ტრადიციული მეთოდებითა და ფორმებით.

საქართველომ განაცხადა, რომ საკუთარ ინტერესებს დაიცავს მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით, სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე¹.

1 Georgia Makes 'Unilateral Pledge' of Non-Use of Force Civil Georgia, Tbilisi / 23 Nov.'10 / 17:09 [https:// old.](https://old.)

ეს ნიშნავს, რომ უპირველესი ამოცანის, ქვეყნის მთლიანობის აღდგენის მიზნით, არსებული კონფლიქტებისა და მათთან დაკავშირებული რთული გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური და სხვა პრობლემების გადაწყვეტა ქვეყანას მოუწევს მხოლოდ „რბილი ძალის“, მათ შორის დიპლომატიის აქტიური ჩართულობითა და მხოლოდ მასთან ერთად. შექმნილი ვითარება გვაიძულებს, გადავხედოთ დიპლომატიისადმი ჩვენს დამოკიდებულებას, ვიფიქროთ მისი ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებაზე, გავაძლიეროთ სახელმწიფოს მაკოორდინებელი როლი, უზრუნველყოთ ყველა ინსტიტუტის, მათ შორის, საგანმანათლებლო და არასახელმწიფო კომპონენტების კოორდინირებული საქმიანობა, დიპლომატიის სფეროში ქვეყანაში არსებული საუკეთესო ინტელექტუალური და პროფესიონალური რესურსის მაქსიმალური გამოყენება, დარგის მაღალი დონის სპეციალისტების მომზადება (მათ შორის, საქართველოს მიერ დროებით არაკონტროლირებადი რეგიონებიდანაც), რომლებიც იქნებიან „შეიარაღებული“, როგორც ფუნდამენტური თეორიული ცოდნით, ასევე პრაქტიკული დიპლომატიური საქმიანობის უნარ-ჩვევებით.

საერთო ინტერესების ძებნისა და კონფლიქტური საკითხების მშვიდობიანი დარეგულირების მექანიზმების შემუშავების მიზნით, დიპლომატია ყალიბდებოდა საზოგადოებრივი მოთხოვნების საფუძველზე, რის შედეგადაც გამოიყო შემდეგი დარგები: – პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, ბოლო პერიოდში ტექნოლოგიური და ციფრული, აგრეთვე, დიპლომატიაში ახალ ფორმებად ჩამოყალიბდა – სახელმწიფოთაშორისო, სამეცნიერო, საჯარო, ანუ სახალხო, სავაჭრო, სამედიცინო, მრავალშრიანი, პუბლიცისტური, სახელოვნებო, ტურისტული, საფეხბურთო დიპლომატიაც კი...

ზოგადად, მიმოვიხილოთ ჩვენი განსაკუთრებული ინტერესის საგნად ქცეული, რამდენიმე მათგანი:

– **სახალხო დიპლომატია** შედარებით ახალი მოვლენაა, რომელმაც განსაკუთრებული აქტუალურობა 21-ე საუკუნეში მოიპოვა, როდესაც პოლიტიკურმა ელიტებმა გააანალიზეს, რომ მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური დიპლომატია ვერ უზრუნველყოფს სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებებს შორის ურთიერთობების გაღრმავებასა და ჰარმონიზაციას. სახალხო დიპლო-

მატიის მეშვეობით, საზოგადოების ფართო ფენებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ქვეყნებს შორის, როგორც ეკონომიკური, ასევე, კულტურული მიმოსვლა, რამაც, თავის მხრივ, ქვეყნებს შორის ურთიერთობა უფრო ჰუმანური და საყოველთაო კეთილდღეობაზე ორიენტირებული გახადა. სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და ეფექტიანი ძალაა სტუდენტობა. სხვადასხვა ქვეყანაში სტუდენტების მიმოსვლა ორიენტირებულია განათლების გაზიარებაზე, კულტურების გაცვლაზე, ტურიზმზე, კვლევით-საგანმანათლებლო სფეროში მეტი, როგორც ეკონომიკური, აგრეთვე, ფინანსური რესურსის მოზიდვაზე.

– **ეკონომიკური დიპლომატია** ნიშნავს ქვეყნის ეკონომიკური სპექტრის ყველა შესაძლო ინსტრუმენტის გამოყენებას, რა თქმა უნდა, მისი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. ეკონომიკური დიპლომატია შეიძლება მოიცავდეს სახელმწიფოს ყველა ძირითად საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობას;

– **კულტურული დიპლომატია** სახალხო დიპლომატიისა და „რბილი ძალის“ ის სახეობაა, რომელიც მოიცავს ერებსა და საზოგადოებებს შორის იდეების, ინფორმაციის, ხელოვნების, ენისა და სხვა კულტურული ასპექტების შეცნობას, გაცვლას, რათა ხელი შეუწყოს ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას. კულტურული დიპლომატიის მიზანია, სხვადასხვა კულტურის მატარებელმა ხალხებმა შეიმუშაონ საერთო იდეალებისა და ინსტიტუციების გაგება, რათა ქვეყნებს შორის ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნებისათვის ფართო მხარდაჭერა შეიქმნას;

– **მრავალშრიანი დიპლომატია** (Multi-track diplomacy) მოიაზრებს აბსტრაქტულ გზას, რომელიც საერთაშორისო მშვიდობის დამყარების პროცესს რეალურად მიიჩნევს. მრავალშრიან დიპლომატიაში საზოგადოების ყველა სექტორი მნიშვნელოვანია, საჭიროა მათი მოსმენა, ჩართვა და წახალისება; საჭიროა მათი გაცნობიერება ერთიანად კონფლიქტის გაანალიზებაში, მისი მშვიდობიანი მოგვარების გზაზე, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ მოხდეს ძალადობრივი კონფლიქტის პრევენცია ან დასრულდეს დაწყებული კონფლიქტი. ეს არის ერთმანეთთან დაკავშირებული ინდივიდების, ინსტიტუციებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების აქტივობების ჯაჭვი, რომელიც ერთდროულად ხორციელდება რეალურ



ცხოვრებაში და მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისკენაა მიმართული;

კომერციული დიპლომატია (Commercial Diplomacy) – დიპლომატიის ეს ფორმა მოიაზრებს მთავრობის მიერ კომერციული ინტერესებისა და დიდი საწარმოების გამოყენებას საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგზე ზემოქმედებისთვის. კომერციული დიპლომატია ეფუძნება შიდა და გარე ინვესტიციებისა და წარმოების განვითარების ხელშეწყობას;

– სამოქალაქო დიპლომატია (Citizen diplomacy) – არის პოლიტიკური კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, ხდება მოქალაქეთა ჩაბმა ქვეყნის რეპრეზენტაციის პროცესში. როდესაც ოფიციალური კომუნიკაციის არხები არ არის სათანადო, ან სასურველი. სამოქალაქო დიპლომატია იდეალური საშუალებაა მხარეებს შორის ურთიერთობის შენარჩუნებისთვის. მოქალაქე დიპლომატები შესაძლოა, იყვნენ სტუდენტები, მასწავლებლები, სპორტსმენები, ხელოვანები, ბიზნესმენები, ტურისტები, სამშვიდობო აქტივისტები. მათზე მინდობილია პასუხისმგებლობა, რომ ჩაერთონ დანარჩენ მსოფლიოსთან ორმხრივი სარგებლის მომტან, შედეგიან ურთიერთობაში და სხვებიც ჩართონ მასში;

– დიდი ჯოხის დიპლომატია (Big Stick Diplomacy) – ეს სახელწოდება უკავშირდება თეოდორ რუზველტის სახელს, რომელმაც ციტატა მოიხმო ძველადრეკული ანდაზიდან: „**ილაპარაკე რბილად და გეჭიროს დიდი ჯოხი და შორს წახვალ**“. ეს იყო საგარეო პოლიტიკა, რომელიც შემდგომ Roosevelt Corollary- იდ იქნა წოდებული. Roosevelt Corollary აცხადებდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონდა უფლება, „საერთაშორისო საპოლიციო ძალაუფლება“ გაეგრძელებინა დასავლეთ ნახევარსფეროზე. ეს გულისხმობდა, რომ სხვა ქვეყნებს არ უნდა ჰქონოდათ შესაძლებლობა, დასავლეთ ნახევარსფეროში გამოეწვიათ რაიმე სახის უნესრიგობა და საფრთხე შეექმნათ უსაფრთხოებისათვის. კონკრეტულად, ეს ეხებოდა ევროპასა და ლათინურ ამერიკას შორის კონფლიქტს ადრეულ 1900-იან წლებში. საბოლოოდ, ფრაზა „დიდი ჯოხი“ გამოიყენებოდა საგარეო პოლიტიკის მოლაპარაკებებთან მიმართებაში, რომელიც დიპლომატიურ საფარქვეშ მიმდინარეობდა და მხარდაჭერილი იყო

სამხედრო ძალის შესაძლო გამოყენების მუქარით¹.

– სამეცნიერო დიპლომატია – დიპლომატიის სახეობათაგან ჩვენს საკითხთან ყველაზე ახლოს სწორედ ეს ფორმაა. ამდენად, მეტ დროს სწორედ მას დავუთმობთ.

სამეცნიერო დიპლომატიის მხრივ, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბოლო ხანებში აქტიურად დაიწყო საუბარი ქვეყნის პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნის პროცესში სამეცნიერო წრეების ჩართვასა და მათი მხრიდან პოლიტიკური ელიტებისთვის რეკომენდაციების მიცემაზე, რაც, თავის მხრივ, აუცილებლობას წარმოადგენს. იგი, კონფლიქტების დარეგულირების გზაზე, კონსტრუქციული, საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად, ხალხთა შორის არსებული სამეცნიერო თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვანი რესურსია, რომელიც მდგრადი მშვიდობის მშენებლობის პროცესში, შეძლებს, დაეხმაროს სახელმწიფოს: „უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება და თავიდან აიცილოს, მიმართულება შეუცვალოს ან გაანადგუროს მისი უსაფრთხოების წინაშე მდგარი მუქარა“², დაიწყოს მხარეებს შორის დიალოგი და ხელი შეუწყოს ინტერესთა კონფლიქტის დარეგულირების პროცესს. ამას აკეთებენ ძლიერი სახელმწიფოები, ძლიერება არ უნდა დაეუკავშიროთ ქვეყნის მხოლოდ სამხედრო პოტენციალს, მასთან ერთად, როგორც რესურსი, უნდა განვიხილოთ ინტელექტუალური, სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ახალი ტექნოლოგიები, მდგრადი ეკონომიკური განვითარება, გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური ფაქტორები და ა.შ. თუკი დიდეს აზრით, ძლიერნი აკეთებენ იმას, რისი ძალაც აქვთ და სუსტნი ეგუებიან იმას, რასაც უნდა შეეგუონ³. პატარა სახელმწიფოებმა („დიდი“ და „პატარა“ პირობითი ცნებებია) უნდა შეძლონ ისეთი მექანიზმების მონახვა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების პრობლემების დაძლევაში რომ დაეხმარება. და ამ პროცესში პატარა ქვეყნისთვის მშვიდობა და მშვიდობის სწავლება უნდა იქცეს პოლიტიკური პრობლემების მოგვარების მექანიზმად.

სამეცნიერო დიპლომატია სამეცნიერო პოტენციალის, ერებს შორის საერთო პრობლემების

1 წყარო: <https://uslegal.com/>.

2 Samuel Hantigton, Why International Primacy Matters, International Security 17.4, Spring, 1993; 69–70.

3 თუკი დიდეს ციტატა დამოწმებულია წიგნიდან: ბრუს ჯენტლესონი. ამერიკის საგარეო პოლიტიკა, არჩევანი დინამიკა 21-ე საუკუნეში, დიუკის უნივერსიტეტი, მთარგმნელები: დავით აფრასიძე, ანა მიქაუტაძე, არჩილ აბაშიძე, გიორგი გვალია, ნინო ტკარიძე, ტარიელ სიხარულიძე, თამარ ქუმსიაშვილი, ნინო ფაველენიშვილი, თბილისი, 2015. გვ. 11. (ქართულ ენაზე).

მოგვარებასა და კონსტრუქციული საერთაშორისო პარტნიორობის ასაგებად¹ თანამშრომლობის, ცოდნისა და გამოცდილების გამოყენების საშუალებაა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში.

სამეცნიერო დიპლომატიის დეფინიციის განმარტება ფოკუსირდება მის სამ სახეობაზე:

1. „მეცნიერება დიპლომატიაში“ გულისხმობს უცხოური პოლიტიკის ამოცანების ინფორმირებულობას სამეცნიერო და ტექნოლოგიური რჩევებით;
2. „დიპლომატია მეცნიერებისათვის“ გულისხმობს საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობას;
3. „მეცნიერება დიპლომატიისთვის“ გულისხმობს სამეცნიერო თანამშრომლობის გამოყენებას ქვეყნებს შორის საერთაშორისო ურთიერთობების გასაუმჯობესებლად².

სამეცნიერო დიპლომატია, შეიძლება განისაზღვროს, როგორც საერთაშორისო, ინტერდისციპლინარული და ინკლუზიური პროცესი, რომელიც ცდილობს, დააბალანსოს ეროვნული ინტერესები ყველას სასარგებლოდ დედამიწაზე. გლობალურ საკითხებზე მსჯელობამ თანამედროვე ცივილიზაციისთვის მეცნიერების ღირებულება გამოავლინა. კერძოდ, გადანყდა, რომ პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა მზადყოფნა გამოთქვა სამეცნიერო ღირებულებების რეალური დანერგვისა და პრაქტიკული გამოყენებისათვის და საიმისოდ, რომ მეცნიერება კვალდაკვალ ჩართულიყო სამეცნიერო დიპლომატიის ფორმატში. პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა, თავის მხრივ, ცხადი გახადა, რომ აუცილებელი იყო სამეცნიერო რესურსების ეფექტური გამოყენება მშვიდობისა და კაცობრიობის კეთილდღეობისთვის.

მეცნიერება დიპლომატიაში ისევე შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამეცნიერო პოლიტიკა, რომელიც პოლიტიკოსებს მეცნიერებასთან, ტექნოლოგიებთან და ინოვაციებთან დაკავშირებულ, არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიაღწევენ გადაწყვეტილებებს. დიპლომატია მეცნიერებისთვის და მეცნიერება დიპლომატიისთვის ეხება თანამშრომლობის ხელშეწყობას ერებს შორის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. სა-

მეცნიერო დიპლომატია არ არის ახალი, მაგრამ განაგრძობს იმ სფეროების განვითარებას, რომლებიც საჭიროებს საერთაშორისო თანამშრომლობას, მათ შორის მედიცინის, გარემოს, ნანოტექნოლოგიის, ალტერნატიული ენერგეტიკის სფეროში³.

თავის მხრივ, სამეცნიერო დიპლომატიასაც აქვს სხვადასხვა მიმართულება, მაგალითად, სამეცნიერო დიპლომატია: მეცნიერული პროგრესისთვის, ეკონომიკის, პოლიტიკის, მდგრადი განვითარებისთვის და ა.შ. მაგალითად, როდესაც სახელმწიფოები დებენ თანამშრომლობით ხელშეკრულებას თევზჭერის მართვაზე ან ინფექციურ დაავადებათა მონიტორინგის შესახებ, მათ სამეცნიერო ექსპერტიზა სჭირდებათ. ეს კი ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას; როდესაც მეცნიერები ასტრონომიაში ან ფიზიკაში კომპლექსურ მრავალპროფილიან პროექტებზე მუშაობენ, ეს მეცნიერულ პროგრესს უწყობს ხელს, ხოლო როცა იდება დიპლომატიური შეთანხმებები მენეჯმენტისა და დაფინანსების შესახებ, ან ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობები დაძაბული ან გაურესებელია, ერთობლივი კვლევითი ძალისხმევა მათ საშუალებას მისცემს, შეინარჩუნონ დიპლომატიური საუბრის შესაძლებლობა და მოიპოვონ ერთმანეთისნდობა.

თანამედროვე გლობალურად ურთიერთდაკავშირებულ ცივილიზაციაში სხვადასხვა ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროებისთვის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების რეკომენდაციები უნდა გახდეს არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალება. ეს ეხება ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ზემოქმედებების საშუალებებსა და რესურსებს ერებს შორის, როგორიცაა მათი საზღვრების გასწვრივ, საზღვრების შიგნით და საზღვრების ფარგლებს გარეთაც არსებული ვითარება. საგარეო საქმეთა მინისტრებისთვის პოლიტიკის შემუშავების პროცესში „მტკიცებულების ბროკერები“ უნდა გახდნენ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მრჩეველები⁴, ანუ 2014–2015 წლიდან სამეცნიერო დიპლომატიის ფარგლებში მსოფლიოს მონინავე ქვეყნების პოლიტიკის შემუშავების, დაგეგმვისა და განხორციელების პრო-

1 Fedoroff, N, “Science diplomacy in the 21st Century”, Cell, 2009, 136 (1), January, pp. 9–11 55 Committee on Global Science Policy and Science Diplomacy (2011). National Academies.

2 Committee on Global Science Policy and Science Diplomacy (2011). U.S. and International Perspectives on Global Science Policy and Science Diplomacy: Report of a Workshop. National Academies Press, ISBN 978-0-309-22438-3, pp. 60.

3 Букалова С. В. (2018), Научная дипломатия: сущность и роль в системе между- народных отношений// Мировая политика. № 2. – С.95–103. DOI: 10.25136/2409- 8671.2018.2.25855. URL: <http://enotabene.ru/wi/article-25855.html> (რუსულ ენაზე).

4 National Research Council. 2015.



ცესში სარგებლობენ სპეციალური სამეცნიერო მრჩეველების რეკომენდაციებით¹.

ჩვენი აზრით, ეს გამოცდილება აუცილებლად გასაზიარებელია. სამეცნიერო დიპლომატია აღიარებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ფუნდამენტურ მნიშვნელობას ჩვენი გლობალური ცივილიზაციის შემდგომი განვითარების პროცესისთვის. სწორედ ამიტომ სამართლისა და დიპლომატიის ფლექტჩერის სკოლამ ტუფტის უნივერსიტეტში, ასევე, გამოყენებითი სისტემების ანალიზის საერთაშორისო ინსტიტუტმა (IIASA) 2016 წლის ოქტომბერში, ვენაში, საგარეო საქმეთა სამინისტროებისათვის ერთობლივად მოიწვიეს საერთაშორისო დიალოგი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კონსულტაციების შესახებ. ვენა შეირჩა იმ პრინციპით, რომ აქ მდებარეობს გამოყენებითი სისტემების ანალიზის საერთაშორისო ინსტიტუტის შტაბბინა. ეს ფორუმი ისტორიაში შევიდა როგორც „ვენის დიალოგი“. დიალოგში ჩაერთვნენ დიპლომატები ოცზე მეტი ქვეყნიდან და დაადასტურეს, რომ აუცილებელია ქვეყნებს შორის „ცოდნის პლატფორმის“ ჩამოყალიბება.

ჯერ კიდევ 2014 წელს ჩამოყალიბდა მთავრობის სამეცნიერო რჩევის საერთაშორისო ქსელი (INGSA), რომელიც განიხილავს „სამეცნიერო მტკიცებულებების გამოყენებას პოლიტიკის ინფორმირებისთვის, ხელისუფლების ყველა დონეზე“. ანუ, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები თანხმდებიან, რომ მეცნიერების როლი და მნიშვნელობა პოლიტიკური და არაპოლიტიკური საკითხების, კაცობრიობის უსაფრთხოების, მშვიდობის შენარჩუნების საკითხში არის გადამწყვეტი მნიშვნელობის. და ამ დროს საქართველო განზე დგას აღნიშნული პროცესებიდან და ჩვენს სამთავრობო უწყებებს ჯერაც ვერ გაურკვევიათ, რა ხდება მსოფლიოში, სამეცნიერო პოტენციალის გამოყენების თვალსაზრისით. ისმის სრულიად ლოგიკური კითხვა: რამდენად ვართ დაკავშირებული ამ ორგანიზაციებთან, ვიღებთ თუ არა გამოცდილებას მათგან? იყენებენ თუ არა ჩვენი სამინისტროები სამეცნიერო პოტენციალს საშინაო და საგარეო საკითხების გადაჭრის პროცესში?

რადგან სამეცნიერო დიპლომატიის ფარგლებში არსებული რესურსი საუნივერსიტეტო განათლების ერთ აუცილებელ სეგმენტს – მეცნიერებას

მოიცავს, საუნივერსიტეტო ცხოვრება კი ორი ძირითადი პარადიგმის – სწავლისა და კვლევის, სწავლებისა და მეცნიერების ერთიანობაა, სამეცნიერო დიპლომატია კონფლიქტების რეგულირების პროცესში თამაშობს მდგომარეობაში ტოვებს ისეთ უმნიშვნელოვანეს რესურსს, როგორიცაა: სწავლის პროცესი და მისი ყველაზე მნიშვნელოვანი სუბიექტი – სტუდენტობა. ანუ სამეცნიერო დიპლომატია არ არის ორიენტირებული და ვერ ხედავს იმ მაორგანიზებული ძალის მნიშვნელობას, რომელზეც უნდა აშენდეს სახელმწიფოს ჯანსაღი მომავალი.

გვნამს, რომ ცალკე აღებული, ვერც დიპლომატიის რომელიმე ფორმა და ვერც უნივერსიტეტი შექმნის ახალ უნივერსალურ ცოდნას და ვერ იქცევა კონფლიქტის იმ მაორგანიზებელ ცენტრად, რომელსაც შესწევს ძალა, უპასუხოს არსებულ ფუნდამენტურ გამოწვევებს – კონფლიქტებს და იყოს ადეკვატური დროსთან მიმართებაში.

დრო არის ცვლილების პროდუქტი (და არა პირიქით), იგი არ მოდის, არამედ მიდის, ვინც კარგ დროს ელოდება, ცუდს ახანგრძლივებს. თანამედროვე პროცესებმა – გლობალიზაციამ და ტექნოლოგიურმა რევოლუციამ – განაპირობეს ცხოვრების დაჩქარებული რიტმი, რადიკალურად განსხვავებული ცხოვრების ტემპი, სადაც კონფლიქტის, (მას ყოველთვის არა აქვს უარყოფითი დატვირთვა – იშვიათად, მაგრამ იძლევა სოციალური ტრანსფორმაციის საშუალებას) თუნდაც ლოკალურის, გლობალურ პრობლემად ქცევის საფრთხე განუზომლად დიდია.

ისტორიულ კონტექსტში, კონფლიქტის პარალელურად, არსებობდა და არსებობს უნივერსიტეტიც და დიპლომატიაც, რომლებიც, ცალკე დიქტომიურად, მხოლოდ მეტ-ნაკლებად ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, თუმცა ვერ პასუხობენ დროის გამოწვევებს. მაგრამ სწორედ უნივერსიტეტსა და დიპლომატიას შორის „ინტერდისციპლინური“ კავშირი აჩენს შესაძლებლობას, წარმოიქმნას ის ახალი თეორიულ – მეთოდოლოგიური ცოდნა, რომელიც კონფლიქტის დარეგულირების ახალ ფუნდამენტურ პარადიგმას შემოგვთავაზებს, შეცვლის უნივერსიტეტის ფოკუსს თეორიული ცოდნიდან პრაქტიკული მიმართულებისაკენ. იგი – უნივერსიტეტი არა თუ

¹ საგარეო საქმეთა სამინისტროებთან ფუნქციონირებს სამეცნიერო მრჩეველთა ინსტიტუტები ან საბჭოები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ქვეყნების საგარეო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში. უფრო მეტიც, სამეცნიერო მრჩეველები ჰყავთ ისეთ სამინისტროებს, რომლებიც ქვეყნის საშინაო საკითხებს აგვარებენ, მაგალითად, განათლების, ფინანსების, პოლიციის, იურისპრუდენციის, ჯანდაცვის, ჰუმანიტარული საკითხების გადასაჭრელად.

შევა კონფლიქტში, ან შემოიტანს მას საუნივერსიტეტო სივრცეში, რაც მოახდენს მის ესკალაციას (როგორც ადრე), არამედ შემოიტანს მხოლოდ „თემას“, მისი შემდგომი განვითარების მიზნით. ამგვარი მიდგომა საშუალებას მოგვცემს, კონფლიქტის პრობლემატიკა, მხარეთა დაპირისპირებიდან, გადავიყვანოთ თეორიულ – პრაქტიკულ დისკურსში და შევიმოშავოთ ის აუცილებელი მეთოდოლოგია, რომელიც ყველაზე ეფექტიანად უპასუხებს კონფლიქტს და მოემსახურება მის დარეგულირებას.

ახალი მიდგომა, ორგანული ბმა, თეორიული კონსტრუქციის ახალი ფორმატი, განწყობების წინასწარი გაჟღერებით აჩენს შესაძლებლობას, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, საუნივერსიტეტო სივრცეში შემოვიდეს და თავისი ადგილი დაიმკვიდროს პრობლემით დაინტერესებულმა ყველა აქტიურმა სუბიექტმა – როგორც სახელისუფლებო სტრუქტურებმა (უმათოდ, კონფლიქტი ვერ მოგვარდება), ასევე, ჩვენმა დედა ეკლესიამ, არასამთავრობო სექტორმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა და სამოქალაქო საზოგადოებამ. რაც მთავარია, დემოკრატიულ სივრცეში, თითოეული მათგანი ბუნებრივად დაიკმაყოფილებს თავის ჯანსაღ ინტერესს.

როგორც უნივერსიტეტი, ასევე დიპლომატია, ყველა არსებული სახეობით, ცალ-ცალკე არასრულად პასუხობენ არსებულ გამოწვევებს. ლოკალურ ან გლობალურ პრობლემებთან – კონფლიქტებთან გასამკლავებლად კი საჭიროა, დიპლომატია შემოვიყვანოთ უნივერსიტეტში და მივცეთ მას დატვირთვა, რომელიც მოემსახურება, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ინტერესებს – ქვეყნის ერთიანობას, მთლიანობას, თავისუფლებას, კეთილდღეობასა და მისი გარანტირებული, უსაფრთხო მომავლის უზრუნველყოფას. აღნიშნულის განსახორციელებლად, უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება შეუძლია დიპლომატიას, რომელსაც ძალუძს, საფუძვლად იქცეს და ხელი შეუწყოს საზოგადოებებს შორის (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ) ახალი ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ვგულისხმობთ, ზოგადად დიპლომატიას მთლიანობაში და არა მის სახეობებს – ფორმებს, რომლებიც ცალ-ცალკე ისედაც ფუნქციონირებენ პრობლემების ფონზე.

დიპლომატია და უნივერსიტეტი, ცალცალკე, მონოციკლური ხასიათის მატარებელნი არიან, რაც იმას გულისხმობს, რომ მათ არ ძალუძთ შექმნან სისტემა, რომელიც შესაძლებელს გახდის,

გამოიმუშაოს ერთიანი მიდგომა. სწორედ ამიტომ შემოვიღეთ „საუნივერსიტეტო დიპლომატია“, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე ცალკე უნივერსიტეტი და დიპლომატია, იზოლირებული ფუნქციებით.

დასკვნა

საუნივერსიტეტო დიპლომატია უნდა განვიხილოთ ისეთ ინოვაციურ მიმართულებად, რომელიც არ უარყოფს და არც ემიჯნება დიპლომატიის ზემოთ ნახსენებ თუ სხვა ფორმებს, არამედ პირიქით, მათი თანაარსებობა და კოორდინირებული საქმიანობა ოფიციალურ პოლიტიკურ მიმართულებასთან ინტეგრირების გზით, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობის პროცესის გაჯანსაღების შეუქცევადობის წინაპირობად შეიძლება იქცეს.

ვფიქრობთ, თანამედროვე გლობალური და ლოკალური (რეგიონული) პროცესების გადაკვეთაზე, სადაც საქართველო ისტორიულ გარემოებათა გამო აღმოჩნდა, დიპლომატიის ფორმები, სამეცნიერო დიპლომატიის ჩათვლით (ანუ, ჩაკეტილი აკადემიური სივრცით) არ შეიძლება შემოვიფარგლოთ და, პარალელურად, პოლიტიკური პრობლემების განხილვისას (გადანწყვეტისას) ავამუშაოთ კონკრეტულ სივრცეში არსებული არაპოლიტიზებული, ავტორიტეტული მეცნიერულ-ჰუმანისტური და ახალგაზრდული დიალოგის წარმართვის ახალი მაკონსოლიდირებელი და კომპლექსური მექანიზმები. ამ მიზნით, მიზანშეწონილია, განვიხილოთ „საუნივერსიტეტო დიპლომატია“, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ახალი ფორმა და დიპლომატიის (მეტნაკლებად მისი ყველა სახეობის მომცველი) ახალი სახეობა, მისი განსხვავება და ძირითადი უპირატესობა ისაა, რომ, იგი ნდობისა და მშვიდობის აღდგენის პროცესში, მეტი რესურსის, უპირველესად კი, განსაკუთრებული ეთნიკური, მენტალური და სოციო-კულტურული ფასეულობების შემაკავშირებელი ფუნქციის მქონე ინსტიტუციის უნივერსიტეტის, სტუდენტ-ახალგაზრდობასთან ერთად, ჩართვის საშუალებას იძლევა.

აქედან გამომდინარე, სამეცნიერო დიპლომატიის გამოცდილების გათვალისწინებით, კონფლიქტების მოგვარებისადმი სისტემური მიდგომა და ის ახალი პარადიგმა, რომლის შესაძლებლობას აჩენს „საუნივერსიტეტო დიპლომატია“, როგორც უფრო ფართო, მასშტაბური



და ეფექტური სტრატეგია. იგი, სამშვიდობო ინიციატივებისა და სამეცნიერო აკადემიზმის შე-რწყმასთან ერთად, მოიცავს საზოგადოების ყვე-ლაზე ჯანსაღი და პრაგმატულად მოაზროვნე, მომავალი თაობის – სტუდენტობის ჩართულობას პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების სამშვიდობო პროცესში. ასევე, წარმოგვიდგება როგორც რბილი პოლიტიკის გამაერთიანებელი – უნივერსალური ფორმა, ახალი „ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად მორიგების“ (წმინდა ილია მართალი) დემოკრატიულ სივრცე-გარემოდ, რომელშიც სინქრონულად თანაარსე-ბობენ და თანამშრომლობენ რბილი ძალის ისეთი ჯანსაღი ფორმები, როგორიცაა, მაგალითად, სა-ხალხო, სამეცნიერო, კულტურული, საეკლესიო, სამედიცინო, ეკონომიკური, სპორტული, ტუ-რისტული დიპლომატია და ა.შ. მათთან უნისონში, „საუნივერსიტეტო დიპლომატიას“ ძალუძს, დაძ-ლიოს ისეთი სასიცოცხლო და აუცილებელი პრო-ბლემა, რომელიც ჯერ კიდევ ელის მოგვარებას.

„საუნივერსიტეტო დიპლომატია“ დაკავშირე-ბულია ისეთ უმნიშვნელოვანეს კატეგორიებთან, როგორიცაა „უნივერსიტეტი“ და „დიპლომატია“. მათი ორგანული შერწყმით, თანაბარი ინტერესე-ბითა და პარიტეტული ერთიანობით ყალიბდება სრულიად ახალი ფენომენი.

უნივერსიტეტი და დიპლომატია, ცხადია, შემ-თხვევითი მიზეზებით არ გაგვიერთიანებია სი-ნტაგმის „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ ქვეშ. მისი შინაარსი „შიგნითა არსი“(უნივერსიტეტი და დიპლომატია ცალ-ცალკე) ქმნის „გარე არსს“ (უნივერსიტეტი და დიპლომატია ერთად), რო-გორც ამოუწურავ თავისთავადობას. იგი თავის ორსახოვან არსში მოიცავს პრობლემათა გადაჭ-რისა და თვითრეგულირების დღემდე, ჯერ კი-დეც გამოუყენებელ, აუმოქმედებელ უნიკალურ შესაძლებლობებს. ამ კონტექსტში გთავაზობთ უნივერსიტეტისა და დიპლომატიის, როგორც ინსტრუმენტებისა და მათგან წარმოქმნილი არა სიტყვათა წყობის, არამედ „რბილი ძალის“ ახალი ფენომენის – „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ შესახებ ისტორიულ ექსკურსს.

„საუნივერსიტეტო დიპლომატია“ უფრო მე-ტია, ვიდრე ცალკე უნივერსიტეტისა და ცალკე დიპლომატიის იზოლირებული ფუნქციები. ის უნდა განვიხილოთ ისეთ ინოვაციურ მიმართულე-ბად, რომელიც არ უარყოფს და არც ემიჯნება ზე-მოდ ნახსენებ ფორმებს, განსაკუთრებით, ჩვენი ევროპელი მეცნიერების მიერ შემოთავაზებულ

„სამეცნიერო დიპლომატიას“.

„საუნივერსიტეტო დიპლომატია“, ბუნებრივია, გულისხმობს დიპლომატიის სხვა სახეობათა ცალ-კეულ ელემენტებს და, ამასთანავე, ორი „შეტყუ-პებული ფიცრის“ მსგავსად, საუნივერსიტეტო სი-ვრცისა და დიპლომატიის, ცოდნისა და პოლიტი-კის ორგანული შეერთებით, აყალიბებს მის ახალ სახეს, მეტიც, ქმნის ახალ თვისებრიობას.

„საუნივერსიტეტო დიპლომატია“, როგორც პოზიტიური კონცეფცია, დაინტერესებულ სუბი-ექტებს შორის კომუნიკაციის ახალი ეფექტიანი და ინოვა ციური ფორმა, მეცნიერების – დიპლო-მატიისა და სამეცნიერო კერის – უნივერსიტეტის დარგთაშორისი კავშირი, თაობათა, ადამიანებს შორის დამოკიდებულების სინერგიისა და სი-ყვარულის ფილოსოფია, ლოგიკურად ზუსტია, სრულიად თავისუფალია ორაზროვნებისა და ბუნდოვანებისაგან. უფრო კონკრეტულად – დიპ-ლომატიისა და სამშვიდობო განათლების ახალი ორერთიანი სახეობაა, რომელიც უნივერსალუ-რია და გულისხმობს არსებული, თუმცა დღემდე გამოუყენებელი რესურსის – აკადემიური და სა-მეცნიერო-კვლევითი (საუნივერსიტეტო) პოტენ-ციალის ამოქმედებას. ქმნის შესაძლებლობას, საუნივერსიტეტო სივრცეში ჩამოყალიბდეს მშვი-დობის სწავლებისა და აქედან გამომდინარე, მშვი-დობის მშენებლობის თვისებრივად ახალი ფო-რმატი, რომელიც უალტერნატივო სამშვიდობო – დიპლომატიური ენითა და სამეცნიერო დიალო-გის საფუძველზე, ხელს შეუწყობს ტრანსფორმა-ციულ მიდგომას. ამ მიზნის რეალიზაციის თეო-რიული კონსტრუქციის შესაქმნელად, სავალდე-ბულოა აუცილებელი ბაზისური ელემენტებისა და განწყობების წინასწარი გაჟღერება. კერძოდ:

– საზოგადოებათა ცნობიერებაში მშვიდობის კულტურის დამკვიდრება და მისი დინამიური ხედვის ჩამოყალიბება, რეალური ნდობის აღ-დგენა, მოუგვარებელი კონფლიქტების გაჭიანუ-რებული მდგომარეობის – „არც მშვიდობა, არც ომის“, მშვიდობისა და მისი მიღწევის სისტემური მეცნიერული აღქმა– გაცნობიერება, მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელობის გა-გება ფსიქოლოგიურ, სულიერ, სოციალურ, პოლი-ტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სხვა დონეზე;

– კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების არსის გარკვევა, შიშების აღმოფხვრა, მათში მონაწილე და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესე-ბის შესწავლა, ანალიზს, შეფასებას, მათ შორის თანხვედრის პოვნას, ცვლილებების პროცესების

სტიმულირებას, მიმართულს უარყოფითიდან დადებითის შექმნისაკენ;

- მშვიდობის, როგორც პროცესის სწავლება, მისი - სამშვიდობო პროცესის დემოკრატიზაცია, ძალადობის ნებისმიერი ფორმით გამოყენების გამორიცხვა, ინტერსტრუქტურული გაგების განვითარება, პოზიტიური, კონსტრუქციული განწყობის შექმნა;

- იმგვარი სამეცნიერო პლატფორმის გენერირების ხელშეწყობა, რომელიც მყარ ფუნდამენტს შექმნის ახალი საქართველოს სააზროვნო ორიენტირების გამოკვეთისა და განსაზღვრის გზაზე;

- მაქსიმალურ კონსენსუსზე, ე.წ. „საერთო ნიადაგის“ (ილია მართალი) პრინციპზე დაფუძნებული ისეთი კონცეფციის გენერირებასა და პოპულარიზაციას, რომელმაც შემდგომში უნდა განსაზღვროს საერთო ეროვნული თანხმობის დოკუმენტის ფორმა და შინაარსი;

- უნივერსიტეტის და დიპლომატიის ფუნქციების, არა ცალ-ცალკე, არამედ, არსობრივი გააზრებითა და შეთანხმებით, ისეთი მოდელის (ალგორითმის) შექმნას, რომელიც არსებული ურთიერთობების გაუმჯობესებითა და არა მხოლოდ ამ ორი ინსტიტუციის ნიადაგში არსებული რესურსით, არამედ, მათ მიჯნაზე წარმოებული, მხო-

ლოდ ახლის შექმნით უზრუნველყოფს და გააჩენს კონფლიქტის საუნივერსიტეტო სივრცეში მისი შემოტანით მშვიდობიანად მოგვარების მტკიცე პერსპექტივას.

რეალურად, უნივერსიტეტი ინტელექტუალური დამოუკიდებლობის ის კერაა, რომელშიც აზროვნება აკადემიურ სრულყოფილებას, სისტემურობისათვის ესტაფეტას გადასცემს დიპლომატიას. „აზროვნება“ და „არსებობა“, ანუ უნივერსიტეტი და დიპლომატია, მათი კავშირის შექმნა, ძალის „სესხების“, ძალის „დამატების“ და ურთიერთკოოპერაციის საშუალებით, როგორც საუკეთესო კომბინაცია ერთმანეთს ავსებენ და განაპირობებენ. ამდენად, აკადემიურ-კვლევითი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის შერწყმითა და ჯანსაღი, ინტელექტუალური პროცესების პროვოცირებით, უნივერსიტეტი უნდა ვაქციოთ სამშვიდობო პროცესებისა და მდგრადი მშვიდობის უწყვეტ - შემოქმედებით სააზროვნო კერად, ხოლო ინოვაცია - „საუნივერსიტეტო დიპლომატია“ - კონფლიქტის მოწესრიგების ისეთ უნიკალურ, სიცოცხლისუნარიან მეთოდად, საშუალებად, რომელიც კონფრონტაციიდან, ჩიხური მდგომარეობიდან, არა ძალისმიერ, არამედ მშვიდობიან კალაპოტში გადაიყვანს ყველა ტიპის დაპირისპირება - კონფლიქტს.



VALUES AND PRINCIPLES IN ILIA CHAVCHAVADZE'S THOUGHT: INTERPRETATION IN THE MODERN ECONOMIC CONTEXT

Copyright © 2025 the Author/s

Peer review method: Double-Blind

Accepted: May 7, 2025

Published: June 2, 2025

Original scientific article

DOI suffix: 10.36962/NEC20022025-25

Shota Veshapidze

Doctor of Economic Sciences,

Associate Professor,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ORCID iD: <https://orcid.org/0000-0003-0933-3648>

E-mail: shota.veshapidze@tsu.ge



ABSTRACT

Research Objective: The intellectual legacy of Ilia Chavchavadze, one of the most prominent public figures of the 19th century, represents a comprehensive doctrine concerning the formation and development of Georgia as an independent and progressive state. Chavchavadze strongly emphasized the protection of fundamental values — homeland, language, and faith — which he regarded as essential prerequisites for strengthening national identity. His vision encompassed cultural, political, and economic dimensions and clearly outlined the country's path toward European orientation.

The primary objective of this study is to analyze Ilia Chavchavadze's economic views in relation to European values, adapted to contemporary realities. The research aims to highlight those aspects of his thinking that remain relevant today and serve as important resources for addressing the strategic challenges facing the country.

Methodological Approach: This research is based on an in-depth analysis of Ilia Chavchavadze's works, in which several key themes are distinctly emphasized: the value-based assessment of economic development, the paramount importance of national interests, the significance of private property and competition, the advancement of the agrarian sector, international trade relations, strategies for attracting investments, issues related to the global division of labor, principles of functioning for state and local self-governance, the transformation of economic thought in the context of globalization, and the search for optimal models that merge national and European values.

The analysis employs various scientific methods, including historical and evolutionary development approaches, logical-deductive and inductive reasoning, comparative analysis, and synthesis. The study also incorporates the perspectives of authoritative researchers whose views align with Chavchavadze's intellectual framework.

Key Findings and Applications: Over a century ago, Ilia Chavchavadze laid the foundation for a methodology of studying economic processes based on value-driven and ethical analysis approaches. His insights possess not only theoretical depth but also practical applicability, which remains highly relevant both for conducting modern research and for implementing its outcomes in practice.

Chavchavadze's ideas can be effectively applied in various ways to assess contemporary economic challenges, enabling the formulation of alternative and scientifically grounded solutions.

Keywords: value-based foundation of economic development; participation in the global division of labor; values and objectives of the European Union; adaptation to national needs.

REFERENCES:

1. Abesadze, R. and Veshapidze, S. (2017). Development of economic science in Georgia. "Ekonomisti" #4, vol. XIII. Pp. 6–11.
2. Batiashvili, E. (2017). *Principles of Ilia Chavchavadze's common ground theory*. New Economist, (48), 95–100. [In Georgian]
3. Bedianashvili, G. (2018a). CULTURE AS A FACTOR OF KNOWLEDGE ECONOMICS WITH PARADIGMATIC CHANGES IN SYSTEMIC INSTITUTIONAL CONTEXT. *Globalization and Business*, 3(6), 58–66. [In Georgian] <https://doi.org/10.35945/gb.2018.06.007>
4. Bedianashvili, G. (2018b). KNOWLEDGE ECONOMY, ENTREPRENEURIAL ACTIVITY AND CULTURE FACTOR IN MODERN CONDITIONS OF GLOBALIZATION: CHALLENGES FOR GEORGIA. *Globalization and Business*, 3(5), 32–37. <https://doi.org/10.35945/>
5. Berishvili, Kh. (2017). *Ilia Chavchavadze on women's rights*. New Economist, (48), 95–100. [In Georgian]
6. Buadze, T. (2017). *Christian values and the social structure of Georgia according to Ilia Chavchavadze*. Guli Gonieri [Wise Heart], 18, 24–42. [In Georgian]
7. Buadze, T. (2020). *Christianity and Georgia – Ilia Chavchavadze's liberal choice*. *Dialogue*, 1(10), 21–41. [In Georgian]
8. Chavchavadze, I. (1997). *This I Say and Cry Aloud* (G. Lobzhanidze & N. Gabunia, Eds.). Kutaisi. [In Georgian]
9. Chavchavadze, I. (1860). A few words about the translation of "The Madman." In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 5, pp. 11–31). Tbilisi: Metsniereba, 1991. [In Georgian]
10. Chavchavadze, I. (1862–1863, January 12). *On "Georgian Messenger"*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 5, pp. 119–134). Tbilisi: Metsniereba, 1991. [In Georgian]
11. Chavchavadze, I. (1888, December 10–13). *Negation among us*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 5, pp. 451–458). Tbilisi: Metsniereba, 1991. [In Georgian]
12. Chavchavadze, I. (Before May 10, 1878). *The Society for the Aid of Needy Students*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 6, pp. 215–218). Tbilisi: Metsniereba, 1997. [In Georgian]
13. Chavchavadze, I. (1879, January). *Domestic review (The Eastern question and us. Are we of any value to others or not...)*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 6, pp. 241–262). Tbilisi: Metsniereba, 1997. [In Georgian]
14. Chavchavadze, I. (1877–1881). *Life and law*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 6, pp. 340–421). Tbilisi: Metsniereba, 1997. [In Georgian]

15. Chavchavadze, I. (1881, April 27). *Domestic review (...The example of the Slavs... What should our youth prepare for?... Our program...)*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 6, pp. 459–473). Tbilisi: Metsniereba, 1997. [In Georgian]
16. Chavchavadze, I. (1882). *Domestic review. Mr. Meissner's project*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 7, pp. 26–79). Tbilisi: Ilia's Fund, 2005. [In Georgian]
17. Chavchavadze, I. (1887). *The importance of moral purity for the nation's future*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 9, pp. 245–248). Tbilisi: Ilia's Fund, 2006. [In Georgian]
18. Chavchavadze, I. (1887). *Equality before the law as the cornerstone of a properly structured society*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 9, pp. 346–349). Tbilisi: Ilia's Fund, 2006. [In Georgian]
19. Chavchavadze, I. (1887). *Customs policy in Europe, free trade, and protectionism*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 9, pp. 385–401). Tbilisi: Ilia's Fund, 2006. [In Georgian]
20. Chavchavadze, I. (1887). *The benefits of mutual aid societies established in England*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 9, pp. 407–410). Tbilisi: Ilia's Fund, 2006. [In Georgian]
21. Chavchavadze, I. (1887). *What is freedom*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 9, pp. 441–444). Tbilisi: Ilia's Fund, 2006. [In Georgian]
22. Chavchavadze, I. (1887). *The necessity of knowing the law and using it as protection*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 9, pp. 446–448). Tbilisi: Ilia's Fund, 2006. [In Georgian]
23. Chavchavadze, I. (1887). *France's moral strength lies in love of the homeland*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 9, pp. 619–621). Tbilisi: Ilia's Fund, 2006. [In Georgian]
24. Chavchavadze, I. (1887). *For self-initiative*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 9, pp. 652–657). Tbilisi: Ilia's Fund, 2006. [In Georgian]
25. Chavchavadze, I. (1888). *The lack of higher education institutions in the South Caucasus*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 10, pp. 315–318). Tbilisi: Ilia's Fund, 2007. [In Georgian]
26. Chavchavadze, I. (n.d.). *Equality of ranks*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 10, pp. 371–373). Tbilisi: Ilia's Fund, 2007. [In Georgian]
27. Chavchavadze, I. (1888). *The nation is history*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 10, pp. 385–390). Tbilisi: Ilia's Fund, 2007. (p. 387 — "A son must know where and why his father stopped...") [In Georgian]
28. Chavchavadze, I. (1888). *A man must first be a*



man. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 10, pp. 391–394). Tbilisi: Ilia's Fund, 2007. (Manhood, philanthropy, compassion, sympathy.) [In Georgian]

29. Chavchavadze, I. (1889). *Europe's militarism and America's future*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 11, pp. 110–112). Tbilisi: Ilia's Fund, 2007. [In Georgian]

30. Chavchavadze, I. (1889). *Change of government in Brazil*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 11, pp. 385–389). Tbilisi: Ilia's Fund, 2007. [In Georgian]

31. Chavchavadze, I. (1889). *Asia then and now*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 11, pp. 411–415). Tbilisi: Ilia's Fund, 2007. [In Georgian]

32. Chavchavadze, I. (1889). *Contemporary Persia*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 11, pp. 415–420). Tbilisi: Ilia's Fund, 2007. [In Georgian]

33. Chavchavadze, I. (1889). *The book from the crossing*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 11, pp. 421–429). Tbilisi: Ilia's Fund, 2007. [In Georgian]

34. Chavchavadze, I. (1892). *Domestic review*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 12, pp. 120–125). Tbilisi: Ilia's Fund, 2007. [In Georgian]

35. Chavchavadze, I. (1893). *Our village economy and the need for cooperation*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 12, pp. 126–130). Tbilisi: Ilia's Fund, 2007. [In Georgian]

36. Chavchavadze, I. (1893). *Our opinion on the education system (letter to the editorial office)*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 12, pp. 156–164). Tbilisi: Ilia's Fund, 2007. [In Georgian]

37. Chavchavadze, I. (1893). *Concerns of our country's economic life*. In *Collected Works in Twenty Volumes* (Vol. 12, pp. 201–203). Tbilisi: Ilia's Fund, 2007. [In Georgian]

38. Chavchavadze, I. (1892). *Domestic review*. In *Complete works in twenty volumes* (Vol. 12, pp. 120–125). Ilia's Fund, 2007. [In Georgian]

39. Chavchavadze, I. (1893). *Our village agriculture and the need for cooperation*. In *Complete works in twenty volumes* (Vol. 12, pp. 126–130). Ilia's Fund, 2007. [In Georgian]

40. Chavchavadze, I. (1893). *Our opinion on the system of education and upbringing (A letter to the editorial office)*. In *Complete works in twenty volumes* (Vol. 12, pp. 156–164). Ilia's Fund, 2007. [In Georgian]

41. Chavchavadze, I. (1893). *Concern for the economic life of our country*. In *Complete works in twenty volumes* (Vol. 12, pp. 201–203). Ilia's Fund, 2007. [In Georgian]

42. Chavchavadze, I. (1896). *Domestic review of the year 1895*. In *Complete works in twenty volumes* (Vol. 13, pp. 160–166). Ilia's Fund, 2007. [In Georgian]

43. Chavchavadze, I. (1897). *The shortcomings of public life and their economic causes*. In *Complete works in twenty volumes* (Vol. 13, pp. 414–453). Ilia's Fund, 2007. [In Georgian]

44. Chavchavadze, I. (1896). *On the death of Bishop Gabriel*. In *Complete works in twenty volumes* (Vol. 13, pp. 210–213). Ilia's Fund, 2007. [In Georgian]

45. Chavchavadze, I. (1896). *Speech delivered at the Gelati Monastery on the day of Bishop Gabriel's burial*. In *Complete works in twenty volumes* (Vol. 13, pp. 214–219). Ilia's Fund, 2007. [In Georgian]

46. Chavchavadze, I. (1897). *Spiritual impoverishment and society's indifference*. In *Complete works in twenty volumes* (Vol. 13, pp. 236–237). Ilia's Fund, 2007. [In Georgian]

47. Chavchavadze, I. (1897). *The old and new in our economic life*. In *Complete works in twenty volumes* (Vol. 13, pp. 481–485). Ilia's Fund, 2007. [In Georgian]

48. Chinchaladze, N. (2017). *Ilia's path*. *New Economist*, (48), 95–100. [In Georgian]

49. Chikhladze, N. (2007). On some issues of understanding Orthodox values in economic relations. *Economic Profile*, 2(2), 32–36. <http://www.economicprofile.org/article/1217> [In Georgian]

50. Chikhladze, N. (2009). On the issue of Orthodox understanding of labor and entrepreneurial ability. *Economic Profile*, 4(1). <http://www.economicprofile.org/article/1195> [In Georgian]

51. Chkhikvizi, G. (2017). Ilia Chavchavadze's perspective on economy and the state. *New Economist*, (48), 101–104. [In Georgian]

52. Doreuli, N. (2017). German trace – Ilia and Arthur Leist. *New Economist*, (48), 95–100. [In Georgian]

53. Gogiashvili, O. (2017). Ilia – The founder of liberal thinking in Georgia (Freedom and private property). *New Economist*, (48), 95–100. [In Georgian]

54. CONSOLIDATED VERSION OF THE TREATY ON EUROPEAN UNIONEN 26.10.2012 Official Journal of the European Union C 326/13.

55. Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016). European Values: What Can We Implement from Them and How Can We Implement Them in Georgia. *Globalization & Business*. (1). 40–46. [In Georgian]

56. Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016). Values: Limits and Contradictions. *Globalization & Business*, (1). 35–39. [In Georgian]

57. Janelidze, O. (2017). Ilia Chavchavadze's liberal views. *New Economist*, (48), 48–52. [In Georgian]

58. Karchava, L. (2017). Ilia Chavchavadze's views on foreign investments and modernity. *New Economist*, (48), 81–83. [In Georgian]

59. Karchava, L., Veshapidze, S., & Chiabrishvili, K.

(2023). Economic perspective of establishing strategic partnership between China and Georgia. *The New Economist*, 18(3), 7-2.

60. Karchava, L., Veshapidze, S., & Tsikelashvili, S. (2025). Georgia's Perspective in the Context of Developing Economic Relations between China and the European Union. *The New Economist*, 20(1), 8-23.

61. Kharitonishvili, J. (2017). Ilia Chavchavadze on the economic principles of liberalism and protectionism. *New Economist*, (48), 73-80. [In Georgian]

62. Khonelidze, N. (2017). Reincarnation of Georgian historical consciousness in the phenomenon of Ilia Chavchavadze (for contemporary understanding). *New Economist*, (48), 58-67. [In Georgian]

63. Koguashvili, P. (2013). *Ilia Chavchavadze through the eyes of an economist*. Tbilisi: Meridiani. [In Georgian]

64. Kvaratskhelia, M. (2017). Ilia and the present. *New Economist*, (48), 89-91. [In Georgian]

65. Mari, N. (1906). *History of Georgia: A cultural-historical outline* [in Russian]. Tbilisi: Metsniereba Publishing. Retrieved from https://rusneb.ru/catalog/000199_000009_003736495/

66. Mtchedlishvili, Z. (2017). Ilia Chavchavadze on Georgia's international economic specialization. *New Economist*, (48), 84-88. [In Georgian]

67. Papava, V. (2001). *Georgia's international economic function*. *Social Economy*, (5). [In Georgian].

68. Papava, V. (2016). Georgia's Choice: The European Union or the Eurasian Economic Union. GFSIS, Expert Opinion, 57, <https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/57-expert-opinion-eng.pdf>

69. Papava, V. (2019). *Goeconomic Challenges of Georgia's Transit Function*. *Caucasus Economic and Social Analysis Journal*, 11(1), 7-18.

70. Papava, V. (2020a). Becoming European: Challenges for Georgia in the Twenty-First Century. *iUniverse*. Bloomington.

71. Papava, V. (2020b). Georgia's European Way During the Period of Pandemic Deglobalization. Rondeli Blog, August 6, <https://gfsis.org.ge/blog/view/1091>

72. Shengelia, T. (2017). *Fundamental methodological issues of Ilia Chavchavadze's economic doctrine and its relevance today*. *New Economist*, (48), 68-73. [In Georgian].

73. Sheshelidze, P. (2017). *In search of the real Ilia*. *New Economist*, (48), 10-11. [In Georgian].

74. Shikhashvili, G. (2018). *Synergistic aspects of socio-economic and administrative activity in the work and legacy of the Bishop of Imereti, Saint Gabriel*. *Economic Profile*, 13(1). [In Georgian].

onomic Profile, 13(1). [In Georgian].

75. Schwartz, S. H. (1992). Universals in the content and structure of values: Theoretical advances and empirical tests in 20 countries. *Advances in Experimental Social Psychology*, 25, 1-65. [https://doi.org/10.1016/S0065-2601\(08\)60281-6](https://doi.org/10.1016/S0065-2601(08)60281-6)

76. Sichinava, A., Chikava, M., Veshapidze, S., Sekhniashvili, D., & Pailodze, N. (2013). Realities of internationalization of higher education in Georgia.

77. Silagadze, A. (2009). Aspects of economic doctrines in feudal Georgia - Historical and economic sciences in the past and present. Moscow

78. Silagadze, A., Atanelishvili, T. (2010). Aspects of economic doctrines in Georgia. Peninsula University of Technology, Business and Informatics. San Francisco (USA).

79. Silagadze, A. (2011). Economic Teachings, Ilia Chavchavadze and Modernity- "Actual problems of Historical and economic Teachings". "VZFEI", pp.71 -77.

80. Silagadze, A., Atanelishvili, T., & Silagadze, N. (2022). Covid Depression and Search for a New Paradigm. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, 16(1).

81. Veshapidze, Sh. (1999). *The methodology of Ilia Chavchavadze's economic research and current issues of modern economic development* (296 pp.). Tbilisi Socio-Economic Institute. ISBN 99928-0-015-1. [In Georgian].

82. Veshapidze, Sh. (2017a). *Ilia Chavchavadze's concept of universal welfare oriented toward European values*. *New Economist*, (48), 95-100. [In Georgian].

83. Veshapidze, S. (2017b). THE TRADITIONS ORIENTATED ON EUROPEAN VALUES IN GEORGIA. *Sciences of Europe*, (13-4), 14-18.

84. Veshapidze, S., & Mchedlishvili, Z. (2021). Ilia Chavchavadze about competition. *World economy and international economic relations*, Vol. 4. Pp. 91-95.

85. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2021). Institutional Evolution of Higher Education in Georgia. *The New Economist*, 16(2), 1-1. DOI: <https://doi.org/10.36962/NEC6102202133>

86. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022). Value Choices of the Community in the Context of the COVID-19 Pandemic. DOI: <https://doi.org/10.5281/zenodo.6373197>

87. Veshapidze, S., Zubiashvili, T., & Chiabrishvili, K. (2021). Globalization and New Opportunities for Georgia. *Globalization and Business*. 12, 32-36. <https://doi.org/10.35945/gb.2021.12.003>

88. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022). The Modern Economy and Values. *Cambridge Scholars Publishing*. P. 125.



ღირებულებები და ფასეულობები ილია ჭავჭავაძის შეხედულებებში: ინტერპრეტაცია თანამედროვე ეკონომიკურ კონტექსტში

შოთა ვეშაპიძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ.ფოსტა: shota.veshapidze@tsu.ge

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი: მე-19 საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის ინტელექტუალური მემკვიდრეობა წარმოადგენს კომპლექსურ სწავლებას საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი, პროგრესისკენ მიმართული სახელმწიფოს, ფორმირებისა და განვითარების შესახებ. ჭავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავდა ფუნდამენტური ღირებულებების – მამულის, ენისა და სარწმუნოების — დაცვას, რაც ეროვნული იდენტობის განმტკიცების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. მისი ხედვა მოიცავდა როგორც კულტურულ და პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ განზომილებებს და ცხადად განსაზღვრავდა ქვეყნის ევროპული ორიენტაციის გზას. წარმოდგენილი კვლევის მთავარი მიზანია ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებებისა და ევროპული ღირებულებების ურთიერთმიმართების თანამედროვე რეალობის მიხედვით გაანალიზება. კვლევაში შევეცდებით, გამოვკვეთოთ ის ასპექტები, რომლებიც დღესაც რელევანტურია და ქვეყნის წინაშე არსებული სტრატეგიული ამოცანების გადასაჭრელად მნიშვნელოვანი რესურსია.

მეთოდოლოგიური მიდგომა: ეს კვლევა ეფუძნება ილია ჭავჭავაძის ნაშრომების ღრმად გაანალიზებას, სადაც თვალსაჩინოდ გამოირჩევა რამდენიმე საკვანძო თემატიკა: ეკონომიკური განვითარების ფასეულობითი შეფასება, ეროვნული ინტერესების უმნიშვნელოვანესად წარმოჩენა, კერძო საკუთრებისა და კონკურენციის მნიშვნელობა, აგრარული სექტორის წინსვლა, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები, ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიები, შრომის გლობალური განაწილების საკითხები, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების პრინციპები, გლობალიზაციის ფონზე ეკონომი-

კური აზროვნების ტრანსფორმაცია და ეროვნული და ევროპული ღირებულებების შერწყმის ოპტიმალური მოდელების ძიება.

ანალიზისას გამოყენებულია სხვადასხვა სამეცნიერო მეთოდი, მათ შორის ისტორიული და ევოლუციური განვითარების მიდგომები, ლოგიკურ-დედუქციური და ინდუქციური მსჯელობები, შედარებითი ანალიზი და სინთეზი. კვლევაში ასევე გათვალისწინებულია ჭავჭავაძის ხედვებთან შესაბამისობაში მყოფი ავტორიტეტული მკვლევრების მოსაზრებები.

ძირითადი შედეგები და გამოყენება: ილია ჭავჭავაძემ უკვე საუკუნეზე მეტი ხნის წინ შექმნა საფუძველი ეკონომიკური პროცესების კვლევის მეთოდოლოგიისთვის, რომელსაც საფუძვლად დაედო ღირებულებითი და ფასეულობითი ანალიზის მიდგომები. მისი მოსაზრებები თეორიულთან ერთად პრაქტიკულ სარგებლიანობასაც ატარებს, რაც ძალზე აქტუალურია როგორც თანამედროვე კვლევების განხორციელების, ისე პრაქტიკაში მათი დანერგვის კუთხით. ილია ჭავჭავაძის იდეები მრავალი თვალსაზრისით შესაძლოა ეფექტიანად იქნეს გამოყენებული დღევანდელი ეკონომიკური პრობლემების შესაფასებლად, რაც შესაძლებელს ხდის ალტერნატიული და მეცნიერულად გამყარებული გადაწყვეტილებების მიღებას.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური განვითარების ფასეულობითი საფუძველი; შრომის გლობალურ დანაწილებაში მონაწილეობა; ევროკავშირის ღირებულებები და მიზანი; ერის საჭიროებებზე მორგება.

შესავალი

საქართველოს ისტორიაში ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა ყოველთვის რთულ გამოწვევად რჩებოდა, თუმცა ქართველი ხალხი მუდმივად ახე-

რხედა თავის გადარჩენას. მე-19 საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ შექმნა სისტემური და უნივერსალური ხედვა იმისა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს საქართველო დამოუკიდებელ, განვითარებულ და ღირსეულ პარტნიორად გლობალურ სივრცეში. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ძირითად ღირებულებებზე, მათ შორის ეკონომიკურ პრინციპებზე დაყრდნობა, თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით. ჭავჭავაძის თვალსაზრისი ეკონომიკისა და ევროპული ღირებულებების ურთიერთკავშირზე დღესაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და მისი ადაპტირებული გამოყენება დაეხმარება საქართველოს სახელმწიფოებრივი ცნობიერების გაძლიერებას, ეკონომიკური ინტერესების დაცვასა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

ილია ჭავჭავაძის შეხედულებები არა მხოლოდ ეპოქის გამოწვევებზე პასუხის გაცემას ისახავდა მიზნად, არამედ გარკვეულწილად ემყარებოდა იმ ევროპულ ღირებულებებს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკას, საკუთრების უფლებას, ინდივიდუალურ შრომას და სოციალურ პასუხისმგებლობას ეფუძნებოდა. თანამედროვე საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეალობაში სულ უფრო მეტად იზრდება ინტერესის ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური იდეების ანალიზის მიმართ. მისი მოსაზრებები არა მხოლოდ ისტორიულად მნიშვნელოვანი ეკონომიკური მიდგომების გამოხატულებაა, არამედ დღესაც მნიშვნელოვან საკვანძო საკითხებს უკავშირდება, განსაკუთრებით ევროპული და ეროვნული ღირებულებების ურთიერთშეჯერების თვალსაზრისით, რაც მას თანამედროვე პოლიტიკურ და ეკონომიკურ დისკურსში განსაკუთრებულ აქტუალობას ანიჭებს.

ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური ხედვები წარმოადგენს სისტემურად ჩამოყალიბებულ და ღირებულებითი საფუძვლებით განმტკიცებულ კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, განვითარებას ემსახურება. მისი აზრით, ეკონომიკა არ შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის თვალსაზრისით. ეკონომიკა სახელმწიფოს თვითმყოფადობის, ეროვნული იდენტობისა და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის საფუძველია.

ღირებულებები, როგორც

ბზამკვლავი პრინციპები

"ღირებულება" არის ფილოსოფიური და სოციალური კატეგორია. ნიკო მარი აღნიშნავდა,

რომ ქართული ეკლესია წარმოადგენს საერთო, ნაციონალურ ინსტიტუტს, რომელიც ასახავს ქართველთა საერთო ღირებულებებს. (მარი, 1906). შლომ შვარცის მიხედვით, ღირებულებები წარმოადგენს ინდივიდის ან საზოგადოების რწმენებისა და თვალსაზრისების სისტემას, რომელიც განსაზღვრავს, რა არის მნიშვნელოვანი ან სასურველი ცხოვრებაში. ისინი მოქმედებენ როგორც გზამკვლევი პრინციპები ადამიანების ქცევისთვის და გადაწყვეტილებების მიღებისთვის. (Schwartz, 1992). ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, განმარტავს რომ ღირებულების ფილოსოფიური თეორიის შექმნა უკავშირდება ლოცვასა და კოჰენის სახელებს, ხოლო ღირებულების სოციალური თეორია სრულყოფილად ჩამოაყალიბა მაქს ვებერმა. ღირებულება არის ყოველივე ის, რასაც მნიშვნელობა აქვს ადამიანთა მოღვაწეობისათვის. იგი მოიცავს სულიერ იდეალებს, ზნეობრიობის ნორმებსა და პრინციპებს, პოლიტიკურ და სამართლებრივ ურთიერთობებსა და ა.შ. სოციალური ღებები ის ფუნდამენტური ნორმებია, რომლებიც უზრუნველყოფს სოციალური სისტემის მთლიანობას, რამდენადაც მასში გამოიხატება განსაზღვრული სულიერი ფასეულობების განსაკუთრებული მნიშვნელობა მოცემული სისტემის არსებობისა და განვითარებისათვის. იგი ჯერ არ განხორციელებულა, მაგრამ სინამდვილის მიმართ მნიშვნელობს. იგი მიზან-საშუალებათა სფეროა, რომელშიც მიზნები ბატონობს და მომავლისკენაა მიმართული. ეპოქათა ცვალებადობის პროცესში ადგილი აქვს ღ-თა შეცვლას ან გადაფასებას. არსებობს ღ-თა სრული გადაფასების, მათი მსხვერვის, უარყოფის პროცესიც. (ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში. <http://dictionary.css.ge/content/value>).

ქართულ ენაში "ღირებულებები" და "ფასეულობები" ხშირად სინონიმებად გამოიყენება, მაგრამ ზოგჯერ "ღირებულება" აღნიშნავს პრინციპებს ან ეთიკურ ნორმებს, ხოლო "ფასეულობა" შეიძლება აღნიშნავდეს იმას, რასაც ადამიანი მნიშვნელობას ანიჭებს. ინგლისურად და რუსულად ეს სხვაობა ჩვეულებრივ ერთ სიტყვაში, „Values“ და „ценности“ – იკრებიება. რუსული ფრაზა „Ценности и достоинства“ ინგლისურად ითარგმნება როგორც „Values and virtues.“ მისი ქართული თარგმანია – „ღირებულებები და სათნოებები.“ „Values“ ნიშნავს ადამიანის ან საზოგადოების მიერ მნიშვნელოვანად მიჩნეულ პრინციპებს (მაგ. პატიოსნება, თავისუფლება, თანაბრობა), „Virtues“ ნიშნავს ზნეობრივ ღირსებებს ან



დადებით თვისებებს, როგორც კეთილშობილება, სიმამაცე, თავშეკავება. ესე იგი, „values and virtues“ ერთად ასახავს როგორც ეთიკურ პრინციპებს, ასევე პიროვნულ ღირსებებს.

ღირებულებები წარმოადგენს ადამიანური მსოფლმხედველობის ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც წარმართავენ მის არჩევანსა და ქცევას, მაშინ როდესაც სათნოებები განასაზიერებს ინდივიდის მორალურ და ეთიკურ თვისებებს, რაც საშუალებას აძლევს მას ღირებულებების პრაქტიკულ გამოვლენას. ამ კონტექსტში, ღირებულებები ფუნქციონირებს როგორც აბსტრაქტული და მიზნობრივი რწმენათა სისტემა, ხოლო სათნოებები წარმოადგენს მათ გამოხატულებას კონკრეტულ ქმედებებსა და ურთიერთობებში. სხვა სიტყვებით, ღირებულებები განსაზღვრავს, რას მიიჩნევს ადამიანი სწორად, და სათნოებები ასახავს, როგორ მოქმედებს ის ამ რწმენის შესაბამისად.

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ღირებულებებს და მათ ადამიანური ცხოვრების საძირკველად მიიჩნევდა. მისი აზრით, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ისეთი ზნეობრივი ღირებულებებია აღსანიშნავი, როგორცაა **სიკეთე, სიყვარული, სამართლიანობა, ჭეშმარიტება, სულგრძელობა და თანადგომა**. მისთვის განსაკუთრებით არსებითი იყო ის ღირებულება, რომელიც მეცნიერებისა და რელიგიის ჰარმონიულ თანაარსებობაში ვლინდებოდა. ჭავჭავაძის თვალსაზრისით, გაბრიელ ეპისკოპოსი „...სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა.“ (ჭავჭავაძე, 1896). სწორედ ამ ერთიანობაში იკვეთება ჭეშმარიტი სიბრძნისაკენ მიმავალი გზა და ობიექტური რეალობის წვდომის შესაძლებლობა. ამ კონტექსტში, მეცნიერებისა და სარწმუნოების შერიგება განიხილება არა როგორც მექანიკური შერწყმა, არამედ როგორც სულიერი და ინტელექტუალური სინთეზი, რომელიც ადამიანის სრულყოფის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს. გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობა, მისი პიროვნება ილია ჭავჭავაძემ შეაფასა, როგორც ღრმა სულიერი მისიის მატარებელი, რომლის არსს „კაცთათვის მსახურება“ წარმოადგენს. ამასთან, ილია ხაზგასმით აღნიშნავს ეპისკოპოს გაბრიელის ორი უმნიშვნელოვანესი თვისება: მის თანადგომას საკუთარი ერის წინაშე — ტკივილისა და სიხარულის გაზიარებით — და მისი ენობრივ-კულტურული მისიის აღქმას, რაც მშობლიური ენისადმი ერთგულებითა და მისი დაცვისთვის განეულ დაუღალავ ღვაწლით გამოიხატება.

ილია ჭავჭავაძე ადამიანის პიროვნულ ღირებულებას შეფასებისას პირველ რიგში ყურადღებას აქცევდა მის მორალურ და ზნეობრივ ფასეულობებს — როგორც სხვების, ისე საკუთარი თავის მიმართ. მისი აზრით, მხოლოდ ის ინდივიდი შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილ ადამიანად, ვის შინაგან ბუნებაშიც გამოხატულია ადამიანის საუკეთესო თვისებები. ამ კონტექსტში ილია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ისეთ ფუნდამენტურ ეთიკურ და სოციალურ პრინციპებს, როგორცაა: **საკუთარ და სხვის პიროვნულ ღირსებაზე დაფუძნებული პატივისცემა, სამართლიანობისა და კანონიერების ერთგულება, წესრიგისადმი პასუხისმგებლობა, სხვისი საკუთრების დაფასება, შრომისადმი კეთილგანწყობა, ასევე დაზოგვისა და მოფრთხილების უნარი**. ამასთანავე, მისთვის განსაკუთრებული ღირებულება ჰქონდა **ოჯახისა, თანამემამულისა და სამშობლოსადმი ერთგულ დამოკიდებულებას**, რაც ილიას კონცეფციით, სრულყოფილი მოქალაქის და ზნეობრივად განვითარებული ადამიანის, „კაიკაცის“ ძირითად მახასიათებლად აღიქმებოდა. (ჭავჭავაძე, 1879 წ., იანვარი).

ილია ჭავჭავაძე ადამიანის პიროვნებასაც ღირებულებებით, მის ღირსებით აფასებდა. პირველ რიგში, როგორც სხვების, ისე საკუთარი თავის მიმართ, ყურადღებას აქცევდა მორალურ და ზნეობრივ ფასეულობებს, რაც „კაცად გახდომას“ განაპირობებს. მისი აზრით, მხოლოდ ის ინდივიდი შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილ ადამიანად, ვის შინაგან ბუნებაშიც გამოხატულია ადამიანის საუკეთესო თვისებები. ამ კონტექსტში ილია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ისეთ ფუნდამენტურ ეთიკურ და სოციალურ პრინციპებს, როგორცაა: **საკუთარ და სხვის პიროვნულ ღირსებაზე დაფუძნებული პატივისცემა, სამართლიანობისა და კანონიერების ერთგულება, წესრიგისადმი პასუხისმგებლობა, სხვისი საკუთრების დაფასება, შრომისადმი კეთილგანწყობა, ასევე დაზოგვისა და მოფრთხილების უნარი**. ამასთანავე, მისთვის განსაკუთრებული ღირებულება ჰქონდა **ოჯახისა, თანამემამულისა და სამშობლოსადმი ერთგულ დამოკიდებულებას**, რაც ილიას კონცეფციით, სრულყოფილი მოქალაქის და ზნეობრივად განვითარებული ადამიანის, „კაიკაცის“ ძირითად მახასიათებლად აღიქმებოდა. (ჭავჭავაძე, 1879 წ., იანვარი).

ილია ჭავჭავაძეს ღრმად სწამდა, რომ „კაცი ჯერ კაცი უნდა იყოს.“ ადამიანი „**კაცურკაცობას**“ მარტო ფულის შოვნაში არ უნდა ჰხედავდეს. ილიას

მიუღებლად მიაჩნდა ფულის უპატიოსნო გზებით შოვნა, ინუნებდა „სიხარბეს და გულქვაობას“, რაც ინვესტს იმას, რომ „ადამიანი ადამიანს სასიკვდილოდაც არა ჰზოგავს გროშისთვის.“ ილია აღნიშნავდა: „ფულის შოვნის სიხარბისაგან გააფთრებულს კაცს განა მოეთხოვება იმისთანა გრძნობა, როგორც, მაგალითებრ, **კაცთმოყვარეობაა, სიბრალულია, გულშემატკივრობაა**, და სხვა ამისთანა პატიოსანი სიტბო სულისა და გულისა? ფულის შოვნის სიხარბე ისეთს ჟანგს მოჰკიდებს ხოლმე სულსაცა და გულსაც, რომ არავითარი გრძნობა ვეღარ ისადგურებს ადამიანში.....კაცობა ადამიანისა ფული არ არის და სიღარიბე, უფულობა არაკაცობას არა ჰნიშნავს....ბევრი ღარიბია კაცური ღირსებისა....**კაცი უნდა ჯერ კაცი იყოს** და მერე თუნდაც ფულიანი, თუნდა უფულო.“ (ჭავჭავაძე, 1888).

საქართველოს ფუნდამენტური ღირებულებები

გლობალიზაციის თანამედროვე კონტექსტში ეროვნული პროგრესი შეუძლებლად და არარაციონალურად აღიქმება იმ ძირეული ფასეულობების გარეშე, რომლებიც ქვეყნის იდენტობისა და მდგრადი განვითარების საფუძველს წარმოადგენენ. ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობითი სისტემის მიხედვით, ასეთ უმნიშვნელოვანეს ღირებულებებს შეადგენენ მამული, ენა და სარწმუნოება — ფასეულობები, რომლებიც მან “სამი ღვთაებრივი საუნჯის” სახელით მოიხსენია. ილია აღნიშნავდა: **“სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატირონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?”** (ჭავჭავაძე, 1860).

ილია ჭავჭავაძე მიაჩნებდა, რომ ეს მემკვიდრეობა მორალურ პასუხისმგებლობას გვაკისრებს წინაპართა მიმართ და მოგვიწოდებდა მის სიფრთხილითა და ერთგულებით დაცვას, რადგან მათ გარეშე, მომავალი თაობის წინაშე ვერ გავამართლებთ ჩვენს კულტურულ და ისტორიულ პასუხისმგებლობას.

ღირებულებითი ეკონომიკური პრინციპები და ეთიკური კონტექსტი

ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური აზროვნება ეფუძნება ღირებულებითად დატვირთულ პრინციპებს, რომელთა შორის მთავარი როლი ენიჭება ადამიანის ღირსებას, სოციალური პასუხისმგებლობის აღქმას და ეროვნული ინტერესების უპირატესობას. ეკონომიკური განვითარება მასთან დაკავშირებული

ბული იყო. ილია მიიჩნევდა, რომ ცხოვრება, რომელიც არ უწყობს ხელს ადამიანის ბედნიერებასა და სიამოვნებას, და არ უქმნის პიროვნებას ან საზოგადოებას მისი ღირსებისამებრ მოპოვებული მადლისა და წარმატებების გაზიარების შესაძლებლობას, საბოლოოდ „ჯოჯოხეთის“ მსგავსად იქნებოდა. მისთვის უპირატესი იყო არა მხოლოდ ინდივიდუალური ან სოციალური წარმატებების რაოდენობა, არამედ მათი მნიშვნელობა და ის ფასეულობები, რომლებიც ამ წარმატებებს საფუძვლად უდევს. მისთვის მადლი, როგორც შინაგანი და კულტურული კეთილმოქმედება, წარმოადგენს არა მხოლოდ პიროვნული, არამედ ეროვნული თანაცხოვრების და კეთილდღეობის ძირითადი ელემენტს, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ანმყოს და მომავლის კეთილდღეობას.

ილია დასძენდა: „ადამიანი და ნამეტნავად ერი არა მარტო „პურიტა ერთითა ცოცხალ არს“. ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთი რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს — სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, — გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, საქაოსათვის მაინცა. ამიტომაც, ვინცა სჩივის და ჰღალადებს სახორციელო პურისათვის, ის ამდენადვე, თუ არ მეტად, უნდა იღვწოდეს სასულიერო პურისათვის. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი. „ვით მამა ზეცისა იყავნ შენც სრული“ — აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანია თუ მთელი ერი, — ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა-სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარული-სათვის, — აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა.“ (ჭავჭავაძე, 1896).

ილია ჭავჭავაძის აზრით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფასეულობებია — **თვითმოქმედება, სამეწარმეო აქტივობა, „ამხანაგობების“ ორგანიზება, ერთიანობა, სამართლიანობა, საქმისადმი „საერთო სიყვარულით გამსჭვალვა.“** თვითმოქმედებით და თავის-თავის იმედით დაწყებული საქმეთა ზოგიერთი მაგალითები წინა-წლების მეოხებითაც თვალ-წინა გვაქვს. ჩვენი ბანკები, ჩვენი საზოგადოებანი - წერაკითხვის გამავრცელებელი, დრამატიული, ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვის, ჩვენი სკოლები, ქართველთა წიგნთა გამომცემელი ამხანაგობა, - ყოველივე



ესენი ერთად და თვითოეულად ცალკე ჩვენის თვითმოქმედების, თავის-თავის იმედის შვილები არიან და, როგორც ვხედავთ, თუმცა ტაატიო, მაგრამ მაინც ძლიერდებიან და მატებით წინ მიდიან დღითი-დღე ჩვენდა სასიხარულოდ და სანუგეშოდ. ყოველივე ეს მომხდარია ამ ოცს წელიწადში თითო-ობით, ხანდაზმობით, დროგამოშვებით, კანტი-კუნტად, ხოლო წარსულმა წელიწადმა ერთბაშად მოგვიხნა და მოგვითესა უშველებელი ნაყოფიერი და ნოყიერი დიდი მინდორი საეკონომიო მოქმედებისა, აქამდე უქმად დებული, დაუძრავი და ჩვენ მიერ თითქმის ხელუხლებელი. მომნიშვნელოვანია აზრი, რომ სულიერ ღონესთან ერთად უნდა ვლიდეს ღონე ხორციელიც, რომ სულის, ჭკუისა და გონების გაძლიერებას მხარ-და მხარ უნდა მოსდევდეს ქონების, ჯიბის გაძლიერებაც, რომ ერი და ქვეყანა, რომელთაც ან ერთი აკლია, ან მეორე, ცალფეხა კაცსა ჰგავს, და როგორც ცალ-ფეხა კაცი შორს მანძილს საჭირო სიმაღლით ვერ გაივლის, ისეც ერი, ქვეყანა, ვერას გახდება, თუ თავის წარმატების საყვარში ეს ორი უღლადი, ყოვლთ-შემძლებელი ძალ-ღონე არ ეყოლება შებმული ერთად და განუყრელად.” (ჭავჭავაძე, 1892).

ილია გვიზიარებს თავის სურვილს თვითმოქმედების საქმეში წარმატების მისაღწევად, გვთავაზობს სახელმძღვანელო პრინციპებს და აღნიშნავს: „ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს ასე მოხდეს, და მოხდება კიდევ, თუ არ დავივიწყებთ, რომ თვითოეული ჩვენგანი, — გლეხია, თავადი, აზნაური, ქალია თუ კაცი, — სულ ყველანი ერთად ქართველები ვართ, ჭირსა და ლხინში განუყრელნი და განუყოფელნი. ამიტომაც სიკეთისათვის ბრძოლაში თვითოეულს ჩვენგანს ყველანი ერთნაირად უნდა ახსოვდეს, რათა გარჯით და ბრძოლით მოპოებულ სიკეთისაგან ყველას თავისი წილი ერგოს უნაკლულოდ. მარტო ამ საერთო სიყვარულით გამსჭვალული კაცია უძლეველი და გამარჯვებული. ღმერთიც ამისთანა კაცსა სწყალობს და ქვეყანაც ამისთანა კაცის სახელს ჰლოცულობს, რადგანაც საქვეყნო საქმე მარტო ამისთანა კაცებისაგან ჰრიგდება და კეთდება.” (ჭავჭავაძე, 1892).

ილიას მთავარ პრინციპებად მიიჩნდა თითოეული ჩვენგანის „ჭირსა და ლხინში განუყრელობა და განუყოფლობა“, „სიკეთისათვის ბრძოლაში თითოეულ ჩვენგანს ყველანი ერთნაირად უნდა ახსოვდეს“, „რათა გარჯით და ბრძოლით მოპოვებულს სიკეთისაგან ყველას თავისი წილი ეროს უნაკლულოდ.“

ილია ჭავჭავაძის აზრით, განსაკუთრებით

მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფასეულობითი პრინციპები მოიცავდა შემდეგს: **შრომა და შრომის პატივისცემა, წარმოების განვითარება, მინის სრული საკუთრება და მისი სამართლიანი გადანაწილება, ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობა** (მისთვის მიუღებელი იყო, რომ ქართული ეკონომიკა უცხო ძალების ინტერესებზე ყოფილიყო დამოკიდებული), **გონივრული მეწარმეობა და ფინანსური კულტურა, საზოგადოებრივი სიკეთეების განვითარება** (თვლიდა, რომ წინსვლა უნდა ემსახურებოდეს ხალხის კეთილდღეობას).

ილია ხაზგასმით აღნიშნავდა ეკონომიკურ პრიორიტეტებს და სიხარულით ამბობდა, რომ მიმდინარე სირთულეებმა ქართველებს უბიძგა საკუთარ ყოფა-ცხოვრებაში ღრმად ჩახედონ და გააცნობიერონ, თუ რამდენად გადამწყვეტია ეკონომიკური მხარე. არსებულ რეალობაში ყველამ უნდა იგრძნოს, რომ აქამდე უკანა პლანზე დარჩენილ ეკონომიკურ საკითხებს სხვა პრობლემებზე წინ უნდა მივანიჭოთ პრიორიტეტი. ილია, კერძოდ აღნიშნავდა: „ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამისთანა გაჭირებამ თვალი აუხილა ქართველობას თავის ყოფა-ცხოვრებაში ჩახედვისათვის. დღეს თვითვეული ჩვენგანი ჰგრძნობს, რომ აქამომდე მივიწყებულს ეკონომიურს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის; რომ ეკონომიური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა და აქ უნდა გავისარჯნეთ და ვიამაგოთ.” (ჭავჭავაძე, 1893).

ჩვენი ქვეყნის გაძლიერება, მტკიცე ფუნდამენტის შექმნა და განვითარება სწორედ ეკონომიკურ საქმიანობაშია საძიებელი. კახეთში რკინიგზის გაშვება, ღვინის წარმოების გააქტიურება, საუბრები იმაზე, რომ ქართლის პურის წარმოება და იმერეთის სიმინდის საქმე კახეთის მაგალითით უნდა განვავითაროთ; ასევე, სურვილი, რომ მინის საკრედიტო სისტემასთან ერთად მოკლევადიანი სესხებიც ხელმისაწვდომი გახდეს — ეს ყველაფერი მიაწინებს **ახალ ტენდენციებზე**. იგივე შეგვიძლია ვთქვათ გლეხობის მხრიდან საერთო სახსრების გაერთიანებაზე სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად, და აზნაურების მცდელობაზეც, რომ მსგავსი ინიციატივები თავადაც განახორციელონ. ყველა ეს ფაქტი ცალ-ცალკე და ერთად ცხადყოფს, რომ ქართველები ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიან სწორი და ახალი გზისაკენ, რაც აუცილებლად მიგვიყვანს წარმატებამდე. რადგან როგორც ცნობილია, სწორი მიმართულების პოვნა უკვე ნახევარი წარმატებაა.

ერის საჭიროებებზე მორბევა

პუბლიცისტურ წერილში „ჩვენი აზრი სწავლა-აღზრდის სისტემის შესახებ (წერილი რედაქციის მიმართ)“, (ჭავჭავაძე, 1893), ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა ეკონომიკის მჭიდრო კავშირზე განათლებასთან, კულტურასთან და სოციალურ თანასწორობასთან. ის მიიჩნევდა, რომ ილია ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ წერილში („ჩვენი აზრი სწავლა-აღზრდის სისტემის შესახებ (წერილი რედაქციის მიმართ)“, 1893) ხაზს უსვამდა იმ იდეას, რომ განათლება მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან, კულტურულ განვითარებასთან და სოციალურ სამართლიანობასთან. მისი შეხედულებით, სწორი და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სისტემა აუცილებელია ეკონომიკური წინსვლისთვის და საზოგადოების შიგნით თანასწორი პირობების შექმნისთვის. ამით ილია მდგრადი განვითარების საჭიროებებსაც და მდგენელებსაც წარმოაჩენდა და აკავშირებდა.

ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა, რომ თუ განათლების სისტემა სწორად არ მოეწყო, ქვეყნის ეკონომიკა ვერ განვითარდებოდა, ხალხი გაჭირვებაში დარჩებოდა და სოციალური უთანასწორობა კიდევ უფრო გამძაფრდებოდა. მისი აზრით, განათლების ხარვეზი პირდაპირ იწვევს ეკონომიკურ სიდუხჭირესა და საზოგადოების ჩამორჩენას კულტურულადაც და სოციალურადაც.

ილია ჭავჭავაძის კონკრეტული გამონათქვამები ფორმულირებულია შემდეგნაირად: „ყოველის სკოლის არსებობას უნდა ამართლებდეს მოთხოვნილებანი ერისა... წარმატებული ის იქნება, ვინც დროისა და ჟამის შესაფერ სწავლა-ცოდნით შეიარაღდება, ვისი სწავლა-ცოდნაც ეშვება მება თავის ეროვნულს თავისებურებას, სამშობლოს ვითარებას. არსებობისათვის ბრძოლა დღეს ჩვენში ძლიერ გამწვავდება. ათასის ჟურის უცხო ხალხი შემოესია ჩვენს ქვეყანას და ლამის წაგვლეკოს და ალგვგაოს სამშობლო მიწა-წყლიდან. ამიტომ, მართლაც სწავლით შეიარაღება გვიჭირს;“ „არ არის ჩვენი წარსული თუ არ გაბმული, შეუწყვეტელი ბრძოლა მიწა-წყალის დასაცველად, იმ იარაღის შესარჩენად, რომლითაც ქართველს შეეძლო არსობითის ბრძოლიდან ბურთის გატანა. დღეს რილათი აიწონება ჩვენის ქვეყნის აკვარგიანობა, თუ არა მეურნეობით. ვინ შეადგენს ძალას, ღონეს და თავმოწონებას ქართველობისას, თუ არ ჯგუფი, კრებული თავისუფლად მეურნეთა? რა სიგელი უნდა წარუდგინოთ მომავალს, ჩვენის არსებობის დასაცველად, თუ არ მეურნეობა?“

„რაც არის ჩვენი ეროვნული თავისებურება... ჩვენი სწავლა და ცოდნა აი აქეთ უნდა მიისწრაფოდეს“;

„ჩვენი მიწა-წყალი საშინელი სისწრაფით გადადის უცხოთა ხელში... ძველებური, მამა-პაპური წესი მიწის მუშაობისა აღარ ვარგობს, საჭიროა ახალის, ევროპულის ხერხით მუშაობა, საწიროა განოყიერება მიწისა, საჭიროა მაშინები. ერთის სიტყვით, საჭიროა სამეურნეო ცოდნა, და იგი კი არ გახლავთ.“ ამიტომ ჩვენ უნდა ვეტრფოდეთ „რეალურს სწავლას საზოგადოდ და საეურნეო სამრეწველოს – კერძოდ“;

წარმოვიდგინოთ შემთხვევა, რომ გვაქვს რეალური სასწავლებლები, სამეურნეო, სატექნიკო და სხ. მიაწყდა ქართველობა ამ სკოლებს და უსწავლელი არავინ გადარჩა /ჩვენი იდეალი/. სურათი ძირეულად შეიცვლება. დაფუძრუდებით მამულს, შევიშუშავებთ, ავაყვავებთ, გავმართავთ, ფაბრიკებს, ზავოდებს, და ვაკეთებთ მაშინებს. ყველას თავისუფალი შრომა გვექნება;“

„სწავლას და განათლებას ჩვენ უნდა ვუცქერდეთ არა როგორც საგანს მისწრაფებისას მხოლოდ, არამედ როგორც საშუალებას, ღონისძიებას, რომლის მეოხებით უნდა იმატოს ჩვენმა კეთილდღეობამ, ჩვენმა ბედნიერებამ;“

„ამაზრს არ შეეცვლით, ვიდრე თვით ეს სკოლები არ შეიცვლება, ვიდრე იგი სკოლები არ იქნება დამაკმაყოფილებელი ერის არსებობის საჭიროებისა;“

როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძის აზრით, განათლება უნდა შეესაბამებოდეს ერის ეროვნული თავისებურებებსა და ქვეყნის რეალურ მდგომარეობას. სკოლა და სწავლა არ უნდა იყოს თავისთავადი მიზანი, არამედ საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობს ერის გაძლიერებასა და ქვეყნის განვითარებას.

ილია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მიწა-წყლის დაცვის საჭიროებაზე, რაც ისტორიულად მუდამ იყო ქართველი ერის უპირველესი საზრუნავი. ის თვლის, რომ ქვეყნის გადარჩენისათვის აუცილებელია პრაქტიკულ ცოდნაზე დაფუძნებული განათლების სისტემის შექმნა — ისეთი, რომელიც ახალგაზრდობას შეასწავლის თანამედროვე, ევროპული მიდგომებით სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას.

ილია ასევე გამოხატავს რწმენას, რომ თავისუფალ შრომაზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარება — ფაბრიკების, ქარხნებისა და ტექნიკის წარმოება — უზრუნველყოფს ერის დამოუკიდებლობასა და კეთილდღეობას. ამგვარად,

განათლება ილია ჭავჭავაძისთვის არ არის მხოლოდ კულტურული ღირებულება, არამედ გადამწყვეტი ინსტრუმენტი ეროვნული ინტერესების დასაცავად და ქვეყნის წინსვლის უზრუნველსაყოფად.

ნათლას ჩანს ილიას ნააზრევი იმ უმთავრესი ღირებულებების თაობაზე, როგორცაა: **განათლების შესაბამისობა ქვეყნის ეროვნული თავისებურებებისადმი, სამშობლოს ვითარებისადმი; შეუწყვეტელი ბრძოლა მიწა-წყალის დასაცველად; ქვეყნის გადარჩენა; თავისუფალ შრომაზე დაფუძნებული მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარება; ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფა.**

ილია ჭავჭავაძე ქვეყნის პროგრესის აუცილებელ წინაპირობად განათლებასა და სწავლას მიიჩნევდა. იგი ამ ღირებულებებს განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა როგორც ეროვნული განვითარებისა და კულტურული აღორძინების განმსაზღვრელ ფაქტორებს. ჭავჭავაძის ხედვით, სწორედ განათლებისადმი ერთგულება განაპირობებდა საქართველოს ძლიერებას დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქაში — პერიოდებში, რომლებიც ეროვნულ აღზევებასა და სულიერ ამაღლებასთან არის ასოცირებული. ილია ხაზს უსვამდა ისტორიულ ტენდენციას, რომლის მიხედვითაც ქართველმა ერმა, მიუხედავად ხანგრძლივი ბრძოლებისა თავისუფლებისთვის, როგორც კი მშვიდობის მცირე შანსი ეძლეოდა, დაუყოვნებლივ მიმართავდა ამ პერიოდს განათლების საქმეზე ზრუნვისა და ცოდნის გავრცელებისთვის. მისთვის ეს მუხტი ეროვნული მეხსიერებისა და წარმატებული სახელმწიფოებრივი განვითარების განუყოფელი ნაწილი იყო. (ჭავჭავაძე, 1878 წ., 10 მაისამდე).

დღესაც აქტუალობას არ კარგავს ის ფუნდამენტური პრინციპები და უმნიშვნელოვანესი ღირებულებები, რომელთა განხორციელება აუცილებელი წინაპირობაა ქვეყნის პროგრესისა და განვითარებისთვის. ამ ღირებულებათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ეროვნული ერთიანობა, თავისუფლებისათვის შეუდრეკელი ბრძოლა, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა და რეფორმების გზით საზოგადოების განახლება. სწორედ ამ პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკა და კულტურულ-საზოგადოებრივი მიმართულება წარმოადგენს მტკიცე საფუძველს მდგრადი მომავლის შესაქმნელად.

ილია ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული ხედვები გვთავაზობს **განათლების ეროვნული მოდელის ფასეულ პრინციპებს, რომელიც ეფუძ-**

ნება ერის საჭიროებებსა და დროის გამოწვევებს; ემსახურება ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და კეთილდღეობას; ითხოვს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის თანამედროვე მიდგომების ათვისებას; და საბოლოოდ — ჩამოყალიბებული, განათლებული ერის წარმოშობას, რომელიც თავად შექმნის უკეთეს მომავალს.

ეპროპული ცივილიზაციის აღება და მისწრაფება ეპროპულ გზაზე

ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთ პირველ ქართველ ინტელექტუალად მიიჩნევა, რომელმაც გააზრებულად აღიქვა ეპროპული ცივილიზაციის რაობა, მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მოდელი. მისთვის ევროპა — ეს იყო პროგრესის, თავისუფლების, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და ინდივიდუალური ღირსების სივრცე. ამ ღირებულებებს ილია არ აღიქვამდა როგორც დასავლური გავლენის ბრმად გადმოლებას, არამედ როგორც ის იდეალი, რომელიც ქართველი ერის შინაგან კულტურულ საფუძველზე უნდა დამკვიდრებულიყო.

ილია ჭავჭავაძისთვის ევროპა არ ყოფილა მხოლოდ გეოგრაფიული ან პოლიტიკურ-ეკონომიკური სივრცე. ის განიხილავდა მას როგორც ცივილიზებულ სამყაროს, რომელიც ეფუძნებოდა თავისუფალი პიროვნების აღიარებას, განათლების პრიორიტეტს, სოციალური თანასწორობის იდეას და სამართლებრივ წესრიგს. ამ იდეალების ასახვას ის საკუთარი პუბლიცისტური ნაწარმოებებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის გზით ცდილობდა.

რეფორმების იდეა და მისი განხორციელების გზა

ილია ჭავჭავაძე ეროვნულ პროგრესს განათლების გავრცელებასა და სოციალური რეფორმების გატარებას უკავშირებდა, რაც მისთვის ცივილიზებული ქვეყნების მაგალითზე დაფუძნებული განვითარების აუცილებელ პირობად მიიჩნეოდა.

ილია ჭავჭავაძე აანალიზებს იმდროინდელი მსოფლიოს წარმატებული ქვეყნების ეკონომიკური სტაბილურობისა და კეთილდღეობის ზრდის მიღწევის გამოცდილებას. გამოავლენს, რომ ამ წარმატებებს განაპირობებს სწორედ ღირებულებითი სისტემები ქვეყნისა. მას მოჰყავს ბრაზილიის, იაპონიის, ჩინეთის და სხვა ქვეყნების მაგალითები. ილია ჭავჭავაძე, ანალიზის საგნად იღებს იმ პერიოდის მსოფლიოში წარმატებული ტრენდების მქონე სახელმწიფოებს და მათ სოციალურ-ეკონო-

მიკურ პროგრესს კონკრეტული მაგალითების საფუძველზე განიხილავს. იგი მიუთითებს იმაზე, რომ ეკონომიკური სტაბილურობა და კეთილდღეობის ზრდა უმთავრესად დამოკიდებულია ღირებულებით სისტემებზე, რომლებიც თითოეულ ქვეყანაში სახელმწიფოებრივი ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს. ილია თავდაპირველად აანალიზებდა ევროპის დანაშაულების მიზეზებს და მიიჩნევდა, რომ „ისტორია და წარმატება — მარჯვესი, გამრჯვესი, მხნესი და მერმისისათვის მებრძოლის კუთვნილია. ამისთანად აღმოჩნდა ევროპიელი, და ბურთი და მოედანიც იმას დარჩა. იგია დღეს გამგებელი ქვეყნიერობისა, იგია დღეს ქვეყნის უღლის მწვეელი და იგივეა ქვეყნის სიკეთის მკრეფავი და პატრონიცა. მეცნიერება და მხნეობა, ჭკუა და ხელი. ამ მეცნიერებასა და მხნეობას, ამ ჭკუასა და ხელს ამოქმედებს დაუღალავი წყურვილი ხვალის უკეთესობისა და მწვავე უკმარობა დღევანდელისა. ამ ორ გრძნობათაგან წარმოსდგება ის ძლევა მოსილი წინმსვლელობა, ის დიადი წარმატება.“ (ჭავჭავაძე, 1889).

ილია ჭავჭავაძე ხაზს უსვამს, რომ აზია, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად იყო კულტურისა და ცივილიზაციის ერთ-ერთი პირველი კერა, დიდხანს დარჩა სტატიკურ მდგომარეობაში და ვერ შეძლო თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი გარდაქმნების გატარება. მისი აზრით, აზიის რეგრესის მიზეზია არა მხოლოდ გარე ფაქტორები, არამედ შიდა მენტალური და სოციალურ-კულტურული სტაგნაცია — კმაყოფილება არსებულით და უარყოფითი დამოკიდებულება ცვილილიზაციის, პროგრესისა და უცხო კულტურების მიმართ.

წინსვლის უმთავრეს საფუძვლად ილია მიიჩნევს იმ სოციალურ-მენტალურ მდგომარეობას, როდესაც საზოგადოება არ კმაყოფილდება დღევანდელი მდგომარეობით, არამედ მას აღიქვამს როგორც ხიდს უკეთესი მომავლისაკენ. მისი შეფასებით, ეს თვისება — უკმარობა დღევანდელისა და წყურვილი ხვალისდელის სრულყოფისკენ — არის ის ძირითადი მამოძრავებელი ძალა, რომელმაც ევროპა მსოფლიო პროგრესის ლიდერად აქცია.

ილია ჭავჭავაძე დასავლეთის წარმატების საფუძვლად ასახელებს ცოდნისა და შრომის კულტს — ღირებულებებს, რომლებიც წარმოებაზე დაფუძნებულმა საზოგადოებამ განავითარა ორგანიზაციული სტანდარტებისა და ეფექტური მმართველობის ინსტიტუტების მეშვეობით. მისი თქმით, ევროპის მოქალაქეები „დაუღალავი შრომითა და გონებრივი ძალისხმევით“ ქმნიდნენ ცი-

ვილიზაციას, რომელმაც ტრადიციული საზღვრები გადალახა და ახალ დონეზე აიყვანა საზოგადოებრივი განვითარება.

ამ კონტექსტში, ილია განსაკუთრებით აკვირდება იმ ცვლილებებს, რაც აზიის ქვეყნებში თანდათანობით იწყებს განვითარებას. მისი ანალიზის თანახმად, ჩინეთმა და სპარსეთმა, მიუხედავად ხანგრძლივი კულტურული ჩაკეტილობისა, დაიწყეს დასავლური ცივილიზაციის მიღების მცდელობები. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმატებულ მაგალითად იაპონია მოჰყავს. ეხება რა იაპონიას, ილია კონკრეტულად გამოყოფს, რა უნდა გადმოიღოს ქვეყანამ ევროპული გამოცდილებიდან და განსაკუთრებულ ყურადღება მიაპყრობს რამდენიმე მთავარ ასპექტს, როგორიცაა: **განათლება**, **„ნამეტნავად მმართველობა და გამგებლობა ქვეყნისა“**, **ევროპის წესი ანუ ინსტიტუტები და რიგი, ანუ მიღწეული სტანდარტები**. კერძოდ, ილია აღნიშნავს: „იაპონია ამ მხრით უფრო გაბედულად ირჯება. მისი ახალი ხელმწიფე დიდი მომხრეა ევროპის განათლებისა და ჰლამის დაუცხრომელად — ყოველისფერი, ნამეტნავად მმართველობა და გამგებლობა ქვეყნისა, ევროპის წესსა და რიგს შეუფეროს. დღეს იაპონიას ბევრი ევროპიულად განათლებული, ევროპაშივე სწავლამიღებული ახალგაზრდობა ჰყავს. შინაც დიდად მოცადინენი არიან სწავლისა და განათლებისათვის. მწერლობა, ცოტად თუ ბევრად, ფრთაასხმულია და გავრცელებული, და ვინ იცის, — იქნება იაპონიამ პირველი მესვეურობა გაუწიოს აზიას ევროპის ცივილიზაციის ზედმოქმედების ქვეშ წარსამატებლად და განთიადმა განათლებისამ თავისი სხივოსანი შუქი პირველ იქიდან მოჰფინოს მთელს აზიასაცა. ამბობენ, იაპონელი ამისათვის არც ნიჭს არის მოკლებული და არც უნარსაო.“ (ჭავჭავაძე, 1889).

ილია ხაზს უსვამს, რომ იაპონიამ — შიდა პოლიტიკური ნების, განათლების სისტემის რეფორმისა და დასავლური მმართველობითი სტანდარტების შემოღების გზით — მოახერხა ცივილიზაციური წინსვლის მკვეთრი დაჩქარება. იაპონიის გამოცდილება ჭავჭავაძისთვის წარმოადგენს იმის მაგალიტს, თუ როგორ შეუძლია ქვეყანას წარმატებით შეერწყას მსოფლიო პროგრესს, თუ იგი გააჩნია შესაბამისი ნება, უნარი და მზაობა ცვლილებებისადმი.

სპარსეთის მაგალითით, ილია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დასავლური ცივილიზაციის მიღება მხოლოდ ტექნიკური ცვლილებები არ არის, არამედ პოლიტიკური ნებისა და სოციალური თვითშეგნების

გამოხატულება. შაჰის ევროპული ტურნეებისა და დაკვირვებების ფონზე, ქვეყანაში დაიწყო ძველი წესრიგის გადაფასება და ახალი, პროგრესულ პრინციპებზე დაფუძნებული მმართველობის მოდელის ძიება. (ჭავჭავაძე, 1889).

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის მიხედვით, ცივილიზებული განვითარება არა მხოლოდ ტექნიკური პროგრესით, არამედ ღირებულებითი სისტემის გადაფასებითა და განათლების, მმართველობისა და სოციალური წესრიგის მორგებით მიიღწევა. მისი შეფასებით, ქვეყნის წინსვლის გზაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მასობრივ განათლებას, მმართველობითი სისტემის ეფექტურობას, ცივილიზებულ სტანდარტებსა და პროგრესზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ თვითშეგნებას.

ბრაზილიის მაგალითზე საუბრისას ილია განსაკუთრებით გამოარჩევს იმპერატორ დონ პედრო II-ის მმართველობის პერიოდს და მისი მმართველობითი პრაქტიკის ანალიზს მიმართავს. 1889 წელს მომხდარი პოლიტიკური ცვლილება — იმპერატორის მშვიდობიანი, უსისხლო გადაყენება და ბრაზილიის რესპუბლიკად გამოცხადება — არ აღიქმება მხოლოდ პოლიტიკური გარდაქმნის ფაქტად. ილია შეეცდება გაარკვიოს, რა პირობებმა განაპირობა იმ ეპოქის წინსვლა და ეკონომიკური აღმავლობა.

ილია ჭავჭავაძე გამოყოფს რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს: **მოქალაქეობრივი და პოლიტიკური თავისუფლებების არსებობა**, რაც ხელს უწყობდა საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში; **წარმომადგენლობითი მმართველობის სისტემა**, რომელიც უზრუნველყოფდა პოლიტიკური პროცესების დემოკრატიულობას; **სიტყვისა და პრესის თავისუფლება**, რომელმაც განაპირობა კულტურული და საინფორმაციო სფეროების გაძლიერება; **განათლების სფეროს განვითარება**, რომელსაც დონ პედრო II განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა; **ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით კი რკინიგზის და ფინანსური ინსტიტუტების განვითარება**; და ბოლოს, **მონობის გაუქმება**, როგორც უდიდესი ჰუმანური და სამართლებრივი მიღწევა. (ჭავჭავაძე, 1889).

ამ გზით ილია ჭავჭავაძე ხაზს უსვამს იმას, რომ წარმატებული მმართველობა ეფუძნება არა მხოლოდ გარე ფაქტორებს, არამედ ღრმა შინაგან პრინციპებს — სამართალს, თავისუფლებას, განათლებასა და ადამიანური ღირსების პატივისცემას.

ილიას ხედვები **განათლების, ეკონომიკური შეკავშირების (კოოპერაციის), ეკონომიკური**

აზროვნების განვითარების, თავისუფალი სიტყვის, დემოკრატიის, ეროვნული თვითშეგნების გაძლიერების, სამართლის სისტემის განახლების შესახებ, რომელიც სამართლის უზენაესობის დამკვიდრებას უზრუნველყოფდა, დღესაც აქტუალურია.

საქართველოს მისწრაფებების თავსებადობა ევროკავშირის ფასეულობებსა და მიზანთან

თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ კითხვაზე პასუხის გაცემა, რამდენად შეესაბამება საქართველოს მისწრაფებები ევროკავშირის ფასეულობებსა და სტრატეგიულ მიზნებს. (Bedianashvili, 2018; 2023; Gvelesiani, & Veshapidze, 2016a, 2016b; Papava, 2016, 2020a, 2020b).

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრულია ის ღირებულებები, რომლებზეც არის დაფუძნებული ორგანიზაცია, კერძოდ: ადამიანის ღირსების პატივისცემა, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, სამართლის უზენაესობა, ადამიანის უფლებების მათ შორის, უმცირესობათა უფლებების დაცვა, პლურალიზმი, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, შემწყნარებლობა, სამართლიანობა, სოლიდარობა, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა. გარდა ამისა, ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია წევრი სახელმწიფოების ეროვნული იდენტობის პატივისცემის აუცილებლობა. მე-6 მუხლი კი, ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის სავალდებულო ძალას აღიარებს.

ევროკავშირის მიზნები დეკლარირებულია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-3 მუხლში, რომლის თანახმადაც, ევროკავშირი მიზნად ისახავს მშვიდობას, კავშირის ღირებულებებისა და წევრი სახელმწიფოების ხალხთა კეთილდღეობის ხელშეწყობას. ხელშეკრულების თანახმად, კეთილდღეობა გულისხმობს: ეკონომიკის ზრდას, ფასების სტაბილურობას, სოციალურ საბაზრო ეკონომიკას, შიდა ბაზრის შექმნას, გარემოს დაცვას, სოციალური სამართლიანობისა და კულტურული მრავალფეროვნების უზრუნველყოფას, ასევე, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის შექმნას და ა. შ. (CONSOLIDATED VERSION OF THE TREATY ON EUROPEAN UNIONEN 26.10.2012 Official Journal of the European Union C 326/13).

ილიას ნააზრევს საფუძველზე შესაძლებელია დასკვნის გამოტანა, რომ ევროკავშირის ღირებულებები და მიზნები თანხვედრაშია ქვეყნის

ეროვნულ ინტერესებთან. ეს დასკვნა მრავალი კვლევით არის გამყარებული. (ბატიაშვილი, 2017; ბერიშვილი, 2017; ბუაძე, 2017, 2020; გოგიაშვილი, 2017; დორეული, 2017; ვეშაპიძე, 1999, 2017; კვარაცხელია, 2017; კოლუაშვილი, 2013; მჭედ-ლიშვილი, 2017; ქარჩავა, 2017; ჩინჩალაძე, 2017; ჩიხლაძე, 2007, 2009; ჩხიკვაძე, 2017; ხარიტონიშვილი, 2017; ხონელიძე, 2017; ჯანელიძე, 2017; შენგელია, 2017; შეშელიძე, 2017; შიხაშვილი, 2018; Silagadze, 2009, 11).

გარდა ქვეყნის შიდა ეკონომიკური განვითარებისა, ჭავჭავაძის ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის საკითხს. ილია განიხილავდა შრომის საერთაშორისო დანაწილების, ვაჭრობის, უცხოური ინვესტიციების მიზნობრივი მოზიდვისა და გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობებში აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობას. ამასთან, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ასეთი ინტეგრაცია უნდა განხორციელდეს ეროვნული ინტერესებისა და ადგილობრივი კონტექსტის სრული გათვალისწინებით.

ილია საფუძვლიანად იკვლევდა „...ჩვენ სხვისთვის ვართ რამე თუ არა...“ და აღნიშნავდა: „ეს პატარა ქვეყანა, რომელსაც ამიერ-კავკასიას ეძახიან და სადაც უპირატესობა ყოველისფრით ქართველობას უპყრია, დღეს საკვანძო ქვეყნად შეიქმნა. ... აზია საერთოდ და ჩვენ თითონ საკუთრივ ვართ საჭირონი არამც თუ ჩვენის თავისათვის მხოლოდ, არამედ სხვისათვისაც, თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერობაზედ ამ ხუთას-ექვსას წელიწადში, მაგრამ ეს მიწის-ყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვადასხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილების მიზეზად იქნება კიდევ.“ (ჭავჭავაძე, 1879).

ილია ჭავჭავაძემ დაასკვნა, რომ ისტორიულად საქართველოს გადარჩენა ხშირად განაპირობებდა დიდი სახელმწიფოების შორის მიღწეულ შეთანხმებებს, რომლებშიც ქვეყნის სწორი პოზიციონირება მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ის ფაქტი, რომ დღემდე ვარსებობთ, მიუთითებს ჩვენს მდიდარ ისტორიულ წარსულზე და უნარზე, ამ გარემოებებს სწორად შევგუებოდით. თუმცა, ამასთან ერთად, აუცილებელია, დღესაც შევინარჩუნოთ ადეკვატური პოზიციონირება საერთაშორისო სივრცეში, რათა არ დავკარგოთ ჩვენი ისტორიული თვითშეგნება და საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული

სწრაფვა დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითმყოფადობისკენ.

ილიას ხედვით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყნის ადამიანური, ბუნებრივი და ნიადაგის რესურსების ეფექტიან გამოყენებას — მათ შორის კლიმატის, ჰავისა და წყლის რესურსების სწორად ათვისებას. მნიშვნელოვანია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის ბაქო-ბათუმის რკინიგზის სრულყოფილი ამოქმედება და ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობის გაძლიერება. სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ასევე ბაქოდან შავი ზღვისკენ მიმავალი მილსადენების გაყვანა და კავკასიის რეგიონის ნავთობის რესურსების მიზანმიმართული ათვისება. ამავდროულად, აუცილებელია შეიქმნას ხელსაყრელი პირობები ქართული ღვინისა და აგრარული პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანად გასატანად.

თანამედროვე გლობალურ და რეგიონულ კონტექსტში ქვეყნის სწორად პოზიციონირება უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს. (პაპავა, 2001, 2019). ეკონომიკური პროცესების ღრმა ანალიზის პირობებში, ილია ჭავჭავაძის ისტორიულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული ხედვა და მის მიერ ჩამოყალიბებული მომავლისკენ მიმართული მოქმედების პრინციპები შესაძლოა გახდეს ეფექტური გზის მიმცემი. ეს მიდგომა ხელს შეუწყობს როგორც ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვას, ისე ქვეყნის კულტურული და ეკონომიკური თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

ამიტომ, თანამედროვე აკადემიური დისკურსისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის ღრმად გააზრება — როგორ იმოქმედებდა იგი თანამედროვე პირობებში, რა პოზიციას დაიკავებდა სხვადასხვა საკვანძო საკითხთან მიმართებით, რა ინიციატივებს წამოაყენებდა და რა მიმართულებას მიანიშნებდა საზოგადოებისთვის. (შეშელიძე, 2017). აღნიშნული კვლევითი მიდგომა გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია არა მხოლოდ ჰუმანიტარული დისციპლინების — როგორიცაა ფილოსოფია, ფილოლოგია, ისტორია და პოლიტოლოგია — უწყვეტი განვითარებისათვის, არამედ ფართო გამოყენებას პოულობს ისეთ სფეროებში, როგორიცაა სამართალი, ეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობები და ფინანსები. იგი ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას სახელმწიფოს ეფექტიანი ინტეგრაციისთვის გლობალურ პროცესებში. მოცემულ მიდგომას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სა-



ხელმწიფოებრივი თვითშეგნების, მმართველობის კულტურის, ეროვნული ინტერესების და ადამიანის უფლებების დაცვის არსობრივად გააზრებაში. ამ პროცესის შედეგად განითარებული ხედვები ერთ-ერთი არსებითი საფუძველია, რომელიც ემსახურება კაცობრიობის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას გლობალურ დონეზე.

თანამედროვე რეალობის მიხედვით თუ შევავასებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს ისეთ ღირებულებებზე, როგორიცაა თითოეული ადამიანის კეთილდღეობა, ეკონომიკის განვითარება, თანასწორობა (სამართლიანობა), საკუთრების უფლების დაცვა, თავისუფლება, სახელმწიფოებრივი აზროვნება, ეროვნული თვითმყოფადობა, დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური ხედვებისა და მის მიერ წამოყენებული პრინციპების დაცვას, როგორიცაა: **კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, პიროვნების თავისუფლების დაცვა, პლურალიზმი, ჰუმანიზმი, დემოკრატიზმი, საბაზრო ეკონომიკა, მენარმეობის თავისუფლება, მთავრობის ლიბერალური ჩარევა, ლიბერალური გადასახადები, კონკურენცია, საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია, ღია ეკონომიკა, თავისუფალი ვაჭრობა, სამართლიანი რეფორმები.**

დასკვნა

ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური მსოფლმხედველობა, რომელიც ღრმად ეფუძნება ღირებულებებს, დღესაც აქტუალურია. მისი იდეები აერთიანებს ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებულ ეკონომიკურ ხედვასა და მტკიცე მორალურ საფუძვლებს. ილია ეკონომიკას განიხილავდა არა მხოლოდ როგორც კეთილდღეობის მიღწევის ინსტრუმენტს, არამედ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და

სოციალური სამართლიანობის განმტკიცების გზად. ილია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას, სახელმწიფოს როლს სტრატეგიულ სექტორებში და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციას — ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. თანამედროვე პირობებში, როცა საქართველო დგას რთული გამოწვევების წინაშე, ჭავჭავაძის იდეები გვთავაზობს ისტორიულად გააზრებულ და ღირებულებითად მდგრად ალტერნატივას, რომელიც შეუწყობს ხელს ქვეყნის განვითარებასა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

თანამედროვე რეალობის პრზმით დანახვისას ნათლად ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ისეთ ღირებულებებზე, როგორიცაა ინდივიდის კეთილდღეობა, ეკონომიკური წინსვლა, სამართლიანობა და თანასწორობა, საკუთრების დაცვის უფლება, თავისუფლება, ეროვნული თვითშეგნება და სახელმწიფოებრივი აზროვნება, დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელოვან აქტუალობას და მნიშვნელოვან როლს საზოგადოებრივი განვითარების პროცესში. ილია ჭავჭავაძის ეკონომიკურ შეხედულებებს და მის მიერ წამოყენებულ პრინციპებს დღესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მის ხედვებში გამოკვეთილია ისეთი ფასეულობები, როგორიცაა კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, ინდივიდუალური თავისუფლების დაცვა, პლურალიზმი, ჰუმანიზმი, დემოკრატიული მმართველობა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები, მენარმეობის ხელშეწყობა, სახელმწიფოს ლიბერალური ჩარევის მოდელი, დაბალი და სამართლიანი გადასახადები, ჯანსაღი კონკურენციის ნახალისება, საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ჩართულობა, ღია ბაზარი, თავისუფალი ვაჭრობა და სამართლიანობაზე დაფუძნებული რეფორმები.

GEORGIA'S STRATEGIC ROLE IN EURASIAN TRANSPORT AND DIGITAL LOGISTICS TRANSFORMATION

Copyright © 2025 the Author/s

Peer review method: Double-Blind

Accepted: May 17, 2025

Published: June 12, 2025

Original scientific article

DOI suffix: 10.36962/NEC20022025-40



Loid Karchava

Doctor of Business
Administration, Associate
Professor, Caucasus International
University
ORCID iD: <https://orcid.org/0000-0003-2857-0235>
E-mail: loidk@yahoo.com



Irakli Nanuashvili

Master of Law,
Ministry of Defense of Georgia
E-mail: nanuashviliirakli@gmail.com



Gia Zoidze

Doctor of Economics,
Batumi Shota Rustaveli
State University
ORCID: <https://orcid.org/0000-0002-0155-5775>
E-mail: giazoidze@yahoo.com



Shota Veshapidze

Doctor of Economic Sciences,
Associate Professor, Ivane
Javakhishvili Tbilisi State University
ORCID: <https://orcid.org/0000-0003-0933-3648>
E-mail: shota.veshapidze@tsu.ge

ABSTRACT

Georgia is an important element of the Middle Corridor, a trans-Caspian international transportation corridor that connects China and Europe via Central Asia and the South Caucasus. Its strategic location at the intersection of Europe and Asia makes it an important player in international transportation and logistics. As Georgia's logistics industry looks to further integrate into global supply chains, this strategic stance offers both enormous opportunity and difficult problems. By examining the institutional frameworks, policy efforts, and infrastructure that influence Georgia's performance in regional and global contexts, this paper investigates the country's present position in international transport logistics. The TRACECA (Transport Corridor Europe-Caucasus-Asia), the Baku-Tbilisi-Kars railway, and Georgia's Black Sea ports, notably Poti, Batumi, and Anaklia (proposed), are among the main logistical routes that travel through the country and are examined in this article. Georgia is positioned as a natural transit nation for cargo movements between the North and South as well as between the East and West thanks to these facilities. Georgia's full potential as a logistics center is, however, hampered by a number of issues. These include reliance on external political and economic variables, such as Russian influence and regional wars, regulatory inefficiencies, limited cargo handling capacity, poor infrastructure in some areas, and geopolitical instability in the South Caucasus. Furthermore, Georgia is under further pressure to become more competitive due to competition from other routes, such as those via Russia, Iran, and sea channels. However, Georgia has benefited from new opportunities brought forth by the changing global logistics scene, which has been altered by the COVID-19 epidemic and the conflict between Russia and Ukraine. The Middle Corridor and Georgia's role within it have garnered fresh attention due to changing trade patterns and the growing interest of European and Asian entities in diversifying supply chains. Georgia can greatly improve its connectivity and logistical performance by investing in digitization, modernizing customs, and forming public-private infrastructure partnerships. A series of strategic growth directions for Georgia's logistics industry are suggested in the paper's conclusion. These con-



sist of: (1) enhancing the integration of multimodal transportation; (2) investing in rail and port infrastructure; (3) enhancing cross-border logistics collaboration with neighboring nations; (4) bringing regulatory practices into compliance with EU standards; and (5) advancing Georgia as a hub for logistics and transportation through policies and international partnerships. Georgia can strengthen its position as a key hub in Eurasian logistics and a trustworthy transit partner in the global economy by implementing concerted policy initiatives and making focused investments.

Keywords: Transport and Logistics Economy, Digital Economy in Supply Chains, Georgia's Transit Function in Regional Trade, Infrastructure Investment and Economic Growth, Global Value Chains and Competitiveness.

REFERENCES:

1. Abashishvili, G., & Liparteliani, S. (2021). Georgia's transit potential – country's competitive advantage. *The New Economist*, 16(2), 42–57. <https://doi.org/10.36962/nec6102202142>
2. Abuselidze, G. (2021). Competitiveness analysis of the georgian transport and logistics system in the black sea region: challenges and perspectives. In *International Conference on Computational Science and Its Applications* (pp. 133-148). Cham: Springer International Publishing.
3. Abuselidze, G., & Meladze, A. (2024). Innovative Customs System and its Impact on the Sustainability of the Transit Potential. *European Journal of Sustainable Development*, 13(1), 229-229.
4. **Agenda.ge**. (2023). *Gov't approves 2023-2030 National Transport and Logistics Strategy, Action Plan*.
5. Albrecht, T., Baier, M. S., Gimpel, H., Meierhöfer, S., Röglinger, M., Schlächtermann, J., & Will, L. (2024). Leveraging digital technologies in logistics 4.0: Insights on affordances from intralogistics processes. *Information Systems Frontiers*, 26(2), 755-774.
6. **Asian Development Bank**. (2021). *Georgia: Transport and Trade Facilitation Strategy*. <https://www.adb.org>
7. Barbaqadze, T., & Gegechkori, I. (2023). Renewable energy, transport and logistics, and digital transformation are key sectors for Georgia's economic growth. International Finance Corporation.
8. Bedianashvili G. (2023). Macrosystemic challenges of uncertainty under the conditions of confrontational globalization. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 17, 2: 174-179. <http://science.org.ge/bnas/vol-17-2.html>
9. Bedianashvili, G. (2014). Culture as an Institution in the Context of Socio-economic Development of Country and International Business. *Ekonomisti*, (6), 6-16.
10. **Caspian News**. (2024). *Baku-Tbilisi-Kars Railway Expansion Completed, Boosting Cargo Volume to 5 Million Tons*.
11. **Civil Georgia**. (2023). *Ministry of Economy Clarifies the National Strategy for Transport and Logistics and Its Action Plan*. <https://civil.ge/archives/555990>
12. **Christopher, M.** (2016). *Logistics & Supply Chain Management* (5th ed.). Pearson.
13. **Enterprise IT World**. (2025). *RFID Technology – Digital transformation in Logistics Industry*.
14. **Fortune Business Insights**. (2025). *Logistics Services (3PL & 4PL) Market Size...*
15. Gayialis, S. P., Kechagias, E. P., Deligianni, A., Konstantakopoulos, G. D., & Papadopoulos, G. A. (2022). Implementation Technologies of an Advanced Cloud-based System for Distribution Operations.
16. Georgian Legislative Herald. (2022). Agreement between the Government of Georgia, the Government of the Republic of Azerbaijan and the Government of the Republic of Turkey on the preliminary exchange of data for the purpose of simplifying customs transit procedures within the framework of the Baku-Tbilisi-Kars railway project.
17. **Geostat**. (2024). *Georgia's GDP Up by 7.5% in 2023*. <https://civil.ge/archives/588138>
18. Gereffi, G., & Fernandez-Stark, K. (2016). *Global Value Chain Analysis: A Primer*. Duke University.
19. **Gogvadze, G.** (2023). *Georgia's Strategic Role in the Middle Corridor.... Caucasus Journal of Transportation and Logistics*, 4(2), 35–52.
20. Grefen, P., Hofman, W., Dijkman, R., Veenstra, A., & Peters, S. (2018). An integrated view on the future of logistics and information technology.
21. Ismailov, E., & Papava, V. (2009). The Central Caucasus – Problems of Geopolitical Economy.
22. Karchava, L., Veshapidze, S., & Chiabrishvili, K. (2023). Economic perspective of establishing strategic partnership between China and Georgia. *The New Economist*, 18(3), 7-2.
23. Karchava, L., Veshapidze, S., & Tsikelashvili, S. (2025). Georgia's Perspective in the Context of Developing Economic Relations between China and the European Union. *The New Economist*, 20(1), 8-23.



24. Knemeyer, A. M., & Murphy, P. R. (2004). Evaluating the performance of third-party logistics arrangements: a relationship marketing perspective. *Journal of supply chain management*, 40(4), 35-51.
25. Kvanchilashvili, E. (2023). National Transport and Logistics Strategy of Georgia 2023–2030: Visions, Goals, Objectives, Risks. *Business Media*.
26. Lomia, T., & Lomia, E. (2020). *Economic and Political Support of the European Union to Georgia: Retrospective Analysis of the EU-Georgia Relations*. Vallis Aurea, 6(1), 35-43.
27. Lomia, E. (2020). *The Evaluation of Russia's foreign policy towards Georgia following the 'Rose Revolution'*. *Journal of Liberty and International affairs*, 6(1), 112-128.
28. Lomia, E. (2021). *China's belt and road initiative and Georgia: A short overview*. *Journal of Liberty and International Affairs*, 7(3), 373-385.
29. Lomia, E., & Karchava, L. (2021). *Georgian ethnopolitical conflict as a subject of confrontation between the USA and Russia*. *Journal of Liberty and International Affairs*, 7(2), 90-102.
30. Lordkipanidze, R. (2025). Economic Basis of Chinese Miracle. *Theoretical Economics Letters*, 15(1), 110-113.
31. Lordkipanidze, R. (2022). General Issues for Economic Development and Theory of Competition in New Electronic World. *With invitation by Lambert Academic Publishing*, 75.
32. Lordkipanidze, R. (2020). About Economic and Natural Sciences' Relationship.
33. MDPI. (2023). *The Impact of Digital Transformation on Supply Chain Capabilities.... Sustainability*, 15(13), 10107.
34. Mentzer, J. T., DeWitt, W., Keebler, J. S., Min, S., Nix, N. W., Smith, C. D., & Zacharia, Z. G. (2001). Defining supply chain management. *Journal of Business logistics*, 22(2), 1-25.
35. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2023). *National transport and logistics strategy of Georgia 2023–2030* [Author's translation]. <https://www.economy.ge>
36. OECD. (2021). *Transport and Logistics in Georgia: Towards Sustainable Connectivity*.
37. Otinashvili, R., Veshapidze, S., & Zoidze, G. (2023). Impact of Economic Crime on The Sustainable Development of The State. *Three Seas Economic Journal*, 4(1), 10-17.
38. Papava, V. (2019). *Goeconomic Challenges of Georgia's Transit Function*. *Caucasus Economic and Social Analysis Journal*, 11(1), 7–18.
39. Papava, V. (2018). Catching up and catch-up effect: economic growth in Post-Communist Europe (Lessons from the European Union and the Eastern Partnership States). *European Journal of Economic Studies*, 7(2), 109-125.
40. Papava, V. (2017). One Belt One Road Initiative and Georgia. *Georgian Foundation for Strategic and International Studies, Expert Opinion*, (93).
41. Papava, V., Maisaia, V. (2023). On Economic Security under Confrontational Globalization and the Main Concepts of Geo-Economic Warfare. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 17(3), 116-120.
42. Pavliashvili, S., & Tokmazishvili, M. (2024a). Modernizing Farmers' Education in the EU: Challenges and Approaches. *German International Journal of Modern Science/Deutsche Internationale Zeitschrift für Zeitgenössische Wissenschaft*, (82).
43. Pavliashvili, S., & Tokmazishvili, M. (2024b). Challenges of farmers' education system in Georgia. *Foundations and Trends in Modern Learning*, (5).
44. Pavliashvili, S., & Tokmazishvili, M. (2024c). Global Economic and Legal Problems of Introducing the Circular Economy and Georgia. *Norwegian Journal of development of the International Science No*, 145, 51.
45. Reuters. (2024). *How DSV grew into the world's biggest logistics firm*.
46. ScienceDirect. (2024). *The impact of digital transformation on corporate supply chain management.... Finance Research Letters*, 60, 104890.
47. Silagadze, A. (2019). Comparative analysis of some economic indicators of post-soviet countries in the South Caucasus. *Economics and Business*, 11(1), 29-38.
48. Silagadze, A. (2013). Modern Economic Aspects of Georgia. *J. Business-Injectioning*, (4).
49. TBC Capital. (2024). *Overview of Transportation Sector in Georgia 2024*.
50. TechTarget. (2025). *10 benefits of RFID in supply chain management and logistics*.
51. Tkeshelashvili, S. (2023). Georgia advances 40 points in Logistics Efficiency Index. *Business Media*.
52. UNESCAP. (2022). *Assessment of Intermodal Transport Corridors in the South Caucasus*. <https://www.unescap.org>
53. U.S. Department of Agriculture (USDA). (2020). *The Meat Supply Chain in the United States: An Overview*.



54. Veshapidze, S., Bakhtadze, L., Putkaradze, R., Kharitonashvili, J., Danelia, I., Lominashvili, M., Chantladze, N. (2024a). Modern International Economic Relations of Georgia. *Smarty* (in Georgian)

55. Veshapidze, S., Bendianishvili, N., & Zoidze, G. (2024b). Bilateral Investment Agreements of Georgia: Threats, Challenges and Opportunities. *Three Seas Economic Journal*, 5(4), 1-7.

56. Veshapidze, S., Zubiashvili, T., & Chiabrishvili, K. (2021). Globalization and new Opportunities for Georgia. *Globalization and Business*, 6(12), 32-36.

მიუხედავად ლოკალური ობიექტის შესაძლო სირთულისა გამოყენებული კონსტრუქციების, საშენი მასალების, სამშენებლო ტექნოლოგიების, მშენებლობის ორგანიზაციის და ა. შ. თვალსაზრისით მის ტერიტორიაზე არსებული რელიეფი, გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, მათი სიღრმე, ზედაპირული და ძირითადი ქანების ფენების სისქე და დახრილობა, გრუნტის წყლების სიღრმე, შემადგენლობა, ხარჯი, დონის ცვალებადობა წლის განმავლობაში, გაბატონებული ქარის მიმართულების, გარემოს ტემპერატურის, ტენიანობის ცვალებადობის ხასიათი და სხვა მრავალი ბუნებრივი ფაქტორის შესწავლა, დადგენა და მათი მხედველობაში მიღება ნაგებობების დაპროექტების, მშენებლობისა და შემდგომი ექსპლოატაციის პროცესში შეუდარებლად უფრო იოლია, ვიდრე ანალოგიური საკითხების შედარებით მარტივი ხაზოვანი ნაგებობის, მაგ. ადგილობრივი დანიშნულების საავტომობილო გზისათვის, რომელიც თუნდაც არ ჰქვეყნდეს სხვადასხვა ვერტიკალური ზონალობის და ლანდშაფტების არეალებს, იგი ლოკალური ნაგებობებისაგან განსხვავებით ექვემდებარება ბუნებრივი ფაქტორების გავლენის უფართოეს სპექტრს.

რამდენიმე ათეული მეტრის მანძილზე გზის გასწვრივ შესაძლოა არსებობდეს შიდაცვალოს გზის მიმდებარე რელიეფი. მაგ. მთის ფერდობზე ღრმად შეჭრილი მიწის ვაკისი გაგრძელებს ცვალებადი სიმაღლის ყრილით, რომელიც მიუხედავად ასაშენებლად გამოყენებული იგივე გრუნტისა მოითხოვს მიწის ვაკისის სრულიად განსხვავებულ კონსტრუქციასა და აგების ტექნოლოგიას, გამოყენებულ მანქანა-მექანიზმებს.

გზის ერთიდაიგივე პიკეტური მნიშვნელობის განივი კვეთი შეიძლება იყოს სრულიად განსხვავებული. მისი ერთი ნაწილი ღრმა ჭრილის, ხოლო მეორე მაღალი ყრილის სახით განლაგდეს ფერდობზე, რაც მოითხოვს ფერდობების მდგრადობის, ზედაპირული და გრუნტის წყლების ასაცილებელ გარკვეულ ღონისძიებებსა და შესაბამის ხელოვნურ ნაგებობებს. ეს ყველაფერი შესაძლოა სრულიად შეიცვალოს ათიოდ მეტრის შემდეგ რელიეფის ახალი ფორმით, განსხვავებულ გეოლოგიური თვისებების მქონე გრუნტით და ექსპოზიციით.

ლოკალური ობიექტის მშენებლობის პროცესი ძირითადად განიხილება როგორც დროში ცვალებადი. მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე იცვლება გამოყენებული მასალები, კონსტრუქციები, ტექნოლოგიები და მანქანა-მექანიზმები. მაგრამ ეს ყველაფერი თავმოყრილია გარკვეულ ტერიტორიაზე, არ მოითხოვს ახალ მისასვლელ გზებს, ახალ კომუნიკაციებს ელექტრო და წყალმომარაგებისთვის, საშენი მასალების, საწყობებისა და მანქანა მექანიზმების პარკის მდებარეობის გადაადგილებას გარკვეული პერიოდულობით.

ხაზოვანი ნაგებობების ექსპლოატაციის პროცესი ასევე მრავალგვარი სირთულის შემცველია. ექსპლოატაციის სამსახურებისათვის გამოყოფილი გზის მონაკვეთის სიგრძე რამდენიმე ათეულ კმ-ს შეადგენს და შედგება სხვადასხვა ტიპის და განსხვავებული კონსტრუქციების მქონე მიწის ვაკისის, საგზაო სამოსისა და ხელოვნური ნაგებობებისაგან.

ხაზოვანი ნაგებობების წლის განმავლობაში შეუფერხებელი და უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ყოველდღიური მოვლა პატრონობა, რემონტთაშორისი ნორმატიული ვადებით გათვალისწინებული მიმდინარე, საშუალო და კაპიტალური რემონტების ჩატარება. ამ სამუშაოთა ჩატარების წინასწარ განსაზღვრული რესურსებისა და ვადების კორექტირების აუცილებლობა ყოველთვის შესაძლებელია დადგეს ბუნების გაუთვალისწინებელი კაპრიზების, უეცრად მომხდარი მძიმე შედეგებით დამთავრებული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ან რაიმე სხვა მოვლენის შემდეგ.

გვირაბების გარდა სხვა დანარჩენი ხაზოვანი ნაგებობების ექსპლოატაცია წარმოებს ღია ცის ქვეშ, შესაბამისად აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას სეზონური საქმიანობის თავისებურებანი გამოხატული გამოყენებული მასალების, ტექნოლოგიების, მანქანა-მექანიზმების შესაბამის ცვლილებაში.

ზემოთ აღნიშნულისაგან გამომდინარე ხაზოვანი ნაგებობების დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლოატაცია, მეტად რთული პროცესებია, რომელთა წარმატებით შესრულება შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ. ასეთი ტიპის სპეციალისტების მომზადებისათვის აუცილებელია უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში სატრანსპორტო მშენებლობის დეპარტამენტი, სადაც ბაკალავრების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მომზადება იწარმოებს ზემოთ აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით შექმნილი პროგრამებით.

საკვანძო სიტყვები: გვირაბი; მშენებლობა; ხაზოვანი და ლოკალური ობიექტები; გვირაბის კონსტრუქცია; ტექნოლოგიები; გამონამუშევრის გაყვანა.

ძირითადი ტექსტი

ყოველი ქვეყნის ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილის სატრანსპორტო კომუნიკაციების ქსელის შექმნა მრავალი სირთულის გადალახვასთანაა დაკავშირებული. სირთულეებია ბუნებრივი ან ტექნოგენური წარმოშობისა, მათ აქვთ აგრეთვე სოციალური, ეკონომიკური, საგარეო და საშინაო პოლიტიკური და ა. შ. ხასიათი. საინჟინრო მეთოდებით გადასალახი სირთულეები უპირატესად ბუნებრივი წარმოშობისაა: რელიეფი, კლიმატი, გეოლოგია ჰიდროგეოლოგია, ფლორა და ფაუნა უპირველეს ყოვლისა ხაზოვან ინფრა-სტრუქტურულ ობიექტებს უქმნიან პრობლემებს. ამიტომ მიზანშეწონილია განვსაზღვროთ ხაზოვანი და ლოკალური ინფრასტრუქტურული ობიექტების ცნებები და განვიხილოთ მათი განსხვავებანი დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლოატაციის პროცესებში, შევაფასოთ ეს განსხვავებანი სირთულის მიხედვით.

ხაზოვანია ის ინფრასტრუქტურული ნაგებობა, რომელთა სიგრძე გაცილებით სჭარბობს სიგანეს. მისი დაპროექტება, მშენებლობა და შემდგომი ექსპლოატაცია ხდება სივრცეში, რომელიც გადაჭიმულია მრავალფეროვანი ბუნებრივი და ტექნოგენური მახასიათებლების მქონე არეალში, რამდენიმე ან მრავალი კილომეტრის მანძილზე. ასეთებია საავტომობილო გზები, რკინიგზები, სატრანსპორტო გვირაბები და სანაოსნო არხები, თხევადი, გაზოვანი და მყარი ტვირთების გამტარებელი მილსადენები, ენერგეტიკული, კავშირგაბმულობისა და სხვა დანიშნულების მინიქვეშა და მიწისზედა ობიექტები და ა. შ.

ლოკალური ობიექტი განლაგებულია შეზღუდულ არეალში, რამდენიმე ათეული კვადრატული მეტრიდან ერთ ან რამდენიმე ჰექტარზე. ის შეიძლება იყოს მცირე, საშუალო ან დიდი მოცულობის შენობანაგებობა საცხოვრებელი, კულტურული, სპორტული, სავაჭრო, ენერგეტიკული, თავდაცვითი და სხვა დანიშნულებით.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ყველა დაყოფა და კლასიფიკაცია, ეს დაყოფაც პირობითია, ლოკალურ ობიექტებში შეიძლება ჩართული იყოს ხაზოვანი და ხაზოვან ობიექტში ლოკალური. მაგ. საავტომობილო გზა დიდი მდინარის გადაკვეთას ახდენს ხიდით, ან ღრმა ხევის კვეთა ხდება მაღალი ვიადუკით. თუ ამ ობიექტების ღირებულება დიდია და ისინი რთული კონსტრუქციული ელემენტებისაგან შედგება, მათ ენიჭებათ სატიტულე ობიექტების სტატუსი და შემდგომ ფაქტიურად ლოკალური

ობიექტების სახით ხდება მათი დაპროექტება, მშენებლობა და შემდგომი ექსპლოატაცია. თუ არსებულ გზაზე ახალი, დიდი ზომისა და გაცილებით უკეთესი საექსპლოატაციო თვისებების მქონე ხელოვნური ნაგებობა შენდება, ის უკვე შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ლოკალური ობიექტი დამოუკიდებელი დაფინანსებითა და შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებით. ასეთი ობიექტია მაგალითია სამხრეთ საფრანგეთში ბოლო წლებში აშენებული ვიადუკი - ე. წ. „ვიიო“, რომლის საყრდენების სიმაღლე 300 მ-მდე აღწევს, საერთო სიგრძეა რამდენიმე კმ, ხოლო მშენებლობის ღირებულება ასეულობით მილიონი ევრო. მის ექსპლოატაციას განაგებს სპეციალურად შექმნილი სამსახური.

მიუხედავად ლოკალური ობიექტის შესაძლო სირთულისა გამოყენებული კონსტრუქციების, საშენი მასალების, სამშენებლო ტექნოლოგიების, მშენებლობის ორგანიზაციის და ა. შ. თვალსაზრისით მის ტერიტორიაზე არსებული რელიეფი, გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, მათი სიღრმე, ზედაპირული და ძირითადი ქანების ფენების სისქე და დახრილობა, გრუნტის წყლების სიღრმე, შემადგენლობა, ხარჯი, დონის ცვალებადობა წლის განმავლობაში, გაბატონებული ქარის მიმართულების, გარემოს ტემპერატურის, ტენიანობის ცვალებადობის ხასიათი და სხვა მრავალი ბუნებრივი ფაქტორის შესწავლა, დადგენა და მათი მხედველობაში მიღება ნაგებობების დაპროექტების, მშენებლობისა და შემდგომი ექსპლოატაციის პროცესში შეუდარებლად უფრო იოლია, ვიდრე ანალოგიური საკითხების შედარებით მარტივი ხაზოვანი ნაგებობის, მაგ. ადგილობრივი დანიშნულების საავტომობილო გზისათვის, რომელიც თუნდაც არ ჰკვეთდეს სხვადასხვა ვერტიკალური ზონალობის და ლანდშაფტების არეალებს, იგი ლოკალური ნაგებობებისაგან განსხვავებით ექვემდებარება ბუნებრივი ფაქტორების გავლენის უფართოეს სპექტრს.

რამდენიმე ათეული მეტრის მანძილზე გზის გასწვრივ შესაძლოა არსებითად შეიცვალოს გზის მიმდებარე რელიეფი. მაგ. მთის ფერდობზე ღრმად შეჭრილი მიწის ვაკისი გაგრძელდეს ცვალებადი სიმაღლის ყრილით, რომელიც მიუხედავად ასაშენებლად გამოყენებული იგივე გრუნტისა მოითხოვს მიწის ვაკისის სრულიად განსხვავებულ კონსტრუქციასა და აგების ტექნოლოგიას, გამოყენებულ მანქანა-მექანიზმებს. მოძრავი შემადგენლობისაგან გადაცემული დატვირთვების რაოდენობა და ხასიათი გზის მეზობელ მონაკვეთებზე შეიძლება შეი-

ცვალოს. უფრო ხშირია საგზაო სამოსის საყრდენი მიწის ვაკისის გრუნტის სახეობის და დატენიანების გავლენის ცვლილება. ეს თავისთავად მოითხოვს საგზაო სამოსის მრავალფენიანი კონსტრუქციის შესაბამის ცვლილებას ფენების სისქის, გამოყენებული მასალებისა და აგების ტექნოლოგიების ცვლილებების თვალსაზრისით. გზის ერთიდაიგივე პიკეტური მნიშვნელობის განივი კვეთი შეიძლება იყოს სრულიად განსხვავებული. მისი ერთი ნაწილი ღრმა ჭრილის, ხოლო მეორე მაღალი ყრილის სახით განლაგდეს ფერდობზე, რაც მოითხოვს ფერდობების მდგრადობის, ზედაპირული და გრუნტის წყლების ასაცილებელ გარკვეულ ღონისძიებებსა და შესაბამის ხელოვნურ ნაგებობებს. ეს ყველაფერი შესაძლოა სრულიად შეიცვალოს ათიოდე მეტრის შემდეგ რელიეფის ახალი ფორმით, განსხვავებულ გეოლოგიური თვისებების მქონე გრუნტით და ექსპოზიციით. ამიტომაც ხაზოვანი ობიექტების წინ ინფორმაციის შეგროვების პროცესი ანუ კვლევა ძიება ხანგრძლივი და რთულია, მოითხოვს მეტაბოლურ ინჟინრებთან ერთად ტოპოგრაფების, გეოლოგების, ჰიდროლოგების, ეკონომისტების, ბუნების დაცვის სპეციალისტების და ა. შ. ერთობლივ, სინქრონიზებულ მოქმედებას. გზის ღერძის თუნდაც რამდენიმე მეტრით გვერდით გადაწევა მოითხოვს ზემოხსენებულ სპეციალისტთა მიერ მიღებული საპროექტო გადაწყვეტილების ცვლილებას. ეს პროცესი შეიძლება განმეორდეს რამდენიმე ვარიანტის განხილვის შემდეგ მიღებული ოპტიმალური ვარიანტის მუშა ნახაზების შემუშავების დროსაც.

ლოკალური ობიექტის მშენებლობის პროცესი ძირითადად განიხილება როგორც დროში ცვალებადი. მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე იცვლება გამოყენებული მასალები, კონსტრუქციები, ტექნოლოგიები და მანქანა-მექანიზმები. მაგრამ ეს ყველაფერი თავმოყრილია გარკვეულ ტერიტორიაზე, არ მოითხოვს ახალ მისასვლელ გზებს, ახალ კომუნიკაციებს ელექტრო და წყალმომარაგებისთვის, საშენი მასალების, საწყობებისა და მანქანა-მექანიზმების პარკის მდებარეობის გადაადგილებას გარკვეული პერიოდულობით. მშენებლობის ორგანიზაციის გრაფიკი კალენდარულ ხასიათს ატარებს და საშენი მასალების, მუშა ხელისა და მანქანა-მექანიზმებზე მოთხოვნის დაგეგმვა და მათი რაციონალური გამოყენება შედარებით იოლია.

ხაზოვანი ობიექტის მშენებლობა გადაჭიმულია რამდენიმე ასეული მეტრიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრზე. მშენებლობა წარმოებს ნაკადური წესით. სამშენებლო ნაკადი მისი მოქმედების მთელ

სიგრძეზე მრავალფეროვან და განსხვავებულ სამუშაოებს ატარებს. ნაკადის თავში მომქმედი ბრიგადა გეოდეზისტების მიერ აღდგენილი და დაკვალული ტრასის გასწვრივ გზის განთვისების ზოლს ათავისუფლებს ტყისა და ბუჩქნარისაგან, გააქვს დიდი ლოდები, თხრის ხეების ფესვებს და მიწაში ღრმად ჩაფლულ კლდოვანი გრუნტის მასიურ ნაწილებს, ჭრის და გარკვეულ ადგილებზე ალაგებს ზედაპირული გრუნტის ნაყოფიერ ფენას. ამ სამუშაოების ჩასატარებლად თანმიმდევრობით მომქმედი რამდენიმე რგოლი მუშაობს, რომლებიც მოსამზადებელი სამუშაოთა თავისებურებების გამო შედგება შესაბამისი მანქანა-მექანიზმებით დაკომპლექტებული რგოლებისაგან. მას გარკვეული დისტანციის დაცვით მიჰყვება მიწის სამუშაოთა შემსრულებელი ბრიგადა, რომელსაც მოსდევენ მცირე და საშუალო სიდიდის ხელოვნურ ნაგებობათა მშენებელი ბრიგადის რგოლები. შემდეგ მუშაობენ საგზაო სამოსის ქვედა და ზედა ფენების მომწყობი რგოლები. ნაკადის ბოლოში მოქმედებენ ე. წ. გზის მოწყობა-გაფორმების სამუშაოთა შემსრულებელი რგოლები, რომლებიც აყვამებენ საგზაო ნიშნებს, ზღუდარებს, საორიენტაციო ბონკინტებს, დააქვთ ჰორიზონტალური და ვერტიკალური მონიშვნის ხაზები და ა. შ.

მთელი ეს პროცესი მიმდინარეობს ერთდროულად და მოითხოვს ყველა ბრიგადის სინქრონულ მუშაობას, ერთი მათგანის შეფერხება იწვევს სამშენებლო ნაკადის ნორმალური ფუნქციონირების შექცევას და შეფერხებას. გარდა ამისა ერთდროულად საჭიროა მრავალი სახის საშენი მასალის შემოტანა, მუშახელის რაოდენობის კვალიფიკაციის, მექანიზმების რაოდენობისა და სახეობაზე მოთხოვნის გათვალისწინება. გარდა ზემოხსენებული სამუშაოებისა აუცილებელია მშენებლობის წარმოებისათვის პიონერული გზების აგება, სასაწყობო მეურნეობის გამართვა, მუშახელისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა. მშენებლობის გაშლისა და ნაკადის სრული ამუშავების პროცესი, ხოლო შემდგომ ნაკადის აკეცვა, თავისებური სირთულეების მატარებელია და დაკავშირებულია სამუშაო ძალებისა და საშუალებების ახლ ობიექტზე გადაადგილებასთან.

ყოველივე ამ სახის სამუშაოების წარმართვა ხდება სამშენებლო ორგანიზაციის მიერ წინასწარ შედგენილი ხაზოვან-კალენდარული, იშვიათად კი ქსელური გრაფიკის საშუალებით, რომელიც ითვალისწინებს დამკვეთის მიერ გათვალისწინებულ ვადებს. გასათვალისწინებელია აგრეთვე ამინდისა და

სხვა კლიმატური ფაქტორების შესაძლო, განსხვავებული განვითარება დროის გარკვეულ მომენტში.

ხაზოვანი ნაგებობების ექსპლუატაციის პროცესი ასევე მრავალგვარი სირთულის შემცველია. ექსპლუატაციის სამსახურებისათვის გამოყოფილი გზის მონაკვეთის სიგრძე რამდენიმე ათეულ კმ-ს შეადგენს და შედგება სხვადასხვა ტიპის და განსხვავებული კონსტრუქციების მქონე მიწის ვაკის, საგზაო სამოსისა და ხელოვნური ნაგებობებისაგან.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხაზოვანი ობიექტებიდან განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა გვირაბები. მათ უნდა შეინარჩუნონ საექსპლუატაციო საიმედოობა ანუ უნარი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (150 წლამდე) შესრულონ სატრანსპორტო ფუნქციები, გარკვეულ პირობებში თავისი ტექნიკური მახასიათებლების დადგენილ ფარგლებში. ძირითად ფუნქციებს განეკუთვნება მოძრავი შემადგენლობის მოცემული პარამეტრების მქონე სატვირთო და სამგზავრო ტრანსპორტის უსაფრთხო და შეუფერხებელი გატარება, გვირაბების მიმდებარე გზის მონაკვეთებისათვის დადგენილი გამტარუნარიანობის შენარჩუნებით.

სატრანსპორტო გვირაბების საიმედოობის უზრუნველყოფის პრობლემა მოიცავს საკითხთა ფართო წრეს, რომლებიც პროექტზე მუშაობის პროცესში, მშენებლობისა და მომდევნო ექსპლუატაციის პერიოდში უნდა გადაიჭრას. პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მდგენელია იმ საორგანიზაციო-ტექნიკური ღონისძიებების სისტემატიზაცია და განზოგადოება, რომლებსაც გვირაბის ექსპლუატაციის პერიოდში ატარებენ, ამ ღონისძიებათა ეფექტიანობის მომდევნო შეფასებით.

ექსპლუატაციის პროცესში სხვადასხვა სახის დეფექტების წარმოქმნის გამო ქვეითდება გვირაბის ტექნიკური დონე. თავად დეფექტი — ეს არის კონსტრუქციის (ელემენტის) ცალკეული შეუსაბამობა დადგენილი მოთხოვნებისადმი. წარმოშობის მიზეზისგან დამოკიდებულებით, დეფექტებს შემდეგნაირად ყოფენ:

- კონსტრუქციული - რომლებიც კონსტრუქციისა და გაანგარიშებების ანუ პროექტირებისას დადგენილი წესებისა და ნორმების არასრულყოფილებასთან დაკავშირებული;
- საწარმოო - რომლებიც გამოიწვია მშენებლობის ან რემონტის დადგენილი პროცესის დარღვევამ;

- საექსპლუატაციო - რომლებიც გამოიწვია ექსპლუატაციის დადგენილი წესების ან პირობების დარღვევამ;

- დეგრადაციული - განპირობებული დაძველების, ცვეთისა და დაღლილობის ბუნებრივი პროცესებით, დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლუატაციის ყველა დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვის მიუხედავად. გზის საგვირაბო მონაკვეთის ნაგებობების დეფექტთა დროული აღმოჩენა და განვითარების თავიდან აცილება მათი საქსპლუატაციო საიმედოობის შენარჩუნების მთავარი ამოცანაა.

გვირაბის მშენებლობა მოითხოვს გაცილებით უფრო რთული ოპერაციების შესრულებას, ვიდრე ნაგებობების მშენებლობა მიწის ზედაპირზე. გვირაბების გაყვანა წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოების ერთერთ რთულ სახეობას. მისი ყველა მუშა ოპერაცია წარმოებს სანგრევის შეზღუდულ პირობებში, როგორც წესი მუდმივმოქმედი, ირგვლივ მდებარე ქანის მასივის სამთო წნევის და ხშირ შემთხვევაში ჰიდროსტატიკური წნევისას. გვირაბის გაყვანა ხორციელდება ერთნაირი სიგრძის მონაკვეთებით — შეჭრით. შეჭრის სიღრმე დამოკიდებულია გვირაბის ირგვლივ მდებარე ქანების საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე, მის განივკვეთზე, გაყვანის ხერხზე, მუდმივი სამაგრის მასალაზე. გვირაბის სამთო ხერხით გაყვანისას შეჭრის სიღრმე ჩვეულებრივ შეადგენს 2-4 მ-ს, ხოლო ფართი გაყვანისას შეჭრის სიღრმედ მიღებულია ანაკრები სამაგრის რგოლის სიგანე -0,5-1.0 მ. ამასთანავე დასამუშავებელი ქანის რაოდენობა მრავალჯერ აღემატება სხვა ნაგებობების მშენებლობის დროს საჭირო მიწის სამუშაოების მოცულობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო გვირაბის მშენებლობის პროექტის შედგენის დროს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სამუშაოთა კარგ ორგანიზაციას, შრომის დაცვის პირობებს და მშენებლობის ვადის შემცირებას.

გვირაბის მშენებლობის პროექტი უნდა შემუშავდეს საფუძვლიანი ტექნიკურ-ეკონომიკური შედარების შედეგად. არჩეული ვარიანტი საუკეთესო უნდა იყოს როგორც გვირაბის გეგმის, გრძივი პროფილის და განივი კვეთის მოხაზულობით, ისე მუდმივი სამაგრის მასალის, მისი კონსტრუქციის, მუშაობის ორგანიზაციის ხერხების, გვირაბის მშენებლობის მთელი ღირებულებისა და აშენების ვადის მიხედვით, ხოლო შედგენილი სამუშაო ნახაზები სახსრებისა და დროის მცირე ხარჯის პირობებში უნდა უზრუნველყოფდეს სამუშაოთა

მოხერხებულ თანამიმდევრობას მათი შესრულების სიადვილესა და კონსტრუქციის მაღალ ხარისხს.

დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს გვირაბში სამუშაო პროცესების მაქსიმალურ მექანიზაციასა და გვირაბის გაყვანის პროგრესული ხერხების შერჩევას, რამაც უნდა შეამციროს მუშახელის რაოდენობა და გაზარდოს მათი უსაფრთხოება.

გვირაბის მშენებლობის დაწყებამდე აგებული უნდა იქნეს მისასვლელი გზები, შეიქმნას ელექტროენერგიისა და შეკუმშული ჰაერის მიმწოდებელი პუნქტები, სამშენებლო მასალებისა და ხელსაწყო-იარაღების საწყობით აღჭურვილი სამშენებლო მოედანი. აგრეთვე აგებული უნდა იქნეს მშენებელთა საცხოვრებელი სახლები და მომზადდეს დამუშავებული ქანის დასაყრელი ადგილი. ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტები უნდა განლაგდეს მშენებლობისათვის ყველაზე ხელსაყრელ ადგილზე და ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული უნდა იყოს მოხერხებულად.

გვირაბის გაყვანისას გეოლოგიური პირობები შესაძლებელია ხშირად შეიცვალოს, რაც იწვევს სამაგრის კონსტრუქციის და გამოყენებული მასალების და ტექნოლოგიების შესაბამის ცვლილებას.

გვირაბის აგების პროცესი შედგება ორი ძირითადი ოპერაციისაგან: გამონამუშევრის გაყვანა, ე.ი. გვირაბისთვის განკუთვნილი სივრციდან გრუნტის მოცილება და გვირაბის კონსტრუქციის – მუდმივი სამაგრის აგება. იგი მოიცავს სამ პერიოდს:

1. მოსამზადებელი პერიოდი, - როცა სრულდება წინასწარი სამუშაოები მშენებლობის განსახორციელებლად მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, საპროექტო უზრუნველყოფა, სამშენებლო მოედნისა და სატრანსპორტო გზების მომზადება, პორტალწინა მეურნეობის შექმნა, კარიერების გახსნა ადგილობრივი სამშენებლო მასალის მოსაპოვებლად, ელექტროენერგიის, წყლის და შეკუმშული ჰაერის მიწოდება, პორტალწინა ჭრილების მოწყობა, საგვირაბო სამუშაოთა ფრონტის გახსნა.

2. ძირითადი პერიოდი - გვირაბგამყვანი მოწყობილობების მონტაჟი და გამყვანი სამუშაოების დაწყება გვირაბის მშენებლობის დასრულებამდე.

3. დასკვნითი პერიოდი (შედარებით მოკლე დრო) – გვირაბის მომზადება საექსპლოატაციოდ სამთო-საგამყვანო ტექნიკის ევაკუაცია, სამშენებლო მოედნების ლიკვიდაცია.

ხაზოვანი ნაგებობების წლის განმავლობაში შეუფერხებელი და უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ყოველდღი-

ური მოვლა პატრონობა, რემონტთაშორისი ნორმატიული ვადებით გათვალისწინებული მიმდინარე, საშუალო და კაპიტალური რემონტების ჩატარება. ამ სამუშაოთა ჩატარების წინასწარ განსაზღვრული რესურსებისა და ვადების კორექტირების აუცილებლობა ყოველთვის შესაძლებელია დადგეს ბუნების გაუთვალისწინებელი კაპრიზების, უეცრად მომხდარი მძიმე შედეგებით დამთავრებული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ან რაიმე სხვა მოვლენის შემდეგ.

გვირაბების გარდა სხვა დანარჩენი ხაზოვანი ნაგებობების ექსპლოატაცია წარმოებს ღია ცის ქვეშ, შესაბამისად აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას სეზონური საქმიანობის თავისებურებანი გამოხატული გამოყენებული მასალების, ტექნოლოგიების, მანქანა-მექანიზმების შესაბამის ცვლილებაში. ექსპლოატაციის პროცესში განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის ვერტიკალური ზონალობა, რომლის შედეგად იმავდროულად გზის საექსპლოატაციო უბნის ერთ მონაკვეთზე გვექონდეს ზაფხული, შემეგ მონაკვეთზე შემოდგომა, ხოლო შემდეგზე ზამთარი იწყებოდეს. ასეთი პრობლემები პრინციპულად შეუძლებელია ნებოსმიერი სირთულის ლოკალური ნაგებობისათვის.

ასევე მრავალფეროვანი და რთულია კვლევითი სამუშაოების ჩატარება ხაზოვანი ობიექტების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლოატაციის პრობლემათა ოპტიმალური გადაჭრისათვის აუცილებელი ნორმატიულ-ტექნიკური მასალების შესაქმნელად. უპირველეს ყოვლისა უნდა არსებობდეს სამეცნიერო-კვლევითი რეგიონალური ცენტრები, რომლებიც იმუშავებენ რეგიონალური სპეციფიური პირობების გათვალისწინებით. მაგ. სამხრეთ კავკასიის, შუა აზიის, ბალტიისპირეთის ქვეყნებისათვის. ასეთი ცენტრები უნდს იყოს ცალკეული მიმართულებებისათვის: საავტომობილო გზები და აეროდრომები, რკინიგზები, მინისქვეშა სატრანსპორტო ნაგებობები, საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და ა. შ.

საკვლევი ცენტრები უნდა იყოს დარგობრივი დანესებულებები, რომელთა საქმიანობის წარმართველები იქნებიან აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი რგოლები: ტრანსპორტის სამინისტრო, საავტომობილო გზების და რკინიგზების დეპარტამენტები, საავიაციო, წყლის და ა. შ.

საქმიანობის წარმართვაში იგულისხმება პრაქტიკის მიერ დაყენებული პრობლემების გადასაჭრელი სამუშაოების დაგეგმვა, შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფით, რაც შემდგომში უნდა აისახოს

დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლოატაციის მონინავე მეთოდების შემუშავების შედეგების და-
ნერგვისაგან მიღებული ეკონომიის მრავალჯერადი
გადაჭარბებით დახარჯულ ფინანსურ რესურსებზე.

სატრანსპორტო მშენებლობის მიმართულებით
მომუშავე საკვლევ ერთეულებს მოუწევთ მრავალ-
გვარი სირთულის გადალახვა. მაგ. ორგანული და
მინერალური შემკრელებით მიღებული ცემენტისა
და ასფალტბეტონების ფენილების რეცეპტურის
მომზადება, რომლებიც თანაბარი ეფექტურობით
იმუშავენ ზაფხულის ცხელ პერიოდში და ზამთ-
რის ყინვებში, მიწის ვაკისისა და საგზაო სამოსების
კონსტრუირებისა და ანგარიშის მეთოდების შე-
მუშავება ადგილობრივი კლიმატური პირობების,
გეოლოგიისა და ადგილობრივი საშენი მასალების:
ფხვიერი და შეკავშირებული გრუნტებისაგან.
სხვადასხვა საგზაო პირობებში ავტომობილთა
სხვადასხვა სიმკვრივის ნაკადების მოძრაობის კა-
ნონზომიერებათა კვლევა გზის გეგმის, გრძივი და
განივი პროფილების ერთობლივი ნორმატივების
შესამუშავებლად, რომელთაც უნდა უზრუნველყონ
მოძრაობის უსაფრთხოების, ეკონომიურობის და
ა. შ. აბსოლუტურად ურთიერთსაინააღმდეგო
მოთხოვნათა ოპტიმალური სინთეზი. ზედაპირული
და მიწისქვეშა წყლების ასაცილებელი, ნაპირსამა-
გრი, წყლის ნაკადების მარეგულირებელი, თოვლის
ზვავების, მენყერებისა და ქვაცვენისაგან დამცავი
ნაგებობების მუშაობის პირობებზე დაკვირვებები
შემოდგომის და გაზაფხულის წყალუხვობის,
ზამთრის თოვლცვენისა და ზვავსაშიშროების
პირობებში მათი კონსტრუირებისა და ანგარიშის,

მშენებლობისა და ექსპლოატაციის ნორმატივების
შესამუშავებლად.

ყოველივე ზემოხსენებული სამუშაო უნდა იმა-
ვდროულად ითვალისწინებდეს მოძრავი შემადგენ-
ლობის გაბარიტებისა და მათგან გადაცემული დი-
ნამიკური თუ სტატიკური დატვირთვების ცვლილე-
ბას, გადაადგილების სიჩქარეთა განუხრელ ზრდას,
მოძრაობის უსაფრთხოებისა და ეკოლოგიურობის
მოთხოვნათა მუდმივ გამკაცრებას.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნულისაგან გამომდინარე ხაზო-
ვანი ნაგებობების დაპროექტება, მშენებლობა და
ექსპლოატაცია, მეტად რთული პროცესებია, რო-
მელთა წარმატებით შესრულება შესაძლებელია
მხოლოდ ადგილობრივი მაღალკვალიფიციური
სპეციალისტების მიერ. ასეთი ტიპის სპეციალისტე-
ბის მომზადებისათვის აუცილებელია უმაღლეს
ტექნიკურ სასწავლებელში სატრანსპორტო მშე-
ნებლობის დეპარტამენტი, სადაც ბაკალავრების,
მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მომზადება
ინარმოებს ზემოთ აღნიშნული თავისებურებების
გათვა-ლისწინებით შექმნილი პროგრამებით.

პროგრამები უნდა შეიქმნას შემდეგი მიმა-
რთულებისთვის: საავტომობილო გზები და აე-
როდრომები; წყალგადამშვები; ნაპირსამაგრი და
სარეგულაციო ნაგებობები: ხიდები, ესტაკადები,
ვიადუკები; აივნები; სატრანსპორტო გვირაბები,
ზვავსაინააღმდეგო და მენყერსაინააღმდეგო
ხელოვნური ნაგებობები, საყრდენი კედლები, გა-
ლერეები და ა. შ.



ბიორბი შიხაშვილი - 75

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი, ეკონომიკის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომისტი-თეოლოგი, ეკონომისტი-ეკოლოგი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბატონი გიორგი შიხაშვილი, იუბილარია. მას დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა.

ბატონი გიორგი დაიბადა 1950 წლის 8 თებერვალს ქ. თბილისში. 1981 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ხოლო 1984 წელს მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ასპირანტურა. 1985 წელს იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ხოლო 1996 წელს მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება.

1990-2018 წლებში იგი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. იქვე, სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „დეას“ დირექტორი 2000-2020 წლამდე, ხოლო 2018 წლიდან დღემდე არის ამავე ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი.

ბატონი გიორგი არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული გადამზადებისა და პროფესიული ორიენტაციის ტრენინგების ექსპერტი. აშშ-ის შესწავლის საქართველოს ასოციაციის წევრი. აშშ-ის ეკონომიკური განათლების ეროვნული საბჭოს (NCEE USA) ტრენერთა ტრენერი. მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-ეკონომიკური სამეცნიერო საკრებულოს წამდგელი წევრი.

ბატონი გიორგი, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობს და ის გახლავთ თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძრის მრევლი და თბილისის წმ. გიორგის სახელობის ქვაშვეთის ტაძრის სტიქაროსანი 2004 წლიდან.

იგი სხვადასხვა დროს იყო: გამომცემლობა „რწმენა და საქმეს“ დირექტორი (2007-2011 წწ.), საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევების საერთაშორისო ცენტრის ეკონომიკის სექტორის ხელმძღვანელი (2002-2010 წწ.), საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებული



დებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი (2007-2010 წწ.), თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის ლექტორი (1997-2008 წწ.). კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი 2011-2012 წლებში. ასევე, იყო საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის - GIPA-ს ლექტორი. სხვადასხვა დროს ბატონი გიორგი მუშაობდა კერძო ბიზნესსტრუქტურებშიც. 1997 წლიდან დღემდე არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის „ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის“ სექციის ხელმძღვანელი.

სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისა და ინტერესების სფეროები:

საქართველოს პატრიარქილია II-ის საღვთისმეტყველო-სამოძღვრო შემოქმედება. სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმი; თეოლოგიურ-სინერგიული ეკონომიკა და მართვა; თეოლოგიურ-სინერგიული ეკოლოგია; ბიზნესის და მენეჯმენტის ბიბლიური საფუძვლები; ბიზნესის და მენეჯმენტის ეთიკა; საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობის ეკონომიკა და მართვა; ბიზნესის და მენეჯმენტის ეთიკა; ზოგადი მენეჯმენტი; პროექტების მართვა; ადამიანური რესურსების მენეჯმენტი; ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა; ეკონომიკა, ბიზნესი და მართვა ისრაელში; მდგრადი განვითარება; ეკოლოგიური მენეჯმენტი; ბიზნესის და მენეჯმენტის



სწავლების მეთოდები; ტრენინგების ჩატარების უახლესი ტექნოლოგიები.

1979 წლიდან დღემდე გამოქვეყნებული აქვს 180-ზე მეტი ნაშრომი. აქედან: 12 მონოგრაფია, 6 სახელმძღვანელო (მათ შორის, სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმის, თეოლოგიური ეკონომიკის, საკუთარი თავის შეცნობისა და სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის სფეროში 70-ზე მეტი ნაშრომი). არის 100-ზე მეტი კონფერენციის მონაწილე (მომხსენებელი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, თანა-თავმჯდომარე, წევრი, სექციის ხელმძღვანელი).

ბატონი გიორგი შიხაშვილი ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრია 2008 წლიდან, მას

მრავალი საინტერესო სტატია აქვს გამოქვეყნებული ჩვენს ჟურნალში და ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობს. ჟურნალის სარედაქციო საბჭოს სახელით ვულოცავთ ბატონ გიორგის საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და კვლავაც მრავალ წარმატებას სამეცნიერო-პედაგოგიურ, საზოგადოებრივ და პირად საქმიანობაში.

ჟურნალის სარედაქციო საბჭოს სახელით,
ჟურნალ „The New Economist“
(ახალი ეკონომისტის)
მთავარი რედაქტორი
ლოიდ ქარჩავა



ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე - 65

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, სადოქტორო სკოლის დირექტორი, ქალბატონი ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე, იუბილარია. მას დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა.

იგი წლების განმავლობაში პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტში. 2021-2025 წწ. იყო საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი „ჯიუს“ ვიცე-რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით. პარალელურად ქალბატონი ლალი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებთან და კომპანიებთან, როგორც კონსულტანტი და წამყვანი სპეციალისტი.

მისი კვლევის სფეროს წარმოადგენს გლობალიზაცია და ინოვაციური ეკონომიკა, სტრატეგიული მართვის თანამედროვე მიდგომები, ცვლილებების მართვა და კორპორაციათა ანტიკრიზისული მართვა. ამ მიმართულებით მას გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, როგორც ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო-სამეცნიერო რეიტინგულ ჟურნალებში. მათ შორის, 8 იმფაქტ ფაქტორის ჟურნალებში. იგი 2 მონოგრაფიის, 7 სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოსა და რიდერის ავტორია. შემუშავებული აქვს 9 საგანმანათლებლო პროგრამა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და მეთოდური მითითებები.

სხვადასხვა პერიოდში ქალბატონი ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე მონაწილეობდა USID-ის, HESP-ის, Mashav-ის ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის, ERAZMUS+, PRINTEl, TEMPUS, ციურიხის ტექნიკური უნივერსიტეტისა და სხვა საერთაშორისო სემინარებსა და ტრენინგებში ლიდერ ქალთა, მენარმეობის, პროექტების მენეჯმენტის, ხარისხის მენეჯმენტის, სტრატეგიული მენეჯმენტის, ეკონომიკის კვლევის მეთოდებსა და სწავლების თანამედროვე მეთოდების საკითხებზე.

იგი აქტიურად მოღვაწეობს ეროვნულ სამეცნიერო და საერთაშორისო საგრანტო და აკადემიური პერსონალის მოხილვების პროექტებში. სხვადასხვა



პერიოდში მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით განხორციელდა USAID-TECI-ის, ევროკავშირის, და Vishegrad-ის საგრანტო პროექტები. UNESCO-ს პროექტი BSB 831 Establishment Long-Lasting Partnership. იგი, ასევე, ჩართული იყო USAID-ის სამოქალაქო განათლების პროექტში. არის არაერთი დოქტორანტის ხელმძღვანელი და ოპონენტი, სადისერტაციო საბჭოების წევრი.

ქალბატონი ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე არის სამეცნიერო კონსალტინგური ცენტრის „მომავლის მენეჯერი“ - დამფუძნებელი და თავმჯდომარე, საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო საზოგადოების წევრი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი. 2020 -2022 წლებში იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების წევრი, ექსპერტი.

იგი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში. იყო საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალის „საქართველოს ეკონომიკა“ პასუხისმგებელი მდივანი. არის საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუს-ს სამეცნიერო შრომათა კრებულის რედაქციის წევრი; საქართველოს



ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „მოამბე“ რედკოლეგიის წევრი; აშშ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი, იმ-ფაქტ ფაქტორის ჟურნალების: „Economics World“ (აშშ), „China-USA Business Review“ (აშშ) და „Chines Business Review“ (აშშ) რედკოლეგიის წევრი.

ის დაჯილდოვებულია პრეზიდენტის მადლობის სიგელით სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში და რეფორმების გატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ქალბატონი ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე ჩვენი

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრია 2009 წლიდან, მას მრავალი საინტერესო სტატია აქვს გამოქვეყნებული ჩვენს ჟურნალში და ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობს რედაქციასთან. ჟურნალის სარედაქციო საბჭოს სახელით ვულოცავთ ქალბატონ ლალის საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და კვლავაც მრავალ წარმატებას სამეცნიერო-პედაგოგიურ, საზოგადოებრივ და პირად საქმიანობაში.

ჟურნალის სარედაქციო საბჭოს სახელით,
ჟურნალ „The New Economist“
(ახალი ეკონომისტის)
მთავარი რედაქტორი
ლოიდ ქარჩავა



კახაბერ კორძაია - 60

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბატონი კახაბერ კორძაია იუბილარია. მას დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

ბატონი კახაბერ (კახა) კორძაია დაიბადა 1965 წლის 8 მარტს, ქ. თბილისში. 1982 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი. იმავე წელს ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1987 წელს დაამთავრა. 1998 წლის იანვარში, იაპონიაში, კიოტოს უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 2004 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით ფინანსები და საბანკო საქმე.

მრავალმხრივია ბატონი კახას სამუშაო გამოცდილება. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა სამეცნიერო და ბიზნეს სტრუქტურებში: 1987-1993 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია, 1993-1998 წლებში კიოტოს უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის მეცნიერ-მკვლევარი, იაპონიის განათლების სამინისტროს სტიპენდიატი.

1999-2002 წლებში ფარმაცევტული სანარმო სს. "GPG"-ს ფინანსური დირექტორია; ამავე პერიოდში, პარალელურად ქართულ-იაპონური კომპანია "საქართველოს ინვესტიციების მართვისა და კონსალტინგის კორპორაციის" გენერალური მენეჯერია. 2002-2005 წლებში ბალნეოლოგიური კურორტი შ.პ.ს. "ნუნისის" გენერალური დირექტორი; 2004-2005 წლებში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პროექტის - "ლიბერალური განათლების ინსტიტუტის დაარსება თბილისში" - მენეჯერი; 2005-2006 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს ჯერ ადმინისტრირებისა და ეკონომიკურ



საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელად, ხოლო შემდეგ - თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელად (კანცლერი). 2005 წლიდან დღემდე არის არასამთავრობო ორგანიზაციის - "დისტანციური განათლების საქართველოს ეროვნული ასოციაცია" - გამგეობის თავმჯდომარე, ხოლო 2007-2009, 2011 წლიდან დღემდე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი.

გამოქვეყნებული აქვს 11 სამეცნიერო ნაშრომი. ფლობს 3 უცხო ენას: ინგლისური, რუსული, იაპონური.

ბატონი კახაბერ კორძაია ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრია 2012 წლიდან და აქტიურად თანამშრომლობს რედაქციასთან. ჟურნალის სარედაქციო საბჭოს სახელით ვულოცავთ ბატონ კახას საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და კვლავაც მრავალწარმატებას სამეცნიერო-პედაგოგიურ, საზოგადოებრივ და პირად საქმიანობაში.

ჟურნალის სარედაქციო საბჭოს სახელით,
ჟურნალ „The New Economist“
(ახალი ეკონომისტის)
მთავარი რედაქტორი
ლოიდ ქარჩავა



ნინო აბესაძე - 60

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი, ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ქალბატონი ნინო აბესაძე, იუბილარია. მას დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

ქალბატონი ნინო აბესაძე დაიბადა 1965 წლის 24 თებერვალს ქ. თბილისში. 1982 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის 67-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე სტატისტიკის სპეციალობით, რომელიც 1987 წელს დაამთავრა წარჩინების დიპლომით. 1987 წელს ჩაირიცხა თსუ ასპირანტურაში იმავე სპეციალობით. 1993 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქალთა დასაქმების სტატისტიკური შესწავლა და რაციონალიზაცია (არასაწარმოო სფეროს მაგალითზე)“.

იგი სხვადასხვა დროს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იკავებდა შემდეგ პოზიციებს: იყო სტატისტიკის კათედრის ლაბორანტი, მასწავლებელი, დოცენტი. 2006 წლიდან ეკონომიკური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი, ხოლო 2012 წლიდან დღემდე ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორია. მას აქვს 33 წლის პედაგოგიურ სფეროში მუშაობის სტაჟი.

ქალბატონი ნინოს მიღწეული სამეცნიერო შედეგებისთვის დანიშნული ჰქონდა ახალგაზრდა მეცნიერთა საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდია. მას სამჯერ აქვს მოპოვებული გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) სტიპენდია (2011, 2014 და 2017 წლები).

2010 წლიდან იგი არის გაეროს ექსპერტთა ჯგუფის წევრი ფასების სტატისტიკაში. 2019 წლის 1 თებერვლიდან დღემდე არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა კოლეგიის წევრი. 2014 წლიდან 2023 წლამდე იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი. 2017 წლიდან დღემდე არის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მრჩეველთა საბჭოს წევრი და ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის წევრი.



2014 წლიდან დღემდე არის საერთაშორისო რეცენზირებადი ჟურნალების: ეკონომიკა, **International Journal of Public Administration and Management**, **International Journal of Economics and Management Engineering**, **Scientefic Journal Finanse and accountind (Armenia)** Journal of Bysiness and Management Compass (Varna Univesity of Economics) სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ქალბატონი ნინო არის **175** სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და თანაავტორი. მათ შორისაა: 5 მონოგრაფია, 9 სახელმძღვანელო, 21 დამხმარე სახელმძღვანელო, 5 სალექციო კურსი, 48 საზღვარგარეთ გამოქვეყნებული სტატია.

ქალბატონი ნინო აბესაძე ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრია 2015 წლიდან. მას მრავალი საინტერესო სტატია აქვს გამოქვეყნებული ჩვენს ჟურნალში და ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობს რედაქციასთან. ჟურნალის სარედაქციო საბჭოს სახელით ვულოცავთ ქალბატონ ნინოს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და კვლავაც მრავალ წარმატებას სამეცნიერო-პედაგოგიურ, საზოგადოებრივ და პირად საქმიანობაში.

ჟურნალის სარედაქციო საბჭოს სახელით,
ჟურნალ „The New Economist“
(ახალი ეკონომისტის)
მთავარი რედაქტორი
ლოიდ ქარჩავა



საქართველოს ინტეგრალური რესურსები

გამოვიდა ახალი წიგნი „საქართველოს ინტეგრალური რესურსები“, რომლის ავტორები არიან, პროფესორები: გივი თალაკვაძე და იოსებ არჩვაძე. წიგნი 532 გვერდისაგან შედგება.

წიგნის მნიშვნელობიდან გამომდინარე გთავაზობთ ავტორების წინასიტყვაობას სრულად, შემოკლების გარეშე.

ავტორებისგან

კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე, ნებისმიერი პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმაციის პირობებში სახელმწიფოს უმთავრეს ამოცანას ქვეყნისა და მისი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და წინსვლითი განვითარების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ამ ამოცანის გადასაჭრელად მიმართულია ქვეყნის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობის, მის განკარგულებაში არსებული ყველა სახის ეკონომიკური, მწარმოებლური, ადამიანისეული, ბუნებრივი ანუ ინტეგრალური რესურსები. რაც უფრო ეფექტიანად და მიზანმიმართულად ხდება ინტეგრალური რესურსების დადგენის, აღრიცხვის, თავმოყრის, შეფასებისა და გაანალიზების შედეგად მათი მართვისა და გამოყენების ოპტიმალური რეჟიმების შემუშავება, მით უფრო მეტ წარმატებას აღწევს ქვეყანა და მით უფრო საიმედო საფუძველს აყალიბებს მისი მოსახლეობის მდგრადი და სტაბილურად წინსვლითი ხასიათის ცხოვრების უზრუნველსაყოფად.


თითქმის 3500-წლიანი მრავალწინაგოვანი და უმდიდრესი ისტორიის მქონე საქართველო, XXI საუკუნის მესამე ათწლეულში ასევე დაძაბულ და არა მარტივ მდგომარეობაშია. თუმცა, განვითარების სწორი ვექტორის შერჩევისა და რეალიზების შემთხვევაში, წარმატებული მომავლის მიღწევა მისთვის დაუძლეველ ამოცანას არ უნდა წარმოადგენდეს.

XX და XXI საუკუნეებში, მრავალ მიზეზთა გამო, საქართველო პერმანენტულად რთულ მდგომარეობაში ვითარდებოდა. ერთგვარ გამოწვევას შეადგენდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლები, როდესაც მიუხედავად უზარმაზარი დანაკარგისა - საქართველოდან ომში მონაწილე 700 ათასი ადამიანიდან დაიღუპა 300 ათასზე მეტი - მისმა ეკონომიკურმა და სოციალურმა განვითარებამ, იმ დროისთვის არსებული შესაძლებლობების ჩარჩოებში, მწვერვალს მიაღწია.

აღნიშნულ პერიოდში სოციალური დაცვის, სამედიცინო მომსახურების სისტემებმა და განსაკუთრებით კულტურის, მეცნიერების, განათლების, ინდუსტრიული და აგრარული დარგების მიღწევებმა, საქართველოს მაღალი საერთაშორისო აღიარება, ხოლო მის მოსახლეობას საცხოვრებელი პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მოუტანა.

თუმცა, მიღწეულის ფასიც საკმაოდ მაღალი იყო - პოლიტიკური დამოუკიდებლობის და ეროვნული ცნობიერების შემზღუდავი მრავალი ფაქტორის არსებობა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში სოციალისტური სისტემის ნგრევამ, საქართველოში, ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპის, ყოფილი საბჭოთა კავშირის და სოციალისტურ სისტემასთან დაკავშირებულ ქვეყნებში, სრულიად ახალი რეალობის, საბაზრო ეკონომიკის უჩვეულო და უმკაცრეს პირობებში ცხოვრებისა და საქმიანობის ფორმირება გამოიწვია.



სადღეისოდ საერთაშორისო თანამეგობრობის სივრცეში ურთიერთობათა ახალი ეტაპი ყალიბდება. კაცობრიობა განვითარების უაღრესად რთულ, წინააღმდეგობრივ ეტაპზეა გადასული. სულ რაღაც რამდენიმე წლის მანძილზე ერთი-მეორეს მიყოლებით გლობალურ მდგრადობასა და განვითარებას სერიოზული გამოცდა მოუწყო კოვიდპანდემიამ, ომმა უკრაინაში, დაძაბულობისა და დაპირისპირების ესკალაციამ ახლო აღმოსავლეთში, ე.წ. „სატარიფო-საბაჟო ომებმა“...

ამავე პერიოდში განსაკუთრებული სიმწვავეთა განვითარდა ბუნებრივი რესურსების საყოველთაო დეფიციტი და განსაკუთრებით, მათი განაწილების არასრულყოფილი სისტემა, სურსათისა და სასმელი წყლის მწვავე უკმარისობა, კლიმატის გლობალური ცვლილებები, უკონტროლო მიგრაციული პროცესები, მწვავე ეკონომიკური კრიზისები. მნიშვნელოვნად დაქვეითდა საერთაშორისო სტრუქტურების საქმიანობის ეფექტიანობა.

ყოველივე ამან არსებითი ცვლილებები შეიტანა ადამიანთა ყოფაში, მსოფლხედვასა და პრაქტიკულ საქმიანობაში, გამოიწვია თვისებრივად ახალი მოტივაციებისა და მოქმედებათა ალგორითმების

ფორმირება.

შემაშფოთებელი ხასიათი და მასშტაბი შეიძინა საერთაშორისო და ლოკალურმა ტერორიზმმა, ბუნებრივმა და ტექნოგენურმა კატასტროფებმა, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მოტივით სუვერენულ სახელმწიფოთა მიმართ პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სახის ზეწოლის ყოველმხრივ მიუღებელი მეთოდების გამოყენებამ. ფაქტობრივად, ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ახალ პრინციპებსა და ფასეულობებზე დამყარებული ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების პროცესი.

უკანასკნელ ხანს, მხედველობაშია პერიოდი 1990 წლიდან, მსოფლიოს პოლიტიკური, ეკონომიკური და ინტელექტუალური ელიტის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა გლობალური მსოფლიოს ფენომენი და მისი ძირითადი კომპონენტი - განვითარების ინტეგრალური პოტენციალი ანუ **ინტეგრალური რესურსები**, შესაბამისად - მათი ანალიზის, მართვის, რაციონალური გამოყენებისა და შენარჩუნების საკითხები.

პოლიტოლოგები, ეკონომისტები, ისტორიკოსები, კულტუროლოგები ცდილობენ გაიაზრონ და გაანალიზონ გლობალიზაციის პროცესის არსიდან გამომდინარე შედეგები. თუმცა, რჩება შთაბეჭდილება, რომ მათი ყურადღების მიღმა რჩება მთავარი საკითხი - გლობალური მსოფლიოს ძირითადი მახასიათებლები, სტრუქტურა, ისტორიული დინამიკა, ანუ გლობალიზაციის პროცესის გრძელვადიანი ეკონომიკური, პოლიტიკური და დემოგრაფიული შედეგები.

მეორე მხრივ, სულ უფრო მწვავე, აშკარა დაპირისპირების ხასიათს იძენს ძლიერი და სუსტი სახელმწიფოების, ხალხების, სხვადასხვა ფასეულობათა სისტემებზე დამყარებული ცივილიზაციების ურთიერთობები.

არ არის შემთხვევითი, რომ გლობალიზაციისა, ანუ ერთიანი სივრცის, რომელსაც არ გააჩნია ტრადიციული ბარიერები და საზღვრები, ყველაზე თანამიმდევრულად ებრძვათ გამოდიან სწორედ მაღალგანვითარებული ქვეყნები, რომლებიც ხშირად დანარჩენი ქვეყნების სუვერენიტეტების, დამოუკიდებლობის ხარისხის შესუსტებაში ხედავენ საკუთარი ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და სოციალ-კულტურული ექსპანსიის განხორციელების ძირითად პირობას.

თანამედროვე მსოფლიოში უკვე გაჩნდა და აქტიურად ამუშავდა ინფორმაციული, საფინანსო, ეკონომიკური, ეკოლოგიური, პოლიტიკური და სამხედრო ტექნოლოგიები, რომელთაც უნარი აქვთ სერიოზული ზიანი მიაყენონ ცალკეულ სახელმწიფოებს, ეროვნულ სუვერენიტეტებს იმ საკითხებში, რომლებიც ეხება ადამიანთა ცხოვრების საფუძვლებს, მათი უფლებების დაცვას, მათი არსებობის უზრუნველყოფელ საშუალებებს და საბოლოო ჯამში - მათ უსაფრთხოებას.

მიმდინარე ეტაპზე, გაჩნდა უამრავი მოსაზრება, კვლევა, პროგნოზი იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვლება მსოფლიო, როგორ გადაფორმირდება გლობალური ეკონომიკა, რა ტრანსფორმაციას განიცდის ადამიანის ყოფისა და აქტივობების პრიორიტეტები.

ძირითადი ლაიტმოტივი ამ ზეგავსებურად მზარდი ინფორმაციის - ფრთხილი ოპტიმიზმია.

თუმცა, ამავე დროს, გამაფრთხილებელი აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ადამიანებს მკვეთრად შეეზღუდება მშვიდობიანი ცხოვრებისა და მუშაობის, ყოფის, სხვადასხვა სახის მომსახურების შესაძლებლობა.

რა არის ამ გაფრთხილების ჭეშმარიტი მოტივები? მხოლოდ ზრუნვა იმაზე, რომ მსოფლიო მოსახლეობის ადაპტაცია პოსტკრიზისული ცხოვრებისადმი უფრო მშვიდობიანი და ნაკლებად მტკიცე იყოს, თანმხლები კრიზისული და პოსტკრიზისული პერიოდების მატერიალური და სულიერი დისკომფორტის მინიმიზაცია თუ არსებობს ასეთი პროგნოზების სხვა, ნაკლებად „გამოსაჩენი“ მოტივები?

პასუხების გაცემა ამ შეკითხვებზე მთლიანად დამოკიდებულია უახლოეს წლებში გლობალური პროცესების მიმდინარეობაზე, ამ პროცესების მართვაში თანამედროვე პროგრესული ძალების უნარსა და ნებაზე - უამრავი არსებული და მოსალოდნელი სირთულეების მიუხედავად, უზრუნველყონ გლობალური განვითარების პროცესების პოზიტიური დინამიკა.

წინამდებარე ნაშრომის მომზადებისას გამოყენებულია ავტორების მიერ 2010-2025 წლებში გამოქვეყნებული შრომების (მონოგრაფიები, სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატიები, სამეცნიერო კონფერენციებზე წარმოდგენილი ნაშრომები, პრეზენტაციები) მასალები, ასევე, მათი აზრით, ქართველი და უცხოელი ავტორების, საერთაშორისო და ადგილობრივი ოფიციალური და ანალიტიკური სტრუქტურების საყურადღებო და აქტუალური მასალები, რომელთა გაცნობა მკითხველს საქართველოს შესაძლებლობებზე, მის ინტეგრალურ რესურსებზე, განვითარების პერსპექტივებზე სრულყოფილი წარმოდგენის ჩამოყალიბებაში შეუწყობს ხელს.

ნაშრომის ძირითადი დებულებებისა და შინაარსის გადმოცემაზე, მიზანშეწონილად გამოითქვა მოსაზრება, რომ ნაშრომი გავრცელებული და გამოყენებული ყოფილიყო სახელმძღვანელოს ფორმატში ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე სასწავლო კურსების „რესურსმცოდნეობის“ და „რესურსების მართვის ეკონომიკური პოლიტიკის“ სწავლებაში.

აღნიშნული მიდგომა ჩვენთვის აბსოლუტურად მისაღებია და ამ მხრივ როგორც ჩვენი, ისე საქართველოს რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციის მიერ გადადგმულია

პრაქტიკული ნაბიჯები ხსენებული წინადადების რეალიზაციისთვის.

გავლილმა პერიოდმა დაადასტურა, რომ გლობალურ პოლიტიკაში რესურსებისადმი წვდომა, მათი ფლობა, განკარგვა და გამოყენება სულ უფრო მეტად იძენს მეინსტრიმულ დატვირთვას. ასეთ პირობებში წინამდებარე პუბლიკაცია ფაქტობრივად იძენს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოზე გაცილებით მეტ საზოგადოებრივ, გამოყენებით დატვირთვას. იგი წარმოადგენს საქართველოს რესურსების კომპლექსური ინვენტარიზაციის ანგარიშისა და ეკონომიკურ პროცესში ჩართულობის, რესურსმცოდნეობის, რესურსების მართვისა და ოპტიმალური გამოყენების პრობლემებით დაინტერესებული პირთა სამოქმედო „საგზაო რუკას“.

მკითხველთა მოსაზრებები, შენიშვნები და სურვილები ავტორთა მიერ აღქმული იქნება მაღლიერებითა და გათვალისწინებული იქნება მათ მომავალ საქმიანობაში.

გივი თალაკვაძე,

იოსებ არჩვაძე



www.neweconomist.com.ge

E-mail: editor@neweconomist.com.ge